საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2021 წლის საქმიანობის ანგარიში

2022 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სამაუწყებლო პოლიტიკა_5

2. მიმდინარე და სამომავლო პროგრამული პრიორიტეტები _____

3. მიმდინარე და სამომავლო პროგრამათა განრიგი_____

4. დამოუკიდებელი პროგრამები და მათი მწარმოებლები_____

5. საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგები_____

6. განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსი_____

7. საჯარო განხილვების შინაარსისა და მოქალაქეთა წინადადებები_____

8. საზოგადოებრივ მაუწყებელთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე საწარმოები_____

9. საზოგადოებრივი მაუწყებლობის მომავალი წლის ბიუჯეტი_____

10. საზოგადოებრივი მაუწყებლობის ბიუჯეტის შესრულება_____

11. შიდა და გარე აუდიტის დასკვნები_____

2022 წელი

შესავალი

2021 წელი, მაუწყებლისთვის, წინა წლების მსგავსად დატვირთული იყო სხვადასხვა გამოწვევებით, რომელთა ნაწილი ტრადიციული ხასიათისაა, ხოლო ზიგიერთი მათგანი, მაგალითად, პანდემიური გავლენა, წარმოადგენს გარემოდან გამომდინარე არსებულ გამოწვევას. ამასთან, მაუწყებელს, წინა წლის მსგავსად 2021 წელსაც მოუწია საარჩევნო პროცესის გაშუქება, რაც გარე ეპიდემიოლოგიურ გამოწვევასთან ერთად დამატებით ინფრასტრუქტურულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. საარჩევნო პროცესის გაშუქების დადებითი შეფასება საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მხრიდან, სარედაქციო ბალანსის დაცვის შედეგია რაც, მაუწყებლის საკანონდმებლო ვალდებულებაა.

პანდემიის პერიოდში მაუწყებლობის ახალი ხერხებოის გამოყენება, კვლავ გამოწვევად და ამავე დროს შესაძლებლობად რჩება. თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებშიც, აუდიოვიზუალური კონტენტის მაყურებლამდე და მსმენელამდე მარტივად მიტანის შესაძლებლობა ქმნის დამატებით კონკურენციულ გარემოს და იმავდროულად აჩენს დიდ შესაძლებლობებს სამომავლო სამაუწყებლო მიდგომებისთვის. ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, შეუცვლელი ფასეულობაა სარედაქციო ღირებულების შექმნა და ინფორმაციისთვის დამატებითი ფასეულობის მიცემა მაღალპროფესიული სტანდარტების დანერგვით და შესრულებით. მედია და ზოგადად ვიზუალური კონტენტის გარემოს შეფასება აჩვენებს, რომ ინტელექტუალური ფასეულობები მედია კონტენტში ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი და შეუცვლელია მაყურებლისთვის და მსმენელისთვის. უდაოდ, მიმდინარე პროცესი , მასში სწორად ორიენტირების შემთხვევაში, მაუწყებელს და აქედან გამომდინარე საზოგადოებას, განვითარების კარგ შესაძლებლობებს აძლევს.

საზოგადოების მაღალი ჩართულობა მაუწყებლის მართვის პროცესში კვლავ გამოწვევად რჩება. საზოგადოების მხრიდან ისედაც დაბალი ინეტერესი, სამაუწყებლო პოლიტიკის, პროგრამული პრიორიტეტების და სამაუწყებლო ბადის დაგეგმვის მიმართ, პანდემიამ კიდევ უფრო შეასუსტა. მაუწყებელი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, ცდილობდა შეენარჩუნებინა საზოგადოების განწყობების და საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მოპოვების უწყვეტი პროცესი რაც უკუკავშირების, სატელევიზიო ყურებადობის და საზოგადოებრივი აზრის კვლევებში გამოიხატა, თუმცა, უშუალოდ მაუწყებლის მართვაში და პროგრამული პრიორიტეტების შემუშავებაში საზოგადოების ჩართულება კვლავ პრობლემად რჩება. საზაოგადოებისგან განუყოფელობის და მისი ინტერესების ზუსტად ასახვისთვის კი, საზოგადოების მონაწილეობა მაუწყებლობის დაგეგმვის და განხორციელების პროცესში აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

მაუწყებელმა ასევე დაამკვირდა პროგრამული პრიორიტეტების ახალი პრინციპები, რომლებიც გულისხმობს მაუწყებლისთვის საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე კონკრეტული დასაძლევი ამოცანების დასახვაში და არა ცალკეული გადაცემის დამზადებაზე მითითებაში. ეს პრინციპი უზრუნველყოფს, მაყურებლის და მსმენელისთვის საინტერესო გადაცემების შინაარსი დაიგეგმოს და მომზადდეს მაღალპროფესიულ დონეზე, ხოლო

საზოგადოებისთვის საინტერესო თემატიკა დაძლეული იქნას კონკრეტულ პარამეტრებთან მიმართებაში.

მაუწყებლისთვის სამოქმედო გეგმის ნაწილი იყო და რჩევა ევროპის მაუწყებელთა კავშირში (EBU) გაწევრიანება, რაც მნიშვნელოვანწილად შეცვლის მაუწყებლობის ხარისხს და აამაღლებს პროფესიულ სტანდარტებს. EBU-ს წევრობა მაუწყებლის თანამშრომლებისთვისაც გახსნის ახალი შესაძლებლობების ფანჯარას და მათ წვდომა ექნებათ ევროპის მაუწყებელთა რესურსრებთან. აღნიშნული საკითხის დასაძლევად და გაწევრიანების პროცესის ხელშესაწყობად მაუწყებელმა ბიუჯეტის მიღებისას კონკრეტული თანხები გამოყო.

საანგარიშო წლისთვის, მაუწყებლის ბადე განახლდა და აუდიტორიისთვის ხელმისაწვდომი გახდა ახალი გადაცემები, რომელთა შინაარსის მრავალფეროვნება, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მაუწყებლის საჯარო მანდატის შესრულებაში.

კვლავ გადაუდებელ აუცილებლობად რჩება მაუწყებელში სისტემური განახლების და ღრმა, ყოვლისმომცველი რეფორმის გატარება, რომლის ორგანიზება უნდა მოხდეს საზოგადოების და პროფესიონალების მაქსიმალური ჩართულობით. აღნიშნული რეფორმის გარეშე მაუწყებლის საჯარო მანდატის შესრულება სულ უფრო მეტად გართულდება, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ინსტიტუტზე მოახდენს ნეგატიურ გავლენას.

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სამაუწყებლო პოლიტიკა;

2021 წლის განმავლობაში, საკანონმდებლო თვალსაზრისით „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ინიცირებით შევიდა ცვლილება და გასწორდა ანგარიშის წარდგენის ვადები, რამაც გამოასწორა საკანონმდებლო ხარვეზი. აღნიშნული ცვლილებით, ნაცვლად ყოველი წლის 1-ლი აპრილისა, ანგარიშის წარდგენის ვადად განისაზღვრა 1-ლი მაისი. სხვა საკანონდმებლო ცვლილელები, რომლებიც უშუალოდ შეეხებოდა მაუწყებელს სამაუწყებლო კანონმდებლობაში არ განხორციელებულა, შესაბამისად, სამაუწყებლო პოლიტიკის ნაწილში მაუწყებლის მიდგომები არ შეცვლილა.

სამაუწყებლო პოლიტიკის ძირითადი განმსაზღვრელი სამართლებრივი ჩარჩო „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონია, ხოლო საზოგადოებრივი მაუწყებლების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპი კი ასახულია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-6 პუნქტში: „კანონი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობას სახელმწიფო უწყებებისგან და თავისუფლებას, პოლიტიკური და არსებითი კომერციული გავლენისაგან“. ცხადია, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს, ისევე, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის

თავისუფლების დაცვის კონსტიტუციური გარანტია წარმოადგენს მაუწყებლების მყარი სამართლებრივი დაცვის წინაპირობას.

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიზანს, წარმოადგენს თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვა, საზოგადოებაში ასახული მრავალფეროვნების წარმოჩენა.

სამაუწყებლო პოლიტიკის საკანონმდებლო ჩარჩოდ კვლავ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი რჩება, სადაც გაწერილია მაუწყებლობის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც მოიცავს: პროგრამების მრავალფეროვნებას, რომლებიც უნდა ეხებოდეს სხვადასხვა სფეროს და ასევე ორიენტირებული იყოს საზოგადოების კულტურული, ეთნიკური, ენობრივი, რელიგიური და ასაკობრივი მრავალფეროვნების წარმოჩენაზე. მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანალთლებლო შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პორგრამებს შორის თანასწორობის დაცვა. მაუწყებელი ვალდებულია საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები და წინასაარჩევნო დებატები. საარჩევნო პერიოდში, სამართლებრივი რეგულაციების ჭრილში, მაუწყებელს ემატება საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული მედია მოთხოვნები, რაც ასევე სავალდებულოა შესასრულებლად. ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მიმართულებების-ჩრდილოატლანტიკური და ევროპული ინტეგრაციის პოპულარიზაციაც სამაუწყებლო პოლიტიკის კანონისმიერი ვალდებულებაა.

გარდა საკანონმდებლო ვალდებულებებისა, არსებობს სამართლებრივი პროფესიული რეგულაციები, რომელთა დაცვაც მოეთხოვება საზოგადოებრივ მაუწყებელს და შესაბამისად, ამ რეგულაციების შესრულება, მრჩეველთა საბჭოს მიმდინარე კონტროლის პროცედურების ნაწილია.

სამართლებრივ ვალდებულებებს მაუწყებლობის შინაარსთან დაკავშირებით თან ერთვის მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს მიერ განსაზღვრული პროგრამული პრიორიტეტები, რომელიც კანონის მოთხოვნებს ასახავს, აზუსტებს და განავრცობს. პროგრამული პრიორიტეტების შემუშავებისას, 2021 წელს მაუწყებლის მრჩეველთა საბჭომ, კანონმდებლობის თანახმად დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება და მიღებული იქნა 2021-2022 წლების პრორამული პრიორიტეტები, რომელთა მოქმედებაც განისაზვღრა ახალი პრიორიტეტების მიღების თარიღამდე. აღსანიშნავია, რომ პროგრამული პრიორიტეტების შემუშევაბეში, მრჩეველთა საბჭო მუდმივად ნერგავს ახალ მიდგომებსა და პრინციპებს, რომლებიც ცვლის და აუმჯობესებს უკვე არსებულ სტანდარტებს.

პრიორიტეტების განსაზღვრისას, მრჩეველთა საბჭომ მიუთითა ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პრინციპების დაცვის მნიშვნელობაზე, და მე-16 მუხლის შინაარსობრივი ვალდებულებების გადაცემებში ასახვის აუცილებლობაზე, რითიც მოხდა, საკანონმდებლო მოთხოვნების სამაუწყებლო პოლიტიკაში ფორმალიზება.

მაუწყებლის 2020-2021 წლის პროგრამული პრიორიტეტების, როგორც სამაუწყებლო პოლიტიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედის თემატური მიმართულებები მოიცავს მრავალ კომპონენტს, მათ შორის ყურადღება გამახვილებულია საზოგადოების ყველა ნაწილის, განსაკუთრებით კი მცირე ჯგუფების ინტერესთა დაცვაზე, თემატური პოლიტიკური და საზოგადოებრივი დებატების ორგანიზებაზე. მაუწყებლის ვალდებულებაა ხელი შეუწყოს საზოგადოებაში არსებული დაძაბულობის განმუხტვას და საზოგადოების კონსოლიდაციას. ყურადღება ეთმობა ბავშვთა უფლებების დაცვას და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა განათლების, როგორც ფუნდამენტური მიმართულების წარმოჩენას, ასევე დეოკუპაციის საინფორმაციო კამპანიის ორგანიზება და მხარდაჭერა, მათ შორის ოკუპირებულ ტერიოტორიებზე ჰუმანიტარული საკითხების და ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმაციის გადაცემას. საგანგებო სიტუაციების დროს, მაუწყებლის ვალდებულება რჩება საზოგადოების დროული ინფორმირება, რასაც პანდემიის დროს მაუწყებელი ოპერატიულად ახერხებდა. საანგარიშო პერიოდის სამაუწყებლო მიმართულების ნაწილია ფეიკ ნიუსის გავრცელების შეჩერება და მისი ნეგატიური შედეგების ნეიტრალიზაცია, რაც მსოფლიო განვითარებული დემოკრატიებისთვისაც კი დიდი გამოწვევაა. არსებით თემატურ მიმართულებებში შედის რეგიონის ტურიზმის სექტორის და სოფლის მეურნეობის მიმართულების განვითარება, რაც ეკონომიკის პოსტ პანდემიური აღდგენის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ასევე ხაზგასასმელია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, რაც საზოგადოების კეთილდღეობის ძირითადი წყაროა. პანდემიის ფონზე, სამაუწყებლო პოლიტიკის წამყვან მიმართულებად ჯანდაცვა და მასთან დაკავშირებული საკითხები რჩება, რომლებიც ასევე მოიცავს შრომის უსაფრთხოებასაც. მაუწყებელი ჯეროვან ყურადღებას უთმობს ისეთ ტრადიციულ მიმართულებებსაც, როგორებიცაა სამხედრო თემატიკა, გარემოს დაცვა, კულტურა, სპორტი, დოკუმენტალისტიკა და ა.შ.

2. მიმდინარე და სამომავლო პროგრამული პრიორიტეტები

2021-2022 წლების პროგრამული პრიორიტეტების შემუშავებაც, საზოგადოების შეზღუდული ჩართულობის ფონზე მიმდინარეობდა. მრჩეველთა საბჭოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, პროგრამული პრიორიტეტების სრული ცვლილება წლიდან წლამდე არ ხდება, რადგანაც საზოგადოების მუდმივ ინტერესებს ემატება გარემოებების შეფასებისას და კონტექსტის ანალიზისას გამოკვეთილი მიმართულებები და აღნიშნული მიმართულებები ემატება პროგრამული პრიორიტეტების შესაბამის მუხლებს, აქვე ხდება, ზოგიერთი მიმართულების ამოღებაც, რომელიც შესაძლოა აქტუალური აღარ არის, ან შესაბამისი რესურსის გამოყენება სხვა მიმართულებით უფრო აქტუალურია. ზემოაღნიშნული მიდგომა არ იწვევს სამაუწყებლო პროცესის ფუნდამენტურ გადაწყობას და შესაბამისად, უკვე დამკვიდრებული პროგრამული პრიორიტეტების შესრულება უფრო ეფექტიანად ხდება.

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონი საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ავალდებულებს პრიორიტეტების შემუშავება მოხდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, რაც თავის მხრივ წინასწარი პროექტის გამოქვეყნებას და შემდგომ ამ პროექტის ირგვლივ მსჯელობას ითვალისწინებს. შეჯერებული მოსაზრებების შემდეგ, საბოლოოდ, 2021-2022 წლის პროგრამულ პრიორიტეტები ტელევიზიის, რადიოს და ონლაინ მედიისათვის განისაზღვრა შემდეგნაირად:

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს 2021-2022 წლების პროგრამული პრიორიტეტები

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონი ადგენს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დამოუკიდებლობის ინსტიტუციურ გარანტიებს, კერძოდ, ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-15 ე მუხლი განსაზღვრავს, რომ მაუწყებელი არის პოლიტიკური და კომერციული გავლენისგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების საზოგადოებისთვის მიწოდების მიზნით დაფუძნებული, საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც არ

ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას. მაუწყებლის პირველი რიგის ამოცანაა, კანონის ამ პრინციპების განუხრელი დაცვით, მაუწყებლობის უზრუნველყოფა.

კანონმდებლობა, აგრეთვე, განსაზღვრავს მაუწყებლობის შინაარსობრივი ვალდებულებების ნაწილს, რაც ასახული უნდა იყოს სამაუწყებლო ბადეში; კერძოდ, პროგრამულ პრიორიტეტებთან ერთად, მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს, ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-16-ე მუხლით განსაზღვრული პროგრამების მომზადება, აუდიტორიისთვის მიწოდება და დაიცვას იმავე მუხლით განსაზღვრული სამაუწყებლო პრინციპები:

ა) უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენებისგან თავისუფლება;

ბ) უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალ ამბებს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის;

გ) უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;

დ) საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები, ხოლო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას, ასევე, წინასაარჩევნო დებატები;

ე) პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი;

ვ) ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი;

ზ) საზოგადოებრივი მაუწყებლის პროდუქციის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს,

თ) პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;

ი) ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები;

კ) გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტერესები, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გასულ არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი;

ლ) ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;

მ) სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები;

ნ) უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომში – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის, პოპულარიზაცია;

ო) უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ;

პ) საგანგებო სიტუაციის დროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოთხოვნით, უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეებისთვის და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირებისთვის საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინებისა და სხვა ინფორმაციის გადაცემა.

აღნიშნული შინაარსობრივი ვალდებულებები და სამაუწყებლო პრინციპები არის იმპერატიული საკანონმდებლო ვალდებულება, რომელთა დაცვა და შესრულება აჭარის ტელევიზიამ და რადიომ მოქმედ პროგრამულ პრიორიტეტებთან ერთად უნდა უზრუნველყოს.

სარედაქციო პრინციპები

აუდიტორიის ნდობის მოსაპოვებლად, მაუწყებლობისას, განუხრელად უნდა იყოს დაცული კანონმდებლობაში ასახული და საერთაშორისოდ აღიარებული სარედაქციო პრინციპები, მათ შორის: მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და პატივისცემა, სიზუსტე და რელევანტურობა, ჰუმანიზმი და ანგარიშვალდებულება, ინტერესთა ჯგუფების გავლენებისგან თავისუფლება, ობიექტურობა და ბალანსი, გამჭვირვალობა. სარედაქციო მიდგომამ ხელი უნდა შეუწყოს დემოკრატიის განვითარებას, საზოგადოების კონსოლიდაციასა და ერთიანობას. მაუწყებლობა უნდა ხორციელდებოდეს „მაუწყებელთა ქცევის კოდექსითა“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსით“ გათვალისწინებული სტადარტების დაცვით.

სამაუწყებლო პრინციპები

სარედაქციო პრინციპებთან ერთად, გასათვალისწინებელია შემდეგი სამაუწყებლო პრინციპები: აუდიო-ვიზუალური კონტენტი უნდა მოერგოს სოციალური და დემოგრაფიული, კულტურული, ეთნიკური, რელიგიური თუ ყველა სხვა ჯგუფის ინტერესებს. უზრუნველყოფილი უნდა იყოს სარედაქციო და შემოქმედებითი დამოუკიდებლობა; სამაუწყებლო ბადე უნდა იყოს მრავალფეროვანი, მაუწყებლობა კი შინაარსობრივად და ვიზუალურად მაღალი ხარისხის; მაქსიმალურად უნდა იყოს ათვისებული ინოვაციური მიდგომები და მეთოდები; მაუწყებლობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა არსებულ პლატფორმაზე, ყველა არსებული ხერხით; მაუწყებელი უნდა იყოს გამორჩეული მედიამრავალფეროვნებაში და გააძლიეროს საქართველოს მედიასცენა.

მაუწყებლის შინაარსობრივი პრიორიტეტები

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება და დებატები

მაუწყებლემა უნდა უზრუნველყოს საზოგადოების ყველა ნაწილის ინტერესების დაცვა, უნდა წარმოაჩინოს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მრავალფეროვნება, პოლიტიკური მიმართულებების, შეხედულებების, მოსაზრებების სიმრავლე, საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა ღირებულება, ინტერესი და პრობლემა, მათი განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით; მაუწყებელმა საეთერო დრო უნდა დაუთმოს პოლიტიკური დებატების გამართვას, ეთერში ასახოს მოსაზრებათა მრავალფეროვნება და უზრუნველყოს ყველაზე მცირე ჯგუფის ინეტერესებისა და სათქმელის საზოგადოებისთვის მიწოდება. თემატური და კარგად ორგანიზებული დებატების მიმართულებით, მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი საკითხების აკადემიურ ფორმატში განხილვა, ხელი შეუწყოს საზოგადოებაში არსებული დაძაბულობის განმუხტვასა და ნებისმიერი პოტენციური პოლიტიკური ძალადობის რისკების შემცირებას. მაუწყებლის სადებატო პლატფორმებით ხელი უნდა შეეწყოს საზოგადოების კონსოლიდაციას აღიარებული სახელმწიფოებრივი და ჰუმანიზმის პრინციპების ირგვლივ. მაუწყებელი უნდა იყოს რეგიონში, მთელ ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ სადისკუსიო სივრცე.

ადამიანის უფლებები

მაუწყებელმა, ყველა არსებულ პლატფორმაზე, მთავარი აქცენტები უნდა გააკეთოს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვაზე. ადვოკატირება და პოპულარიზაცია გაუწიოს მოქალაქეთა უფლებების განუხრელ დაცვას, ყველა შესაძლებლობით გამოავლინოს უფლებების დარღვევის ფაქტები ან დარღვევის პოტენციური საფრთხეები, გამოიტანოს ეს საკითხები საზოგადოების სამსჯავროზე და გაზარდოს ხელისუფლების ანგარიშვალდებულება მსგავს საკითხებზე, ასევე, ხელი შეუწყოს რეაგირების მექანიზმების ამოქმედებას. მაუწყებელმა უნდა გააშუქოს ბავშვთა უფლებები, ასახოს სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ ბავშვთა მდგომარეობა, ბავშვთა და მოზარდთა უკანონო შრომის, განათლების ხარისხის და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრობლემატიკა.

მაუწყებელმა ხელი უნდა შეუწყოს მრავალი პოზიციის თანაარსებობას, პოლიტიკურ გამჭვირვალობას, მოქალაქეთა მხრიდან გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას, სოციალური ტრადიციების პატივისცემას, ინდივიდუალური უფლებების დაცვას, საზოგადოებრივი თანხმობის გზების ძიებას, ინოვაციებისა და საზოგადოების ღიაობისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, საზოგადოებაში დემოკრატიულობისა და ჰუმანურობის ზრდას.

მრავალფეროვნება

მაუწყებელმა საკუთარ პროგრამებში უნდა წარმოაჩინოს განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი, კულტურული ჯგუფები, უნდა ასახოს ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება. ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები.

სოციალური რეკლამები

პროგრამული პრიორიტეტებით დასახული მიზნების შესასრულებლად, ასევე, საზოგადოების გრძელვადიანი და მოკლევადიანი ამოცანების გადასაჭრელად მაუწყებლემა უნდა აწარმოოს პროაქტიური სოციალური რეკლამების კამპანია. ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებისთვის აუცილებელ საკითხებზე ყურადღების გამახვილებას და საზოგადოების განწყობებისა და ქცევის პოზიტიურად შეცვლას

საინფორმაციო მიმართულება

მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ასევე, მთლიანად საქართველოსა და ქვეყნის სხვა რეგიონებში მიმდინარე მოვლენების, მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ და აწარმოოს ქვეყნის დეოკუპაციის საინფორმაციო კამპანია. მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციით საზოგადოების დროული უზრუნველყოფა მაუწყებლის ერთერთი უმთავრესი მიზანია.

საზოგადოების წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, მაუწყებელმა მოქალაქეებს საშუალება უნდა მისცეს, გაეცნონ და მკაფიო წარმოდგენა

შეიქმნან ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლებების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობაზე, ქვეყნისთვის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესებზე, ძირითად ორიენტირებსა და გამოწვევებზე. უნდა ასახოს სოციალური პრობლემები, განსაკუთრებული აქცენტით მოწყვლადი ჯგუფების პრობლემებსა და საჭიროებებზე, რიგითი მოქალაქის პრობლემები, მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, ტერიტორიული მთლიანობის საკითხები, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით არსებული ვითარება. მაუწყებელმა უნდა აწარმოოს სატელევიზიო პროგრამა ჟურნალისტური გამოძიების ჟანრში*, რომელიც არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ გახმაურებული ამბებით/შემთხვევებით, არამედ უნდა იკვლევდეს ისეთ თემებს, რომლებიც კანონის უზენაესობას, ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას, ადამიანის უფლებების დარღვევებს, ან სახელმწიფოებრივად და საზოგადოებრივად აქტუალურ სხვა საკითხს ეხება. საგანგებო სიტუაციის დროს უნდა უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეებისთვისა და ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირებისთვის საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინებებისა და სხვა ინფორმაციის გადაცემა. გონივრული პროპორციით უნდა დაუთმოს დრო უცხოეთის სიახლეებს.

მაუწყებელმა სხვადასხვა გადაცემაში ყურადღება უნდა დაუთმოს საძალაუფლებო, ფინანსური, რელიგიური და სხვა ჯგუფის საზოგადოებისგან დაფარული ინტერესების გამოვლენას და მათ შესახებ მსჯელობას. მნიშვნელოვანია, რომ ცალკეული ჯგუფის ინტრესების ნეგატიური გავლენა საზოგადოებაზე მაქსიმალურად იყოს წარმოჩენილი და, მაუწყებლის პორგრამული კონტეტის ხელშეწყობით, გაიზარდოს ასეთი ჯგუფების ანგარიშვალდებულების ხარისხი საზოგადოების წინაშე. გავლენიან ინტერესთა არცერთ ცალკე ჯგუფს არ უნდა მიეცეს საშუალება, გავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე საზოგადოებისვე ინტერესების საწინააღმდეგოდ. მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა დაცულობა ყველა მომეტებული გავლენის მქონე სახელისუფლებო და კომერციული ჯგუფისგან, გადაცემებში მუდმივად უნდა კეთდებოდეს აქცენტი ასეთ ინტერესებზე და მათი გამჭვირვალობის სტანდარტი მაუწყებლის პლატფორმების მეშვეობით მაქსიმალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

ფეიკ ნიუსის გამოვლენა

თანამედროვე მსოფლიოში, ინფორმაციის გაცვლის ტექნოლოგიების განვითარებისა და გლობალური საკომუნიკაციო სოციალური ქსელების განვითარებამ, შესაძლებლობებთან ერთად, გააჩინა ცრუ ინფორმაციის გავრცელების, ასევე, საზოგადოებაზე ნეგატიური და დამაზიანებელი გავლენის მოხდენის საფრხთეები, რომელთა წინაშე, ხშირ შემთხევაში, ყველაზე უფრო განვითარებული საზოგადოებებიც დაუცველები აღმოჩნდნენ. საქართველო, თავისი მცირე პოლიტიკური, ეკნომიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სრულიად ღია და დაუცველია ფეიკ ნიუსის ნეგატიური გავლენებისგან. პრინციპულად მნიშვნელოვანია, ფეიკ ნიუსის საფრთხეების ნეიტრალიზების საქმეში, საზოგადოებრივი მაუწყებელი იყოს ავანგარდში და საზოგადოებისთვის ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციის მთავარ წყაროდ იქცეს. მაუწყებელმა ფეიკ ნიუსების საფრთხის შესახებ უნდა აწარმოოს საინფორმაციო კამპანია, ფეიკ ნიუსის კამპანიების არსებობისა და მათი გავლენის შემცირების შესახებ, საზოგადოების ცნობიერება აამაღლოს. ფეიკ ნიუსის გამოვლენის კამპანიებში, განსაკუთრებული აქცენტი რეაქციული და ექტრემისტული ჯგუფების, საზოგადოებაში სხვადასხვა ჯგუფის მიმართ სიძულვილის გამომხატველი, ანტიდასავლური რიტორიკის, ძალადობისკენ მომწოდებელი, ეთნიკური და რელიგიური შუღლის გამღვივებელი და სხვა საზოგადოებრივი საფრთხის შემცველ ნიუსებზე უნდა გაკეთდეს.

არჩევნები

არჩევნების პერიოდში მაუწყებელმა ყველა პოლიტიკურ ძალასა და მოქალაქეთა გაერთიანებას საკუთარი ხედვების გადმოცემისა და საარჩევნო პროგრამების სადისკუსიო პლატფორმა უნდა შესთავაზოს. მაუწყებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს კონკურენტული და თანაბარი წინასაარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებას, ასევე, შეძლოს არჩევენების სამოქალაქო კულტურის ფორმირების ხელშეწყობა, საარჩევნო სისტემებზე აკადემიური მსჯელობის მოწყობა და საარჩევნო საკითხების პოპულარიზაცია საზოგადოებაში. მაუწყებლის ეთერი და სხვადასხვა პლატფორმა სათანადო დროით უნდა დაეთმოს წინასაარჩევნო პროგრამების განხილვას, ამ განხილვაში საზოგადოების ჩართულობისა და პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობას. მსოფლიოში საარჩევნო პოპულიზმმა შექმნა უამრავი საფრთხე და საზოგადოებრივი დაძაბულობის კერა, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, არსებითი ყურადღება მიექცეს წინასაარჩევნოდ პოპულისტური და ექტრემისტული მიმართულებების გამოვლენასა და მათ შესახებ საზოგადოებრივი და სამეცნიერო დისკუსიების გამართვას, რათა მაქსიმალურად შემცირდეს ამ პროცესით გამოწვეული ზიანი. მაუწყებლმა, ასევე, უნდა

შეძლოს წინასაარჩევნო მანიპულაციების, უსამართლოდ და უკანონოდ გამოყენებული სხვადასხვა საარჩევნო ხერხის გამოვლენა და მათ შესახებ საზოგადოების ინფორმირება. მნიშვნელოვანია, მაუწყებელმა შექმნას არჩევნებით მანიპულაციების მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის გარემო.

ევროინტეგრაცია

მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების გაშუქება, ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია, გააშუქოს საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები, ნატოში გაწევრიანების შესაძლებლობები, ქვეყნის განვითარებაზე დასავლეთთან ინტეგრაციის დადებითი გავლენა, ასოცირების ხელშეკრულებით მიღებული შესაძლებლობები და სხვა.

მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს ევროინტეგრაციის არსის თემატური გაშლა და მიტანა ფართო საზოგადოებამდე. მაუწყებლის პროგრამებში უნდა ჩანდეს, რომ ევროიტეგრაცია ეს არ არის მხოლოდ კანონების მიღება, არამედ ესაა განვითარების პროცესი, რომლის წარმატებით წარმართვა თვითონ შედეგს წარმოადგენს. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას, რომ ევროინტეგრაცია ნიშნავს, გახდე ევროპული ოჯახის წევრი და არ დაკარგო საკუთარი სამშობლო. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იმ ფონზე, როცა ამ აზრის მოწინააღმდეგენი ევროპას მიუღებელი სახით წარმოაჩენენ, ქმნიან რა არასწორ წარმოდგენებს დასავლური ღირებულებების შესახებ, მოქალაქეებს თავს ახვევენ ჩვენი საზოგადოებისთვის მიუღებელ საკითხებს, როგორც ევროინტეგრაციისთვის თითქოსდა აუცილებელ პირობას, ხოლო ზოგნი მზად არიან დააკნინონ ჩვენი ქვეყნის იმიჯი, დამახინჯებულად წარმოაჩინონ ჩვენი ტრადიციული მსოფლმხედველობა და მენტალიტეტი. ევროინტეგრაციის რეალური მიზნის, მისგან გამოწვეული სიკეთეების წარმოჩენა მაუწყებლის მოვალეობაა.

მაუწყებელმა სათანადრო ყურადღება უნდა დაუთმოს სამხედრო თემატიკის პოპულარიზაციას, გააძლიეროს საქართველოს შეიარაღებული ძალების მიმართ საზოგადოების პოზიტიური განწყობების ხელშემწყობი მედიაკამპანიები და ხელი შეუწყოს პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას. პროგრამებმა უნდა უზრუნველყონ სამოქალაქო თავდაცვის საკითხების წარმოჩენა და სამოქალაქო თავდაცვის კულტურის ზრდა საზოგადოებაში, ასევე, ყურადღება უნდა გამახვილდეს თავდაცვისა და უსაფრთხოების კუთხით მოქალაქეთათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებაზე და სათანადო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე.

წარმოჩენილი უნდა იყოს სამხედრო გმირობის მაგალითები და გადმოცემული ის ფაქტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოქალაქეთა და სამხედრო მოსამსახურეთა საბრძოლო სულისკვეთების ზრდას.

ტურიზმი

მაუწყებელმა ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს ტურისტული სექტორის პოპულარიზაციას, შიდა ტურიზმის გააქტიურებასა და ტრადიციული სტუმარ-მასპინძლობის კულტურის წარმოჩენას. აჭარის რეგიონისთვის ტურიზმი ერთერთი წამყვანი დარგია. გლობალური პანდემიიდან გამომდინარე კი, ტურისტულ სექტორს ყველაზე დიდი ზიანი მიადგა. მაუწყებელმა, უნდა იზრუნოს ტურიზმის სექტორის შესახებ ფართო ფორმატის მსჯელობების გამართვზე და ხელი შეუწყოს ტურიზმის ინდუსტრიას არსებული პრობლემების გადაჭრაში. ასევე, სათანადო მედია კონტენტით პოპულარიზაცია გაუწიოს რეგიონისა და ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს, გამოავლინოს დარგში არსებული შესაძლებლობები და ხელი შეუწყოს ამ სფეროში დასაქმებული მოქალაქეების პრობლემებზე ყურადღების გამახვილებას. ტურიზმის ინდუსტრიაში არსებულ ორგანიზაციებსა და გაერთიანებებს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოთ თავიანთი პრობლემების გადაჭრის გზებზე დისკუსიისთვის. გადაცემებში განხილული უნდა იყოს რეგიონისა და ქვეყნის ტურისტული შესაძლებლობები და, საზოგადოების ჩართულობით, სათანადოდ უნდა წარმოჩნდეს ტურიზმის ეკონომიკური პოლიტიკის მოსაზრებათა მრავალფეროვნება. განხილული უნდა იყოს რეგიონის შესაძლებლობებზე ორიენტირებული ტურისტული დარგების განვითარების პერსპექტივები.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა / ეკონომიკა

საქართველოსთვის და, ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისთვის, მნიშნელოვანია სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი, დაცული მცირე და საშუალო მეწარმეების განვითარება. აჭარის ტელევიზიამ და რადიომ, სათანადოდ წესით და დოზით უნდა წარმოაჩინოს მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები, ეთერში იმსჯელოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შემაფერხებელ გარემოებებზე, საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლისა და სპეციალიზებული ჯგუფის ჩართულობით, ხელი შეუწყოს მეწარმეობის კულტურის, როგორც საზოგადოებრივი სიკეთის წყაროს, განვითარებას. მცირე და საშუალო ბიზნესი, განსხვავებით მსხვილი ბიზნესისგან, არის ის სეგმენტი, რომელსაც ყველაზე მეტად უჭირს საკუთარი

ინტერესების დაცვა და პრობლემების სათანადო წესით მიტანა სახელისუფლებო წრეებამდე. მაუწყებელმა, შესაბამისი პროპორციით, უნდა მოახდინოს მცირე და საშუალო ბიზნესის ადვოკატირება და ხელი შეუწყოს სახელისუფლებო ჯგუფებთან მათი პრობლემების მიტანას.

მაუწყებელმა ხელი უნდა შეუწყოს, ასევე, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის დამკვიდრებას. ბიზნესის სიციალური პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტი ხელს უწყობს საზოგადოების პრობლემების ადვილად მოგვარებასა და უსაფრთხო ცხოვრების გარემოს ჩამოყალიბებას; შესაბამისად, სამაუწყებლო სივრცე გახსნილი უნდა იყოს ამ მიმართულებით მსჯელობისთვის და, საზოგადოების ჩართულობით, მაუწყებელმა უნდა წარმოაჩინოს ასეთი შესაძლებლობები და ხელი შეუწყოს მათ პოპულარიზაციას. მაუწყებლის ეთერში აქტიურად უნდა შუქდებოდეს რეგიონისთვის დამახასიათებელი ეკონომიკის სექტორები, მათ შორის, საზღვაო და ეკოკულტურის მიმართულებები, ასევე, რეგიონის ლოჯისტიკური შესაძლებლობები. ეკონომიკური მიმართულების კონტენტში, ასევე, უნდა წარმოჩნდეს ბუნებრივი რესურსების მართვის საკითხები, განახლებადი ენერგიის, მყარი ბიომასის ნარჩენების მართვის ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობები. ყურადღება უნდა გამახვილდეს განახლებადი ენერგიებისა და ენერგოეფექტურობის პოპულარიზაციაზე, ასევე, რეგიონში მწვანე ეკონომიკის შესაძლებლობებზე.

განათლება

განათლება და განათლებული საზოგადოება სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის საფუძველია. მაუწყებლის ეთერში მუდმივად უნდა ხდებოდეს განათლების თემების წარმოჩენა, ყურადღება უნდა გამახვილდეს სკოლამდელ, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი განათლების საკითხებზე. მაუწყებლმა სათანადო დოზით უნდა წარმოაჩინოს განათლების პრობლემები, იმსჯელოს საუკეთესო უცხოურ საგანმანათლებლო პრაქტიკაზე და ამ პრატქიკის, საქართველოს კულტურული სპეციფიკაციის გათვალისწინებით, იმპლემენტაციაზე. სათანადრო დრო დაუთმოს დებატებს განათლების საკითხებთან დაკავშირებით, გამოავლინოს განათლების მიმართულებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქის ჩამოყალიბებას, წარმოაჩინოს სათანადო დოზით მათი აუცილებლობა და ხელი შეუწყოს საზოგადოებაში აღნიშნული საკითხების მიმართ მგრძნობელობის ინტენსიფიკაციას. მაუწყებელმა ფართოდ უნდა წარმოაჩინოს განათლების მიმართულებაში მოსაზრებათა

მრავალფეროვნება და, ექსპერტთა წრეებში დისკუსიის მოწყობით, ხელი შეუწყოს განათლების მნიშვნელოვანი კომპონენტების სახელმწიფო პოლიტიკაში ასახვას.

სოფლის მეურნეობა

ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის საკმაო ნაწილი სოფლის მეურნეობის სფეროშია დასაქმებული. სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით არსებული მდგომარეობა, ტრადიციული და ახალი დარგები, თანამედროვე მიდგომების დანერგვის პერსპექტივა, მაუწყებლის ერთერთი პრიორიტეტია. წარმატებული, სამაგალითო ფერმერული მეურნეობები, სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი ამოცანები, ინოვაციური მიდგომები პერიოდულად უნდა შუქდებოდეს მაუწყებლის მიერ; წარმოჩენილი უნდა იყოს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ ხელშეკრულების სიკეთეები.

ჯანდაცვა /პანდემია

მსოფლიოში გავრცელებული პანდემიის ფონზე, ყველაზე მნიშვნელოვანი გახდა ჯანდაცვაზე აქცენტის გაკეთება. ვითარებამ აჩვენა, რომ არა მხოლოდ თავად ჯანდაცვის სამეცნიერო საკითხები, არამედ მოქალაქეებში არსებული ჯანდაცვის კულტურა ადამიანების სიცოცხლის გაფრთხილების მთავარი საშუალებაა. მაუწყებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ჯანდაცვის საკითხებს და მაქსიმალურად, ყველა რესურსით უზრუნველყოს ამ საკითხების მულტიპლატფორმული დისტრიბუცია და მათი ყველა სოციალურ და დემოგრაფიულ ჯგუფთან ეფექტიანად მიტანა. ჯანდაცვის მიმართულების გადაცემებში, სათანადო წესით, ვიზუალიზაციის, გამომხატველობისა და აუდიალური წვდომის თანამედროვე, ეფექტიანი ხერხებით უნდა წარმოჩინდეს ყველა საკითხი, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოქალაქეთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფას, ჯანმრთელობისადმი პოტენციური საფრთხეების გამოვლენას და მათ შესახებ საზოგადოების ინფორმირებას. ერთერთი მთავარი მიმართულება უნდა იყოს ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია; ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ელემენტარული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ხელშეწყობა; ჯანდაცვის საკითხების მიმართ სამოქალაქო თვითორგანიზების უნარების პოპულარიზაცია და დამკვიდრება. პანდემიის და ჯანმრთელობის საფრთხეების საკითხებზე ეფექტური რეაგირება და საზოგადოების რეაგირების უნარების ჩამოყალიბება. ჯანდაცვის მიმართულების გადაცემებმა სათანადო ყურადღება უნდა დაუთმონ ჯანსაღ კვებასა და სურსათის უვნებლობის საკითხებს, ამ კუთხით საზოგადოებაში არსებულ პრობლემებსა და მათი მოგვარების გზების

წარმოჩენას. ასევე, ყურადღება უნდა გამახვილდეს, სამუშაო გარემოს უსაფრთხოების და ჯანმრთელობისთვის საშიში გარემოს შესახებ საკითხების გამოვლენაზე და წარმოჩენაზე.

დაავადებათა აფეთქებისა და მისი სწრაფად გავრცელების შემთხვევაში მაუწყებელმა ოპერატიულად უნდა მიიღოს საგანგებო ზომები საზოგადოებისთვის საჭირო ინფორმაციის უწყვეტ რეჟიმში მიწოდების უზრუნველსაყოფად, უნდა გაავრცელოს უახლესი ცნობები ეპიდემიის/პანდემიის და შესაბამისი პრევენციული ზომების, მათ შორის ვაქცინაციის აუცილებლობის შესახებ.

ეკოლოგია

მაუწყებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ადამიანისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების თანამედროვე გამოწვევებზე. ბუნების დაცვა, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემები და სხვა ეკოლოგიური საკითხები უნდა გაშუქდეს როგორც გლობალური, ასევე, საქართველოსა და, კერძოდ, აჭარის რეგიონის წინაშე მდგარი აქტუალური საკითხების წარმოჩენით. ამასთან, ეკოლოგიური პრობლემებით დაზარალებული მოსახლეობის ბედი, სახელმწიფო პოლიტიკა ეკომიგრანტებთან მიმართებაში, ეკოლოგიური კატასტროფების თავიდან აცილების გზები მაუწყებლის ერთერთი პრიორიტეტი უნდა იყოს.

კულტურა

მაუწყებელმა ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას. უნდა გააშუქოს კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში - ლიტერატურის, მხატვრობის, მუსიკის, თეატრის, კინოსა და სხვა სახელოვნებო დარგებში მოღვაწე წარმატებული ადამიანები, მათი მიღწევები, თანამედროვე და ახლო წარსულში მოღვაწე ხელოვანები, კულტურისა და ხელოვნების სფეროში არსებული მდგომარეობა, ტრადიციები, სიახლეები; მაუწყებელმა უნდა წარმოაჩინოს საქართველოს, განსაკუთრებით, აჭარის მხარის უძველესი ჩვეულებები, ფოლკლორი, ყოფაცხოვრების ნიმუშები, დღემდე შემონახული სხვადასხვა მატერიალური და არამატერიალური ფასეულობები, თანამედროვეობის ისეთი ასპექტები, რომლებიც დროთა განმავლობაში ისტორიულ ღირებულებას შეიძენს; მაუწყებელმა უნდა წარმოაჩინოს რეგიონისა და ქვეყნის სხვადასხვა, მათ შორის, ძალიან მცირე, რელიგიური კონფესიები, საეთერო დრო

დაეთმოს მათი ცხოვრების წესის, ტრადიციებისა და ადათ-ჩვევების წამოჩენას, მაუწყებელმა ხელი უნდა შეუწყოს კონფესიებს შორის დიალოგს და მათი მშვიდობიანად, ერთ საზოგადოებაში თანაარსებობის პოპულარიზაციას. მაუწყებელმა გადაცემებში უნდა ასახოს რეგიონის ეთნიკური მრავალფეროვნება, ხელი შეუწყოს ყველა განსხვავებული ადამიანის მიმართ ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბებას. ტელევიზიისა და რადიოს ეთერი უნდა დაეთმოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის და საგანძურის წარმოჩენას, პოპულარიზაციასა და დაცვას. მაუწყებლის ფონდი უნდა დაეთმოს ასეთი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და კონსერვაციას. მაუწყებლის არქივში დაცული უნდა იყოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ აუდიოვიზუალური კონტენტი.

სპორტი

მაუწყებელმა პროგრამულ თემატიკებში, ასევე, ცალკეული პროგრამების საშუალებით, უნდა ასახოს რეგიონისა და ქვეყნის სპორტული საკითხები, სპორტსმენების წარმატებები და მიღწევები. ეთერში ასახული უნდა იყოს სპორტული ინფრასტრუქტურის, სპორტული კლუბების და დარგების განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები, წარმოჩენილი უნდა იქნას დარგში არსებული პრობლემები და ეთერი დაეთმოს მათი მოგვარების გზებზე საზოგადოებრივ დისკუსიას. მაუწყებელმა მაღალი ხარისხით უნდა გადასცეს სპორტული ღონისძიებები, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ისეთი ღონისძიებების ტრანსლირებას, რაც იმართება რეგიონში ან რომელშიც მონაწილეობს რეგიონის წარმომადგენელი სპორტსმენი. გადაცემებში უნდა წარმოჩნდნენ სპორტსმენები და საზოგადოებისთვის მოთხრობილი იყოს ისტორიები მათ მიღწევებზე. მაუწყებელმა ხელი უნდა შეუწყოს ახალგარზდებში სპორტისადმი ინტერესის გაღვიძებას და გაძლიერებას, ასევე, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ფიზიკური აქტივობის პოპულარიზაციას.

დოკუმენტალისტიკა

დოკუმენტალისტიკა აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ტრადიციულად ძლიერი მხარეა. მაუწყებელმა სათანადრო რესურსები უნდა დაუთმოს დოკუმენტური კონტენტის წარმოებას და მის ტრანსლირებას. დოკუმენტალისტიკის მიმართულებამ

ხელი უნდა შეუწყოს ისტორიის და აწმყოს შესახებ ფაქტების შეგროვებას და შემდგომი თაობებისთვის შენახვას. ტელევიზიამ და რადიომ უნდა უზრუნველყოს დოკუმენტური მიმართულების პროგრამების მრავალფეროვნება.

3. მიმდინარე და სამომავლო პროგრამათა განრიგი;

საანგარიშო პერიოდში განსაზღვრული ახალი 2021-2022 წლების პროგრამული პრიორიტეტების შესაბამისად: 2021 წლის ტელევიზიის სამაუწყებლო ბადეში განთავსებული იყო შემდეგი გადაცემები:

1. „ერთი დღე სოფელში“ - გადაცემა სოფლის ისტორიებზე;
2. „ეთნოფორი“ - ეთნიკური კულტურა, ხალხური სიმღერა;
3. „მე ვარ ფერმერი „- გადაცემა მეურნეობის შესახებ;
4. „უცხო სუნელი“ - კულინარული პროექტი;
5. „პროექცია „- ინტერვიუები საინტერესო ადამიანებთან;
6. „თეთრი კვადრატი“ - გადაცემა კინოხელოვნების შესახებ;
7. „ბუნების კანონი“ - გადაცემა ბუნების დაცვაზე;
8. „ბიბლიოთეკა“ - გადაცემა ლიტერატურის შესახებ;
9. „სცენა“ - გადაცემა თეატრალურ ცხოვრებაზე;
10. „ვემსახურები საქართველოს“- სამხედრო-შემეცნებითი გადაცემა;
11. „ევრომაქსი“- DW (დოიჩე ველეს პროექტი);
12. „სახალხო კონტროლი“;
13. „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი“;
14. „საგამოძიებო სპეციალური რეპორტაჟი“ ;
15. გადაცემა „ქუჩის მუსიკოსები“ – 7 გადაცემა და გალა-კონცერტი;
16. „ტელესპექტაკლები“;
17. „საავტორო დოკუმენტური ფილმები'' .

2022 წელი

თოქ-შოუ:

1. ზუმი-სპორტკლუბი - სპორტული გადაცემა

2. ზუმი-ჰეშთეგი -სოციალურ-ანალიტიკური მედია პროდუქტი

3. ზუმი-იმპულსი - სამედიცინო გადაცემა

4. ზუმი-არტ-ექსპერტი -კულტურის შესახებ

5. Zoom განათლებაზე

6. ზუმი-მთავარი ეკონომიკაში

7. დილის ტალღა - გასართობ-შემეცნებითი გადაცემა;

8. შუადღე - შუადღის შოუ

9. მთავარი აჭარაში - საზოგადოებრივ-პოლიტიკური;

10. „თვითმმართველობის არჩევნები 2021“ (საარჩევნო თოქ-შოუ)

11. „თავისუფალი სივრცე ვახო ხუზმიაშვილთან ერთად“

12. „სათქმელი ირინა ყურუასთან ერთად“

13. „მთავარი აჭარაში ლაშა ზარგინავასთან ერთად“

საავტორო გადაცემები:

„ერთი დღე სოფელში“

,,ერთი დღე სოფელში” უკვე ათი წელია გადის აჭარის ტელევიზიის ეთერში. გადაცემის მიზანი კვლავინდებურად საინტერესო სოფლების აღმოჩენა და მაყურებლისთვის მათი ისტორიის გაცნობაა. პანდემიის მიზეზით 2021 წელს ძირითადად გადაცემები შუახევის, ხულოს, ქედის, ხელვაჩაურის და ქობულეთის სოფლებზე მომზადდა. საინტერესო იყო წლის ბოლოს გადაღებული საახალწლო გადაცემა, რომელიც სტამბოლთან ახლოს მდებარე ბეიქოზში მცხოვრებ ჩვენებურების ცხოვრებას ასახავდა. საინტერესო იყო ის ფაქტი, რომ იქ გადასახლებული მუჰაჯირები არ კარგავენ ქართულ ენას და ცდილობენ წინაპრების ადათ-წესები მომავალ თაობებს შეუნარჩუნონ.

„ეთნოფორი“

გადაცემა „ეთნოფორი“ რვა წელია, რაც ჩვენი ტელევიზიის საეთერო ბადეშია ჩაშვებული. ამ ხნის განმავლობაში გადაცემამ მოიცვა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე თუ უკიდურესი სოფელი, სადაც კი ტრადიციული სასიმღერო ფოლკლორის ნიმუშები და მათი შემსრულებელებია შემორჩენილი. ფიზიკურად ვერ მოხერხდა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ჩასვლა არსებული მდგომარეობის მიზეზით, თუმცა გასულ წელს რამდენიმე ნიმუში და გადაცემა მომზადდა, სადაც ისმის აფხაზური რეპერტუარი. მიუხედავად პანდემიით გამოწვეული მძიმე მდგომარეობისა მოხერხდა ფშავში არსებული სასიმღერო ფოლკლორის ნიმუშების, იმერული ქალაქური ფოლკლორის თუ ყოფაში არსებული ნიმუშების, აჭარა-გურიაში არსებული ოჯახების, კახეთში ინდივიდუალური შემსრულებლების ჩაწერა. გადაცემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხაზი რეპერტუარის შესაბამისად, არსებული ნიმუშის ყოფაში გაცოცხლებაა. საინტერესო იყო, ქუთაისში არსებული ანსამბლ „ჭონასთან“ მომზადებული გადაცემა, სადაც ყოფაში გააცოცხლეს „ყუმურის ნადური“, უნიკალური ნიმუში, შრომის ჟანრის სიმღერებიდან, სიმღერა თოხნისას ისე როგორც ეს ოდესღაც. წალკაში გადაცემამ სასულიერო პირების სამონასტრო ცხოვრება გააშუქა, ისინი კულტურული მოღვაწეობის საუკუნოვან ტრადიციებს აგრძელებენ და ამ დრომდე ნაკლებად ცნობილნი იყვნენ საზოგადოებისთვის.

„მე ვარ ფერმერი“

პროგრამა მოიცავს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების საკითხებს და მიზნად ისახავს ტრადიციული თუ ახალი დარგების, სამაგალითო ფერმერული მეურნეობების წარმოჩენასა და თანამედროვე ინოვაციური მიდგომების პოპულარიზაციას. 2021 წლის განმალობაში, გადაცემების თემატიკა განსაზღვრული იყო აგროკალენდრის მიხედვით. ვინაიდან, პანდემიის პერიოდში დარგის მიმართ ინტერესი საგრძნობლად გაიზარდა - 2021 წელს გადაცემების დიდი ნაწილი პანდემიის პერიოდში შექმნილ თუ განვითარებულ მეურნეობებსა და დამწყებ ფერმერებს დაეთმოთ. მთავარი აქცენტები გაკეთდა იმაზე, თუ რა პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დადგა აგრობიზნესი, მცირე და საშუალო ზომის საოჯახო ფერმები. გამომდინარე აქედან 2021 წლის განმავლობაში მაყურებელსა და გადაცემას შორის ინტერაქცია ორჯერ გაიზარდა. 2022 წელს პროგრამა მიზნად ისახავს - ფორმატის გამრავალფეროვნებას. სხვა ქვეყნების სოფლის მეურნეობის პრაქტიკისა და გამოცდილებების გაზიარებას, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციური პროექტების გაშუქებას.

„უცხო სუნელი“

პროგრამა მაყურებელს ჯანსაღი საკვები პროდუქტის ოპტიმალურ გამოყენებას სთავაზობს, აცნობს სამზარეულოს საინტერესო ასპექტებს. პროგრამა განსაკუთრებით დიდ ადგილს უთმობს აჭარის, ასევე საქართველოს სხვა რეგიონების ტრადიციული სამზარეულოს წარმოჩენას, გეგმავს და ანხორციელებს კულინარიულ ექსპედიციებს. 2021 წელი უცხო სუნელის შემოქმედებითი ჯგუფისთვის, პანდემიის პირობებში იყო ერთგვარი გამოწვევა და პროგრამის შინაარსობრივი მხარის ცვლილების საფუძველი. კერძოდ პრიორიტეტი მიენიჭა მაყურებლისთვის ჯანსაღი კვების და პროდუქტების ოპტიმალური გამოყენების პრაქტიკის ჩვენებას. ამ პრინციპით მომზადდა უცხო სუნელის რამდენიმე სეზონი ღია სივრცეში. მიმდინარე წლის მთავარ გამოწვევად ისევ რჩება პანდემიის პირობებში კვებითი რაციონის გამრავალფეროვნება და მაყურებლისთვის საინტერესო რეცეპტების შეთავაზება. პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტებს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისა და ეთნიკური ტრადიციების მრავალფეროვნების წარმოჩენის შესახებ, ასევე აუდიტორიის ინტერესს კულინარიული მრავალფეროვნების თაობაზე.

„პროექცია“

გადაცემის მთავარი მიზანი ამა თუ იმ სოციალური საკითხებისა და გამოწვევების საზოგადოებისთვის გაცნობა, პოპულარიზაცია და განხილვაა. გადაცემის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება სტარტაპია. უკანასკნელ პერიოდში გადაცემის ხშირი სტუმრები სწორედ წარმატებული სტარტაპერები არიან, რომლებიც ბიზნეს გამოცდილებას უზიარებენ დამწყებ სტარტაპერებს. მნიშვნელოვანი მიმართლებაა განათლების პოპულარიზება, განსაკუთრებით აქტუალურია პროფესიული განათლების სფერო. გადაცემის ხშირი სტუმრები სწორედ ამ სფეროში მოღვაწე პირები არიან. უმნიშვნელოვანესი პრიოერიტეტი მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვაა, ჩვენი გადაცემის ხშირი სტუმრები სწორედ სამედიცინო სფეროს წარმატებული პროფესიონალები არიან. ასევე არსებულ რეალობაში, შეუძლებელია აქტუალური არ იყოს კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული საკითხები, გადაცემის ხშირი სტუმრები ფსიქოლოგები არიან, რომლებიც საზოგადოებას ეხმარებიან პანდემიის გამოწვევებს სწორად და ადეკვატურად გაუმკლავდნენ. პროექციას მუდმივად სტუმრობენ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანები და თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ საზოგადოებას, ეხმარებიან არსებული სოციალური და ყოფითი პრობლემების დაძლევაში. პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტებს და აუდიტორიის ინტერესებს საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში მიმდინარე აქტუალური პროცესებისა და ამავე სფეროებში მოღვაწე წარმატებული ადამიანების მიღწევათა წარმოჩენის მიმართულებით.

,,თეთრი კვადრატი"

გადაცემა ქართველ და უცხოელ კინემატოგრაფისტებზე, კინოს ისტორიასა და დღევანდელობაზე, ქართულ და უცხოურ კინოფესტივალებზე, ქართული კინემატოგრაფის მისიაზე, ახალბედა კინემატოგრაფისტების წარმოჩენაზე. გადაცემაში მისი არსებობის მანძილზე 50-ზე მეტი ფილმის მსოფლიო და საერთაშორისო პრემიერის ტრანსლირება მოხდა, ბევრი მათგანი მწარმოებელი ქვეყნის ტელეეკრანებზეც არ ყოფილა. პანდემიური გარემოდან გამომდინარე წელს გადაცემების მომზადება უცხოური კინოფესტივალებიდან ვერ მოხერხდა, მაგრამ ადგილობრივი ფესტივალები სრულად გაშუქდა. მაგალითად გაშუქდა, თბილისის საერთაშორისო ფესტივალი - პრომეთე, საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი - BIAFF, მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი - ლიმონი. წელს 2 ფილმის მსოფლიო პრემიერა და 5 ფილმის საერთაშორისო ჩვენება გვქონდა სატალევიზიო სივრცეში. გადაცემა აქტუალურია კინემატოგრაფიულ წრეებში და ბევრი მათგანი სხვადასხვა დროს გადაცემის სტუმარი გახლდა.

,,ბუნების კანონი"

პროგრამა ყურადღებას ამახვილებს ადამიანისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების თანამედროვე გამოწვევებზე. აშუქებს ეკოლოგიურ საკითხებს როგორც გლობალური, ასევე ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი რეგიონის წინაშე მდგარი აქტუალური თემების წარმოჩენით. ნარჩენების მართვა და საჯარო მწვანე სივრცეები ქალაქში, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და სალიცენზიო ტერიტორიების მონიტორინგი, ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების დანერგვა - გასულ წელს ამ თემებზე გაამახვილა ყურადღება, ,,ბუნების კანონის" გუნდმა. პროგრამის მიზანი არა მხოლოდ პრობლემების გამოაშკარავება, არამედ გამოსავალის ძიებაცაა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბუნების დამცველების და მწვანე აქტივისტების საქმიანობის წარმოჩენას, მაყურებელმა გაიცნო ეკოსოფლის საინიციატივო ჯგუფის წევრები, საქართველოს ბიომრავალფეროვნების მკვლევარები, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების და დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომლები, გარემოს დაცვის სამინისტროს და ეროვნული სატყეო სააგენტოს წარმომადგენლები. პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტებს ბუნების დაცვის, კლიმატის ცვლილებისა და სხვა ეკოლოგიური პრობლემების გაშუქების შესახებ.

„ბიბლიოთეკა"

პროგრამა აქტიურად აწვდის საზოგადოებას ლიტერატურის სამყაროში მიმდინარე ყველა სიახლეს, აშუქებს საერთაშორისო და ქართულ პრემიებს ლიტერატურის დარგში. 2021 წელს გააშუქა ბუკერისა და ნობელის პრემიები, ლინდგრენის პრემია და ეროვნული პრემიები „ლიტერა" და „საბა". გადაცემამ უმასპინძლა არაერთ საინტერესო სტუმარს და განიხილა ყველა მნიშნელოვანი ახალი გამოცემა, როგორც თარგმანები, ისე ქართველ ავტორთა წიგნები.

2022 წელი

2021 წელს გადაცემის ფორმატში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რამაც მეტი დინამიკა შეიტანა პროგრამის მიმდინარეობაში. დაემატა ახალი რუბრიკა „პირადი ბიბლიოთეკა“, რომლის ფარგლებშიც ბათუმელი რესპოდენტები, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ადამიანები, 5 წუთის განმავლობაში საუბრობენ მათთვის მნიშვნელოვან ერთ წიგნზე. ამ რუბრიკის ფარგლებში საზოგადოება გაიცნო ლალი ანთიძის, დათო ტრაპაიძის, ინგა გოგიბერიძის, თეონა ბერიძის და სხვა საინტერესო ადამიანების პირად ბიბლიოთეკებს. 2021 წელს გადაცემის რუბრიკა „საბავშვო ბიბლიოთეკაში“ შევიდა ცვლილება - საბავშვო ახალ გამოცემებს წარადგენს მცირეწლოვანი თანაწამყვანი, ლეა ბაკურიძე, რადგანაც გუნდს მიაჩნია, რომ შესაბამის ასაკობრივი კატეგორიისთვის უფრო მიმზიდველი და საინტერესოა თხრობა, როდესაც მათ თანატოლი ესაუბრება. გადაცემას 2021 წელს ჰქონდა ყველაზე მეტი გამოხმაურება წინა წლებთან შედარებით პირად შეტყობინებებში. მაყურებელი აქტიურად აზიარებდა შთაბეჭდილებებს და ითხოვდა სხვადასხვა წიგნის განხილვას. პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტს ლიტერატურის პოპულარიზაციის შესახებ.

„სცენა“

პროგრამა სახელოვნებო-საშემსრულებლო სფეროში მიმდინარე მოვლენებს ასახავს. მისი მიზანია კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის, მეტწილად თეატრალური ცხოვრების გაშუქება. გადაცემებში წარმოჩნდება თანამედროვე და ახლო წარსულში სახელოვნებო დარგში მოღვაწე ადამიანები, შემოქმედებითი კოლექტივები, მათი მიღწევები, დღევანდელობა, თეატრალურ სფეროში არსებული მდგომარეობა, ტრადიციები, სიახლეები. 2021 წლის დასაწყისში პანდემიის გამო თეატრალური და მუსიკალური შემოქმედებითი ცხოვრება ისევ შეფერხებული იყო. გამომდინარე აქედან გადაცემის შემოქმედებითმა ჯგუფმა აქცენტი შემეცნებით შინაარსზე გააკეთა. მომზადდა რამდენიმე ნაწილიანი ციკლები თემებზე „მითი და ოპერა“, „ბალეტი და მუსიკა“, „რელიგია და მუსიკა“. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ გადაცემებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა პროფესიულ წრეებში და ცალკეულმა პედაგოგებმა ისინი სალექციო კურსში ჩართეს. 2021 წელს აღინიშნა ზაქარია ფალიაშვილისა და მიხეილ თუმანიშვილის საიუბილეო თარიღები. შემოქმედებითმა ჯგუფმა ამ ხელოვანების შემოქმედებას მიუძღვნა რამდენიმე ნაწილიანი გადაცემები. გაშუქდა ფოთის რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალი. ყურადღება დაეთმო პრემიერებს ზუგდიდის, ფოთის, მარნეულის, ოზურგეთის, ბათუმის დრამატულ თეატრებში. გადაღებულია ბათუმის მონოპიესების საერთაშორისო ფესტივალი, მუსიკალური საერთაშორისო ფესტივალი „ოპერა - ბაროკოდან დღემდე“, ღია თეატრალური ფესტივალი, მოპოვებულია მასალები ციკლისათვის „ბალეტი და მხატვრობა“, რომელიც ეთერში მიმდინარე წელს გავა. პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტებს კულტურული მრავალფეროვნების განვითარების ხელშეწყობის, სახელოვნებო-საშემსრულებლო სფეროში მოღვაწე ადამიანების წარმოჩენის მიმართულებით, ასევე აუდიტორიის ინტერესს თეატრალური ცხოვრების, თეატრალური სიახლეების გაცნობის მიმართულებით.

2022 წელი

„ვემსახურები საქართველოს“

ვემსახურები საქართველოს (სამხედრო-ანალიტიკური გადაცემა) უკანასკნელ სეზონში ორიენტირებულია რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე. თუმცა არ შეცვლილა გადაცემის ფორმატი და მიმართულება. ვემსახურები საქართველო რჩება ქვეყანაში ერთადერთ სამხედრო გადაცემად, რომელიც ქვეყნის თავდაცვის ძალებში არსებულ რეალობას აწვდის საქართველოს მოსახლეობას. გარდა ამისა აცნობს მათ ცალკეულ საჯარისო სახეობებს. ბოლო სატელევიზიო სეზონზე გადამღები ჯგუფი იმყოფებოდა ორ კონფლიქტურ რეგიონში (ყარაბახი, დონბასი) სადაც მოამზადა ექსკლუზიური გადაცემები. გადაცემა სრულად აკმაყოფილებს პროგრამული პრიორიტეტების იმ ნაწილს, რომელიც ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას გულისხმობს.

„ევრომაქსი“- DW (დოიჩე ველეს პროექტი)

DW პროექტი მოიცავს 5 ეპიზოდს სხვადასხვა თემატიკაზე:

"ART - 21" - აშუქებს მსოფლიო კულტურის და ხელოვნების მიღწევებს და ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებს;

„GLOBAL 3000“ -მოგვითხრობს მსოფლიოს გლობალურ პრობლებს (გამყინვარება, დათბობა, წყლის დეფიციტი, სიღარიბის, განათლების, დასაქმების პრობლემები და სხვა);

"ვიდრე ხვალ" - მეცნიერების მიღწევები მსოფლიოს განვითარების და ხვალინდელი პროგრესული საზოგადოების ხელშეწყობა, ეკოლოგიური ვითარების გაუმჯობესება ტექნოლოგიების გამოყენებით;

„კარგ ფორმაში" - დღევანდელი მედიცინის მდგომარეობა სხვადასხვა დაავადებების პრევენციის თვალსაზრისით, ცნობილი ექიმების გამოცდილების და მათი მიღწევების გაზიარება;

"ევრომაქსი" - პროექტი მოიცავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ტურიზმის განვითარების მიღწევებს, ფესტივალების, ექსტრემალური სფეროს, მოყვარულების საქმიანობას, მოდის კვირეულების, ბრენდული ნივთების წარმოების, კერძების მომზადების პოპულარიზაციას.

ეს პროექტი გადის არხზე მთელი კვირის განმავლობაში (შაბათ-კვირის გარდა).

„სახალხო კონტროლი"

გადაცემა "სახალხო კონტროლი", რომელიც ემსახურება მომხმარებლის უფლებების დაცვას, სურსათის უვნებლობას, ასევე სავაჭრო და კვების ობიექტებში არსებული მდგომარეობის გაშუქებას. გადაცემა აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში 2020 წლიდან გადის. მაყურებლის აქტიური დახმარებით 2021 წელი არანკალებ ნაყოფიერი იყო. გადაცემის მეშვეობით გამოვლინდა მთელი რიგი დარღვევები სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე. მაგალითი: გაფუჭებული ხორცის სარეალიზაციო მაღაზია ბათუმში, ვადაგასული თურქული ტკბილეულობა თბილისში, ყველის საწარმო სამცხე-ჯავახეთში, ბუნების დაბინძურება - მდინარეში ნარეცხი წყლის გაშვება ბორჯომში და მრავალი სხვა. ყველა ამ დარღვევაზე იყო რეაგირება სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან. 2022 წელს გადაცემა კვლავ აფართოებს არეალს და საქართველოს ყველა რეგიონში იღებს არა მხოლოდ კვების ობიექტებს, არამედ სამედიცინო დაწესებულებებს, ესთეტიკის ცენტრებს და სილამაზის სალონებს.

„მსხალი"

მსხალი, ახალგაზრდული გასართობ-შემეცნებითი თოქ-შოუა. რომელიც მიზნად ისახავს აჭარის რაიონში მაცხოვრებელი ახალგაზრდებისთვის სადისკუსიო სივრცის შექმნას და მათი ცნობიერების ამაღლებას. გადაცემაში განიხილავენ ახალგაზრდებისთვის და არამარტო ახალგაზრდებისთვის, საჭირბოროტო საკითხებს, მაგალითად: დასაქმება, მშობლებთან ურთიერთობა, განათლება, საკუთარი თავის ძიება, ინტერნეტი და ა.შ. გარდა ახალგაზრდებისა, გადაცემაში მონაწილეობას ღებულობენ კონკრეტული დარგის ექსპერტებიც, რომლებიც უფრო ღრმად განიხილავენ ამა თუ იმ საკითხებს. იმისათვის, რომ გადაცემის თემა უფრო ამომწურავი და თვალსაჩინო იყოს, ყველა გადაცემაში საჭიროებისამებრ ჩართულია რამდენიმე სიუჟეტი. სიუჟეტები არ არის კლასიკური საინფორმაციო სტილში გაკეთებული, უფრო მეტად მორგებულია თანამედროვე ინტერნეტ-სიუჟეტების ტენდენციებს, რათა ახალგაზრდებს მეტი მიმღებლობა გაუჩნდეთ კონტენტის მიმართ. თავად გადაცემის შექმნაშიც, გარდა ტელევიზიის თანამშრომლებისა, ჩართულები არიან ახალგაზრდები, რომლებიც მოხალისეობრივად ასრულებენ სხვადასხვა სამუშაოებს. საბოლოო ჯამში, გადაცემის მიზანია, რომ ის გახდეს აჭარაში მაცხოვრებელი ახალგაზრდების ერთგვარი ჰაბი, გადაკვეთის წერტილი, რომელიც უამრავ ადამიანს ერთმანეთთან დააკავშირებს და სატელევიზიო გადაცემისა გარდა, სხვადასხვა აქტივობებსაც განახორციელებს. კონცერტებს, გამოფენებს, ლექციებს და ა.შ.

რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი - ავტორი შოთა გუჯაბიძე

გადაცემის გმირებია ადამიანები, რომლებიც ვიზუალურ პროდუქტს ქმნიან - მხატვრები, მოქანდაკეები, ფოტოგრაფები და ა.შ.

„სპეციალური რეპორტაჟი“

პროგრამის მიზანია ჟურნალისტური გამოძიების წარმოება, ისეთი თემების გამოკვლევა, რომელიც კანონის უზენაესობას, ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას, ადამიანის უფლებების დარღვევას, ან სხვა აქტუალურ საკითხს ეხება. 2021 წელს მომზადდა სპეციალური რეპორტაჟები აფიორულის სქემების, ფიშინგის, ონლაინ ვაჭრობისას თაღლითობის, საავტორო უფლებების დარღვევის, ეკომიგრანტებისთვის მიწის გაფორმებისას არსებული ხარვეზების, ანტივაქსერული პროპაგანდის, ონლაინ სწავლებისას დარღვევების, ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვის, საწვავის საცალო გაყიდვისას თაღლითობის და სხვა პრობლემების შესახებ. რეპორტაჟებში წარმოჩენილი იყო მომეტებული გავლენის მქონე ჯგუფების დაფარული ინტერესების ნეგატიური გავლენა საზოგადოებაზე და მისგან გამოწვეული მოსალოდნელი შედეგებისგან მოქალაქეთა დაცვის აუცილებლობა. პროგრამა აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტს ჟურნალისტური გამოძიების წარმოებასთან დაკავშირებით.

„ქუჩის მუსიკოსები“

პროექტი შედგებოდა 7 გადაცემისგან და გალა კონცერტისგან. თემატიკა - მუსიკალური. დამზადებულია კორპროდუქციის მეთოდით, პირველი არხისა და აჭარის ტელევიზიის თანამონაწილეობით. პროექტის მეშვეობით მაყურებელმა გაიცნო აჭარაში მოღვაწე ქუჩის მუსიკოსები. მათი შესრულებული საავტორო მუსიკალური ნაწარმოებები. საფინალო დღეს კი გაიმართა გალა კონცერტი სადაც თბილისელი და ბათუმელი მუსიკოსების კოლაბორაციის შედეგად მივიღეთ საახალწლო სატელევიზიო ვიდეო პროდუქტი.

„ტელესპექტაკლი“

პროექტი – ,,ტელესპექტაკლები“ მიზნად ისახავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონალურ თეატრებში განხორციელებული სპექტაკლების პროფესიულ გადაღებას და ტელე – ვერსიების შექმნას. სატელევიზიო პროექტი განსაკუთრებული და მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ერთის მხვრივ პოპულარიზაციას უწევს ქართულ თეატრალურ კულტურას, ხოლო მეორეს მხვრივ იქმნება არქივი, რაც სამომავლოდ უნიკალური ელექტრონული ბაზა იქნება, კონკრეტული დროის განმავლობაში ქართულ თეატრში მიმდინარე შემოქმედებითი

პროცესების საკვლევად. ასევე აღნიშნული პროექტის საშუალებით თეატრებს ექნებათ სრული შესაძლებლობა პროფესიულ დონეზე გადაღებული სპექტაკლის ჩანაწერი განათავსონ სხვადასხვა საერთაშორისო თეატრალური ფესტივალების ონლაინ პლატფორმებზე და საერთაშორისო თეატრალურ საზოგადოებას გააცნონ თავიანთი შემოქმედება, რაც მომდევნო წლებში კონკრეტული თეატრების საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებებზე აქტიურ ჩართულობას უზრუნველყოფს.

საავტორო დოკუმენტური ფილმები:

დოკუმენტური ფილმი - ავტორი შოთა გურაბანიძე, გიორგი მურვანიძე.

2021 წელს შემოქმედებითი ჯგუფის მიერ მოხდა 6 დოკუმენტური ფილმის გადაღება, ფილმები შეეხებოდა სხვადასხვა აქტუალურ თემებს, საინტერესო პიროვნებებსა თუ მნიშვნელოვან მოვლენებს. წლის განმავლობაში აქცენტი გაკეთდა იშვიათი პროფესიის ადამიანების, ცნობილი საზოგადო მოღვაწეებისა თუ უბრალო მოქალაქეების ცხოვრებასა და აგრეთვე გმირობის ისტორიებზე, ასევე ერთ-ერთი ფილმი შეეხო ბათუმში მომხდარ ტრაგიკულ ფაქტს, რომელსაც რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. დოკუმენტური ფილმების შემოქმედებითი ჯგუფი ცდილობს საზოგადოებრივი მაუწყებლის მაყურებელს საინტერესო და მრავალფეროვანი ფილმები შესთავაზოს.

დოკუმენტური ფილმი - ავტორი შოთა გუჯაბიძე

დოკუმენტური ფილმები ძირითადად საქართველოს წარსულში მომხდარ ნაკლებად ცნობილ სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებს ასახავს. ფილმის პერსონაჟები არიან ადამიანები, რომლებმაც თავიანთი საქმიანობით კვალი დატოვეს ქვეყნის ისტორიაში.

ოლიკო ჟღენტის დოკუმენტური ფილმები

დოკუმენტური ფილმების თემატური სპექტრი მრავალფეროვანია. პროექტის მიზანია საზოგადოებას წარუდგინოს ქართული კულტურის, ხელოვნებისა თუ სხვა სფეროში მოღვაწე ადამიანების ცხოვრება და შემოქმედება - მათ შორის არიან მუსიკოსები, პედაგოგები, ფარმაცევტები, რეჟისორები, მწერლები, ზოგიერთი მათგანი მსოფლიოში აღიარებული ხელოვანია, ზოგი კი ნაკლებად განეკუთვნება ე.წ. პოპულარული და ცნობადი "სახეების" კატეგორიას. ყველა მათგანს საკუთარი პროფესიის მიმართ ერთგულება და სიყვარული გამოარჩევს. ფილმის თხრობის ნარატივი თავის მხრივ მოიცავს კონკრეტული ადგილის, ქალაქისა და ცალკეული ოჯახის ისტორიასაც, მკაფიოდ ასახავს ზოგადად სოციუმის ცვალებადობის დინამიკას და თანამედროვე საზოგადოებაში არსებულ პრობლემატიკას, რომლის გააზრება და შეფასება ისევ დროის, ეპოქის კონტექსტში ხდება.

თოქ-შოუ:

„ზუმი-სპორტკლუბი“

2021 წელი მთლიანად ქართული სპორტისთვის წარმატებულ წლად შეფასდა, ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე და სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებზე ქართველმა სპორტსმენებმა არაერთი გამარჯვება მოიპოვეს. ჩვენი გადაცემა მაქსიმალურად ცდილობდა წარმოეჩინა წარმატებული სპოსტსმენები და მათ მიერ ნაჩვენები შედეგები. აჭარის რეგიონისთვის ალბათ მთავარ მიღწევად ს.კ. დინამო ბათუმის მიერ მოპოვებული ისტორიული ჩემპიონობა და უეფას კონფერენს ლიგაზე ნაჩვენები შედეგი იყო, არსებული რესურსის გათვალისწინებით. 2022 წლიდან იგეგმება გადაცემის ფორმატის ცვლილება.,

„ზუმი #ჰეშთეგი“

2021 წლის განმავლობაში #ჰეშთეგის ძალისხმევა ძირითადად მიმართული იყო ვაქცინაციისკენ. ჰეშთეგმა ერთ-ერთმა პირველმა წამოიწყო მხარდამჭერი კამპანია და ამ ეტაპისთვის კამპანიის ფარგლებში 30-ზე მეტი ვიდეო მომზადდა. ამასთანავე, გადაცემამ დაიწყო ახალი მიმართულება - „ამბები ვრცლად“, სადაც სხვადასხვა მწვავე სოციალური საკითხის განხილვა სიღრსმისეულ დონეზე მიმდინარეობს და მასში წარმოჩენილია საკითხთან დაკავშირებული აქტუალური მხარეები. ამ ეტაპისთვის მეტწილად დაფარულია ისეთი თემები, როგორიცაა: მედიკამენტების ფასის რეგულირება, მარტოხელა დედობა, ტრანსპორტის პოლიტიკა, დევნილობა, სამართალდამცავი სისტემის წინაშე მდგარი გამოწვევები და სხვა. 2022 წელშიც, ბუნებრივია, საკითხის აქტუალურობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, შენარჩუნდება ვაქცინაციის მხარდამჭერი კამპანია და გაძლიერდება სოციალური საკითხების კიდევ უფრო მრავალშრიანი განხილვის ფორმატები.

„ზუმი-იმპულსი“

ბოლო რამდენიმე წელია სამედიცინო გადაცემა „იმპულსი“ განსხვავებულ ფორმატში გადავიდა და დარგობრივი გადაცემების ზოლში (ოთხშაბათს 19:00 საათზე) მაუწყებლობს. შეიცვალა სტუდია, ქრონომეტრაჟი (40-45 წუთი) და ფორმატი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ერთდროულად რამდენიმე თემა მიმოვიხილოთ.

ამ ეტაპზე გადაცემა კორონავირუსის აქტუალობიდან გამომდინარე პირველ და მეორე ბლოკს ძირითადად კოვიდთან დაკავშირებულ დაავადებებს უთმობს, მესამე ბლოკში კი სხვა დაავადებებზე არის საუბარი (მსოფლიო დღეები, პრევენციის კვირეულები ან ინფორმირებულობის თვეები). 2021 წელს გადაცემის ფორმატის ცვლილება გულისხმობდა არა მარტო დაავადებების ფართოდ გაშუქებას, არამედ რეგიონში და მთლიანად ქვეყანაში სამედიცინო სფეროში მომხდარი აქტუალური მოვლენების შესახებ საზოგადოების

საფუძვლიანად ინფორმირებას. 2022 წელს კიდევ ერთი სიახლე დაინერგა, რომელსაც პერიოდული სახე მიეცემა. ყოველკვირეულად უცხოეთში მოღვაწე ქართველ სპეციალისტებს ვაცნობთ საზოგადოებას, რომლებიც მედიცინასთან დაკავშირებულ სპეციალობებში (ფიზიოლოგია, ბიოლოგია, ეპიდემიოლოგია, სამედიცინო ფიზიკა და ა.შ.) მოღვაწეობენ და ჩვენი ქვეყნის და რეგიონის პოპულარიზაციას ახდენენ. ეს ადამიანები წარმატებულები არიან საკუთარ სფეროში და იმ ქვეყანაში სადაც მუშაობენ, თუმცა საქართველოში მათ შესახებ ნაკლები ინფორმაცია აქვთ. სწორედ ასეთი ადამიანების გაცნობა და მათი გამოცდილების გაზიარება არის ჩვენი ახალი რუბრიკის მიზანი. ასევე დაწყებულია სხვა ცვლილებები (ექიმის რჩევის რუბრიკა), რომლებსაც მაყურებელს ეტაპობრივად შევთავაზებთ.

„ზუმი არტ-ექსპერტი“

გადაცემა „არტ ექსპერტი“ თანმიმდევრულად აშუქებს ხელოვნების და კულტურის სფეროში მიმდინარე მოვლენებს. შემოქმედებითი ჯგუფის მიზანია ამ სფეროში არსებულ პრობლემების გაანალიზება საქართველოში და მის გარეთ მოღვაწე ქართველ ხელოვანებთან ერთად. 2021 წლის მანძილზე შენარჩუნებული კოვიდ- პანდემიის ფონზე გადაცემა ბევრი გამოწვევის წინაშე დადგა. პირველ რიგში, ეს შეჩერებული, გადადებული და ზოგ შემთხვევაში გაუქმებული სახელოვნებო პროექტები გახლდათ. თუმცა, გასულ წელთან შედარებით კულტურული ცხოვრება მაინც გააქტიურდა. მიმდინარე წელს გადაცემაში დამკვიდრდა რუბრიკა უცხოეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანების შესახებ. ეს ის ადამიანებია, რომლებმაც სხვადასხვა მიზნით დატოვეს საქართველო და შემოქმედებითი ცხოვრება უცხოეთში დაიწყეს, ბევრი მათგანი დღეს წარმატებული და ცნობილი ხელოვანია. მათთვის ამ რუბრიკას დიდი მნიშვნელობა აქვს, ხშირ შემთხვევაში „არტ ექსპერტი“ ერთადერთი საშუალება აღმოჩნდა მათი მოღვაწეობის პოპულარიზაციისთვის. ხშირად გადაცემაში ჩართვის ინიციატივა უცხოეთიდან მოდის და რესპოდენტები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან გადაცემაში ჩართვას. წელს გადაცემის შემოქმედებით ჯგუფს შემოურთდა ახალგაზრდა ჟურნალისტი ანა ვაშაყმაძე, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხებისადმი განსაკუთრებული ინტერესით გამოირჩევა. მის მიერ მომზადებული სიუჟეტებით გადაცემა მრავალფეროვანი და მობილური გახდა. წელს „არტ ექსპერტი“-ს შემოქმედებითი ჯგუფის მიზანი სტუდიაში მოწვეული სტუმრების რაოდენობის გაზრდა, დისკუსიის ფორმატის დამკვიდრება და სხვადასხვა შეხედულებების ხელოვანებისთვის ერთ სივრცეში მსჯელობის შესაძლებლობის შეთავაზებაა.

„Zoom განათლებაზე“

პირველი გადაცემა 2020 წლის 19 ივნისს გავიდა, იმ პერიოდში, როცა პანდემიით გამოწვეული ინფორმაციული ვაკუუმი უფრო და უფრო რთულ ფორმებს იღებდა. 2021 წლის 4 ნოემბერს გადაცემა „zoom განათლებაზე“ განახლებული ფორმატით დაბრუნდა ეთერში. სტუდიური გადაცემა ,პირდაპირი ეთერის რეჟიმში საშუალებას იძლეოდა აქტუალური

კითხვები სტუმრებთან დაგვესვა. ასევე კოვიდ რეგულაციების გამო ვერ მოხერხდა სხვადასხვა რეგიონებში გამგზავრება და სიტუაციის ადგილზე აღწერა და ამ ინფორმაციის შეგროვებას ზუმ ჩართვების საშუალებით ხორციელდებოდა. გადაცემის მრავალფეროვნებისთვის იგეგმება რეალურ დროში გადაღებული ვიზუალური მასალის, ვიდეოების საინტერესო პროფესიებსა და ადამიანებზე ინფორმაციის განთავსება, ასევე პანდემიის გამოწვევების გათვალისწინებით უცხოური გამოცდილების გაზიარება და სიტუაციის ადგილზე გაცნობა. პანდემია საგანმანათლებლო სივრცისთვის ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება. განათლების ხარისხის რეგრესი პროგრესს განიცდის, ასე რომ მიმდინარე სეზონის განმავლობაშიც დიდი ალბათობით ძირითადი სასაუბრო თემები კვლავ განათლების ხელმისაწვდომობა იქნება. ონლაინ ჩართვების გამოცდილება 2022-წლის სეზონზეც გაგრძელდა, თუმცა სეზონის განმავლობაში გადაცემამ მოიცვა თითქმის ყველა მნიშნელოვანი თემა, რაც განათლების საკითხებით დაინტერესებული მაყურებლისთვის იყო მნიშნელოვანი პანდემიის პერიოდში.

„ზუმი - მთავარი ეკონომიკაში“

„მთავარი ეკონომიკაში“ არის ყოველკვირეული ანალიტიკური გადაცემა ეკონომიკასა და ბიზნესზე. ფორმატი ითვალისწინებს დარგში არსებული სიახლეებისა და ტენდენციების საზოგადოებისა და დაინტერესებული აუდიტორიისთვის გაცნობას და სპეციალისტების ჩართულობით მათზე მსჯელობას. „მთავარი ეკონომიკაში“ ეთერში გადის 2020 წლის 21 ივნისიდან. ამ ხნის განმავლობაში, სხვადასხვა აქტუალურ თემებზე, 2020 წელს ახალი სატელევიზიო სეზონის დაგვიანებით დაწყებისა და კოვიდვითარების გათვალისწინებით, მომზადდა და ეთერში გავიდა 50 გადაცემა შეიცვალა გადაცემის ქუდი და გაუმჯობესდა გრაფიკა. კერძოდ, მოხდა სპეციალური კონტენტის შეძენა, რომელიც იძლევა საშუალებას მაყურებელს იოლად აღსაქმელად მიეწოდოს სხვადასხვა სახითა და დიზაინით დამუშავებული სტატისტიკური მონაცემები. ამასთან, გადაცემა გახდა უფრო მრავალფეროვანი და სტრუქტურტირებული, რაც გულისხმობს იმას, რომ სტუმრების რაოდენობის შესაბამისად დაიყო სამ ნაწილად და მათი გადაბმა ხდება განსახილველ თემასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემებითა და კომენტარებით (შესავალი-სტატისტიკაკომენტარი-სტუმარი; შესავალი-სტატისტიკა-კომენტარი-სტუმარი; შესავალის ტატისტიკა-კომენტარი-სტუმარი). ამავდროულად, მოხდა მოძრავ სტრიქონში მისაწოდებელი ინფორმაციის ოპტიმიზაცია, დახვეწა და გაუმჯობესება, რათა მაყურებლისთვის მისაწოდებელი დეტალური სტატისტიკური მონაცემები ყოფილიყო უფრო იოლად აღქმადი და გასაგები. პარალელურად, გაგრძელდა მუშაობა გადაცემის გავრცელებასა და პოპულარიზაციაზე სოციალურ ქსელებში. უფრო კონკრეტულად, სისტემატური ხასიათი მიიღო ფეისბუქ გვერდზე პირდაპირი ეთერებისა და ანონსების გაზიარებამ და შეიქმნა გადაცემის ჯგუფი (3 ათას წევრზე მეტი), რამაც გაზარდა გვერდის მომხმარებელთა (3 ათას გამომწერამდე) და მაყურებელთა რიცხვი ვირტუალურ სივრცეში. ასევე, გადაცემები სისტემატურად იტვირთება მაუწყებლის ოფიციალურ (https://ajaratv.ge/article/89659) და Youtube (https://www.youtube.com/c/AjaraTVBroadcaster) გვერდებზე. ამ ეტაპზე გაზრდილია გადაცემის

ქრონომეტრაჟიც და ის სტაბილურად აღწევს 45-50 წუთს. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ დღეისთვის „მთავარი ეკონომიკაში“ უკვე ცნობადი და პოპულარულია დაინტერესებული აუდიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში და დაიკავა თავისი ადგილი ეროვნულ მაუწყებლებზე მომზადებული ეკონომიკური გადაცემების ჩამონათვალში. ამის ერთ-ერთი დასტური კი არის ის, რომ მნიშვნელოვნად გაფართოვდა დარგის იმ საკმაოდ გავლენიან და ავტორიტეტულ სპეციალისტთა (ეკონომისტები, ბიზნესმენები, სტატისტიკოსები, ხელისუფლებისა და ბიზნესასოციაციების წარმომადგენლები) წრე, რომლებიც მონაწილეობენ გადაცემაში, ხოლო ბიზნესი უფროდაუფრო მეტ ინტერესს იჩენს გადაცემისადმი და ითხოვს მათ პრობლემებზე და მიღწევებზე მეტ აქცენტებს. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მეტი ყურადღება დაეთმობა კონკრეტული ბიზნესსუბიექტების პრობლემებისა და მიღწევების გაშუქებას. ასევე, იგეგმება გადაცემის შეფუთვის და გრაფიკული კონტენტის კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესება და გამრავალფეროვნება, ვიზუალის დახვეწა, პრომოუშენის გაძლიერება და სხვადასხვა საშუალებებით მაყურებელთა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა. მიმდინარეობს მუშაობა ანონსების ეფექტურობის გაზრდის კუთხითაც.

„დილის ტალღა“

,,დილის ტალღა“ დილის სტუდიური გადაცემა გადის კვირაში ორჯერ, შაბათ-კვირას. გადაცემა “დილის ტალღა” გადაიცემა ეთერში შაბათს და კვირას, რადგანაც გადაცემას ჰყავს 5 წამყვანი, რასაც არსებული სტუდია ფიზიკურად ვერ იტევდა, შაბათს გადაცემას უძღვებოდა წამყვანების ერთი ნაწილი, კვირას კი - მეორე. შედეგად ერთი გადაცემა აღიქმებოდა როგორც ორი სხვადასხვა და ძნელი იყო მუდმივი აუდიტორიის შემოკრება. ამიტომ გადაწყდა მეორე სტუდიის შექმნა. მოეწყო განსხვავებული დიზაინის და შინაარსობრივი დატვირთვის “დილის ტალღის” დამატებითი სტუდია და შედეგად გადაცემა გადის ორი სტუდიიდან პარალელურად, რაც ქმნის გაცილებით უფრო მაღალ დინამიკას; ასევე შეიცვალა მიდგომაც, თუკი ადრე წამყვანები მხოლოდ სტუდიაში მუშაობდნენ, ახლა ისინი სიუჟეტებსაც იღებენ, და ლაივ-ჩართვებშიც მონაწილეობენ. ამის შედეგად თუკი ადრე გადაცემაში 1-2 სიუჟეტი გადიოდა, ამ მიდგომით ეს რიცხვი გაიზარდა 6-7- მდე, რამაც გადაცემა გახადა ვიზუალურად უფრო მიმზიდველი. შეიცვალა გადაცემის კონცეფციაც, ის გახდა მაყურებლის საჭიროებებზე მორგებული და მისთვის პრაქტიკული მოხმარების ინფორმაციის წყარო, კერძოდ ყველა თემა ამჟამად პასუხია კითხვაზე - როგორ (როგორ წარვმართო ოჯახის ბიუჯეტი, როგორ ვმართო ურთიერთობა მეუღლესთან, სამსახურში, დამსაქმებელთან, არასრულწლოვან შვილთან, როგორ მოვაწყო ბინა, მოვამზადო საუზმე მხოლოდ იმით რაც აღმოჩნდება მაცივარში, როგორ ჩავიცვა მოდურად იაფად და ა.შ); ასეთმა მიდგომამ მაყურებლის ინტერესის მკვეთრი ზრდა გამოიწვია, ფეისბუქ-გვერდზე ცალკეული სიუჟეტების ნახვების რაოდენობა ახლა მოიცავს 100.000-დან 350.000-მდე დიაპაზონს, ხოლო ცალკეული გადაცემების ნახვები 20-30 ათასია, რაც მანამდე არსებულ მაჩვენებლებს 100-ჯერ აღემატება.

„შუადღე“

,,ეს შუადღე“ შუადღის სტუდიური გადაცემა გადის კვირაში ხუთჯერ, ყოველ სამუშაო დღეს. გადაცემამ „ეს შუადღე“, მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის პერიოდში შევიდა ეთერში და ამის გამო რამდენჯერმე მოუწია შეჩერება, მოახერხა ფეისბუქგვერდზე 10 000 გუშემატკივარის მოზიდვა. გადაცემამ რეალური რვათვიანი მაუწყებლობის შედეგად მოახერხა მუდმივი მაყურებლის შეძენა და შექმნა ინტერაქტივის რეალური სივრცე. საზოგადოება, მათი ცალკეული ინიციატივები, მეწარმეები, სახელმწიფო სტრუქტურების საზოგადოებრივი პროექტები, უფლებადამცველი პერსონები და ორგანიზაციები გახდნენ გადაცემის ორმხრივი მომხმარებლები. ისინი იღებენ და აწვდიან ინფორმაციას გასავრცელებლად, გადაცემის დროს, სივრცეს და აუდიტორიას იყენებენ აქტუალურ თემებზე დისპუტისთვის. გადაცემას აქვს პერსპექტივა და განსაზღვრულ სამიზნე ჯგუფებთან ერთად ფართო აუდიტორიის მოცვის რესურსი. ჯგუფი მუშაობს სამოქმედო არეალის გასაფართოებლად.

საინფორმაციო გამოშვება ,,მთავარი“

ყოველდღიური საინფორმაციო გამოშვებები, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიით მზადდება, ინფორმაციის მიღების ყველაზე სანდო წყაროა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობისთვის და არამარტო. გამოშვებებში მოძიებული და გაშუქებული თემები, ნეიტრალური და ალტერნატიული ფორმით მიეწოდება რეგიონის მიღმა მცხოვრებ მოსახლეობასაც საზოგადოებრივი მაუწყებლის სტანდარტების შესაბამისად. ჩვენ გათვითცნობიერებული გვაქვს ის ვალდებულებები და პრინციპები, რომელიც ობიექტურ მედიას შეესაბამება და გააზრებული გვაქვს ისიც, რომ ვართ საზოგადობრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის გუნდი, რომლის ყოველდღიური მუშაობის პრინციპია, ავსახოთ მოვლენები და ფაქტები მიუკერძოებლად, ობიექტურად, ყველა მხარის ჩართულობით, ისე, რომ მაყურებელს არ დარჩეს კითხვები და ინფორმაციის გადამოწმების საჭიროება. დღის საინფორმაციო გამოშვებები, მზადდება და გადაიცემა ყოველდღიურად 12:00, 15:00 და 18:00 სთ-ზე. დღის მთავარ თემებს აჯამებს ცენტრალური გამოშვება, რომელიც ეთერში 20:00 სთ-ზე გადის. საინფორმაციო სამსახურს საკუთარი ბიუროები გააჩნია აჭარის სამ მუნიციპალიტეტსა და დედაქალაქში, რაც ინფორმაციის სწრაფი და ობიექტური გაშუქების საშუალებას იძლევა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ტექნიკური და ადამიანური რესურსი იძლევა შესაძლებლობას, ფორსმაჟორულ სიტუაციებში, ვუზრუნველყოთ სპეციალური გამოშვების მომზადება და ეთერში გაშვება, შემთხვევის ადგილიდან პირდაპირი ჩართვისა და სხვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, რაც მაყურებელს საშუალებას აძლევს, რეალურ დროში მიიღოს ინფორმაცია. ფორსმაჟორულ ვითარებაში მუშაობის გამოცდილება, საინფორმაციო სამსახურის გუნდს, წლების განმავლობაში დაუგროვდა და წარმატებით იყენებს პრაქტიკაში, რაც ჩვენს მაუწყებელს ამითაც გამოარჩევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო ველზე. საინფორმაციო გუნდი, რეგიონში გამოირჩევა ამბების

ექსკლუზიურად მოპოვებისა და გავრცელების თვალსაზრისითაც. სწორედ მისი ეთერი გამხდარა არაერთი ექსკლუზიური ინფორმაციის გახმოვანების პლატფორმა მედიაში, რაც შემდეგ სხვადასხვა მედიასაშუალებას გაუშუქებია.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ, აუდიტორიის დროული და აქტიური ინფორმირება, რასაც გუნდი წარმატებით ართმევს თავს. არ დარჩენილა არც ერთი აქტუალური თემა, ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, რომელზეც ჩვენს მაყურებელს, ამომწურავი ინფორმაცია არ ჰქონია, მათ შორის პირდაპირი ჩართვების რეჟიმში.

აჭარის რეგიონი ერთ-ერთი აქტიური პოლიტიკური ცენტრია ქვეყანაში და შესაბამისად, მაუწყებელი აქტიურად აშუქებს ყველა პოლიტიკური სუბიექტის აქტივობას, უთმობს მათ საეთერო დროს, მათ შორის დღისა და ცენტრალურ საინფორმაციო გამოშვებებში. მაუწყებლის მუშაობა ეფუძნებოდეს ჟურნალისტიკის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. პოლარიზებული პოლიტიკურ და მედია გარემოში, უზრუნველყოფილია პოლიტიკური პროცესების მიუკერძოებლად გაშუქება, რაც კომუნიკაციების კომისიის 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების შედეგებშიც აისახა:

„საანგარიშო პერიოდში „აჭარის ტელევიზიის“ ეთერში, წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქება მიმდინარეობდა შესაბამისი საკანონმდებლო ნორმებისა და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით, მიუკერძოებლად, არადისკრიმინაციულად, მშვიდ ტონებში. წამყვანები და ჟურნალისტები იცავდნენ ობიექტურ მიდგომას ყველა წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიისა და არჩევნებში მონაწილე კანდიდატის მიმართ. ადგილი არ ჰქონდა პოლიტიკური სიმპათიების გამოხატვას და დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენებას, მომზადებული სიუჟეტები იყო დაბალანსებული.

თითოეულ სიუჟეტში მხარეებს შორის დრო თანაბრად იყო განაწილებული, ყველა მონაწილეს ეძლეოდა საშუალება გამოეთქვა თავისი მოსაზრება. წინასაარჩევნო სიუჟეტები ძირითადად ამომრჩევლის ინფორმირებას ემსახურებოდა“,- ნათქვამია მონიტორინგის დასკვნაში.

სათანადო დრო ეთმობა რეგიონსა და ქვეყანაში მცხოვრებ ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობებს, მათ აქტივობებსა და სათქმელის მიტანას საზოგადოებამდე. მათი ხმა, ჩვენს მიერ მომზადებულ საინფორმაციო გამოშვებებში მუდმივად ისმის.

ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი და სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობა, მათი კვლევების, დასკვნებისა და აქტივობების გაშუქება, რაც უზრუნველყოფს დემოკრატიული ფასეულობების საზოგადოებამდე მიტანას. ამ მხრივ გამორჩეულია, სახალხო დამცველის, სახელმწიფო და შრომის ინსპექციის საქმიანობის სათანადო გაშუქება, რომელსაც საინფორმაციო გამოშვებებში მნიშვნელოვანი დრო ეთმობა, მათ შორის სტუმრების მოწვევითა და პირდაპირი ჩართვებით.

ფაქტობრივად, არ ყოფილა არც ერთი აქტივობა, რომელიც უკავშირდება ევრო და ჩრდილო ატლანტიკურ სტრუქტურებს და სათანადო დრო არ დაგვეთმოს. ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენი

მაყურებლების უმრავლესობის ნებას, ევროინტგრაციასთან დაკავშირებით და შესაბამისად ვაწვდით უახლეს ინფორმაციებს, ამ სტრუქტურების შესახებ.

ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით მოქალაქეებს მიეწოდებათ სრულფასოვანი ინფორმაცია ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობის შესახებ.

საინფორმაციო პროგრამებში სათანადო დრო ეთმობა სოციალურ პრობლემებსა და თემატიკას. თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში შუქდება ქალაქების, მუნიციპალიტეტების, თემებისა და დაბების საჭიროებები, იქ მცხოვრები მოსახლეობის სოციალური პრობლემები ინდივიდუალურ დონეზე.

უაღრესად მნიშნელოვანია აჭარის, როგორც ტურისტული და ეკონომიკური პოტენციალი და ამ გზით მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის წილი, შესაბამისად, ეს სფეროები ერთ-ერთი პრიორიტეტია და ყველა გამოშვებებში ვცდილობთ კომპეტენტურად და მაღალპროფესიულად მომზადებული ინფორმაციის მომზადებას, მათ შორის სტუმრების პირდაპირ ეთერში ჩართვის რეჟიმში.

არაერთი დამოუკიდებელი დამკვირვებლების დასკვნებით, პროგრამა აკმაყოფილებს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებს მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციით საზოგადოების დროული უზრუნველყოფის, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის გაშუქების, ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების წარმოჩენის, უცხოეთის სიახლეების გავრცელების, საგანგებო სიტუაციის შესახებ ინფორმაციების გავრცელების, განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური, კულტურული, გენდერული და ასაკობრივი ჯგუფების ინტერესთა წარმოჩენის, ხსვადასხვა სახელისუფლებო შტოს მუშაობის გაშუქების, სოციალურ პრობლემებსა და ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების შესახებ.

„არჩვნები 2021“ (საარჩევნო თოქ-შოუ)

აჭარის მაუწყებელმა საგანგებოდ 2021 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მოამზადა და ეთერში განათავსა საარჩევნო თოქ-შოუ ,,არჩევნები 2021“. სპეციალურად 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩვნებისთვის მომზადებული გადაცემა „არჩევნები 2021“, რომლის სტუდიაც პანდემიიდან გამომდინარე, უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით, საგანგებოდ, ბათუმის მუსიკალურ ცენტრში განთავსდა.„არჩევნები 2021“-ში მონაწილეობის საშუალება მიეცა ყველა კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს. გადაცემა სრულად ეძღვნებოდა 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებს და მონაწილეობის შესაძლებლობა ჰქონდა ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელს. არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევის შედეგების მიხედვით, რომელიც მომზადებულია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს

განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით, ვკითხულობთ: გადაცემაში იწვევდნენ აჭარის ყველა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს და, ასევე, პარტიების პროპორციული სიების პირველ ნომრებს.გადაცემის დასაწყისში წამყვანები აცხადებდნენ თითოეულ საკრებულოში რამდენი ოლქია, თითოეულში რომელ პარტიას ჰყავს წარდგენილი კანდიდატი და მათ ვინაობას. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარტიის წარმომადგენელი არ მონაწილეობდა გადაცემაში, ამის შესახებ დასაწყისში აწვდიდნენ მაყურებელს ინფორმაციას. თითოეულ კანდიდატს კითხვაზე საპასუხოდ ჰქონდა 2 წუთი, ასევე, თუ საჭირო იყო დამაზუსტებელი შეკითხვის დასმა, ამისთვის დამატებით - 1 წუთი. გადაცემის დასაწყისში, იმის მიხედვით, თუ რომელი საკრებულოს კანდიდატები იყვნენ მიწვეულნი, ეთერში გადიოდა იმ კონკრეტულ რაიონში მაცხოვრებლების გამოკითხვის ვიდეო, თუ რა პრობლემებია ამ ტერიტორიაზე, რას ელოდებიან კანდიდატებისგან და ა.შ. შემდეგ კი, წამყვანების კითხვების ნაწილი სწორედ იმ რაიონის პრობლემების მოგვარების გზებს ეხებოდა. იმ შემთხვევაში, თუ მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენელს მიემართებოდა კითხვა, წამყვანები იყვნენ კრიტიკულები და ყოველთვის აზუსტებდნენ, თუ რატომ ვერ მოგვარდა კონკრეტული პრობლემები მათი ხელისუფლების პირობებში. გაჟღერებული კითხვები მოიცავდა სრულიად აჭარის რეგიონში არსებულ პრობლემებს: წყლის მიწოდება, გზების რეკონსტრუქცია, მიწების რეგისტრაცია, ქაოტური მშენებლობები, სოფლის მეურნეობა, ნეპოტიზმი, არამიზნობრივი ხარჯები და ა.შ. წამყვანები ავლენდნენ თემის ცოდნის მაღალ დონეს, იყვნენ მომზადებულები, მიუკერძოებლები. თუ რომელიმე რესპონდენტი ცდილობდა კითხვაზე თავის არიდებას, წამყვანი ახსენებდა საკითხს, უსვამდა დამაზუსტებელ კითხვებს.გადაცემაში წამყვანების მხრიდან არ დაფიქსირებულა არაეთიკური ქცევის შემთხვევა ან დისკრიმინაცია. პირიქით, 7 სექტემბრის გადაცემაში სტუმრის მხრიდან გაჟღერდა ქსენოფობიური განცხადება, რაზეც წამყვანმა საუბრის ბოლოს უთხრა, რომ მსგავსი დისკრიმინაციული შინაარსის განცხადების გავრცელება დაუშვებელია. გადაცემის სტუმარმა კი, ამ სიტყვებისთვის ბოდიშიც კი მოიხადა. ჟურნალისტები ცდილობდნენ ოპონირების გაწევას და არ აძლევდნენ საშუალებას რესპონდენტებს, რომ გაევრცელებინათ დაუსაბუთებელი ბრალდებები ოპონენტების მიმართ. მაგალითად, 7 სექტემბრის გადაცემაში, ერთ-ერთმა რესპონდენტმა კორუფციაში დაადანაშაულა ხელისუფლება, წამყვანებმა კი მიუთითეს, რომ მსგავსი ბრალდებები მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, თუ ამის შესაბამისი არგუმენტები ან მტკიცებულებები არსებობს. მაყურებელს ჰქონდა შესაძლებლობა, "თვითმმართველობის არჩევნები 2021-ის" ყურების შემდეგ, მიეღო ინფორმაცია და გაეკეთებინა ინფორმირებული არჩევანი",-ნათქვამია მონიტორინგის დასკვნაში.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუები

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოქ-შოუებს, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი გუნდი ამზადებს, რაც პირდაპირ აისახება გადაცემების შინაარსსა და ხარისხზე. აჭარის ტელევიზიის ეთერში, საზოგადოებრივ-

პოლიტიკური თოქ-შოუები გადაიცემა კვირაში ოთხჯერ. მათ შორის - ,,თავისუფალი სივრცე ვახო ხუზმიაშვილთან ერთად“ კვირაში ორჯერ, ,,სათქმელი ირინა ყურუასთან ერთად“ კვირაში ერთხელ და ,,მთავარი აჭარაში ლაშა ზარგინავასთან ერთად“ კვირაში ერთხელ. საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუები წარმოაჩენს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ მრავალფეროვნებას, პოლიტიკური მიმართულებების, შეხედულებების, მოსაზრებების სიმრავლეს. სამაუწყებლო დრო ეთმობა პოლიტიკურ დებატებს, გადაცემებში აისახება მოსაზრებათა მრავალფეროვნება. სტუდიაში მოწვევის, ან პირდაპირი ჩართვის გზით საკუთარი მოსაზრების გამოთქმის საშუალება ეძლევა ყველა პოლიტიკურ ძალას. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა და ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა ნებისმიერი აქტივობა, განცხადებები თავსდება ეთერში საუკეთესო დროს. საზოგადოებისთვის საინტერესო პოლიტიკურ საკითხებზე აზრს გამოთქვამენ როგორც ხელისუფლების, ასევე ყველა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები, ხშირია სტუდიაში სამოქალაქო აქტივისტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა სტუმრობა. მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქშოუები ხელს უწყობს მრავალი პოზიციის თანაარსებობას, პოლიტიკურ გამჭვირვალობას. პროგრამის ერთ-ერთი მიზანია ასევე საზოგადოებაში არსებული დაძაბულობის განმუხტვა, საზოგადოების კონსოლიდაციის ხელშეწყობა.

პროგრამები აკმაყოფილებს პროგრამულ პრიორიტეტებს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვაზე აქცენტის გაკეთების, მრავალი პოლიტიკური პოზიციის თანაარსებობის, საზოგადოების ღიაობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის, პოლიტიკური დებატების მოწყობისა და ცრუ ინფორმაციის ნეგატიური გავლენისგან საზოგადოების დაცვის მიმართულებით. ყველა დასკვნა, რომელიც აჭარის ტელევზიასთან მიმართებით მომზადდა, ცხადყოფს, რომ თოქ-შოუებში, ყველა პოლიტიკური ძალისთვის იყო შეთავაზებული საკუთარი ხედვების გადმოცემისა და საარჩევნო პროგრამების სადისკუსიო პლატფორმა.

„თავისუფალი სივრცე ვახო ხუზმიაშვილთან ერთად“

„თავისუფალი სივრცე“ კვირაში ორჯერ გადაიცემა ეთერში და აჭარის მაუწყებლის ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული გადაცემაა, რომელიც თანაბრად უთმობს დროს როგორც ოპოზიციის ისე მმართველი გუნდის წარმომადგენლებს. გადაცემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ პოლიტიკურ თემატიკაზე და შესაბამისად, საეთერო დრო ეთმობა ყველა იმ საჭირბოროტო საკითხს, რომელიც კვირსითვის, ან დღისთვის აქტუალურია. „თავისუფალი სივრცე ვახო ხუზმიაშვილთან ერთად“ უზრუნველყოფს პირდაპირი ჩართვისა და სტუდიურ რეჟიმში, მრავალფეროვანი შეხედულებისა და პოზიციის სტუმრების ჩართულობას და დებატის რეჟიმს. „თავისუფალი სივრცე ვახო ხუზმიაშვილთან ერთად“ ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისია, რომლის ეთერშიც თანაბრად ისმის ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და მმართველი გუნდის მხარდამჭერებისა და წევრების ხმა. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო პერიოდში, გადაცემის გუნდმა უზრუნველყო

კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი მერობის კანდიდატებისთვის საეთერო დროის დათმობა და მათი პროგრამების საზოგადოებისთვის გაცნობა. კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი მერობის ყველა კანდიდატს ჰქონდა საშუალება მიეღო გადაცემაში მონაწილეობა, მათი სურვილის შესაბამისად.

„სათქმელი ირინა ყურუასთან ერთად“

გადაცემა „სათქმელი ირინა ყურუასთან ერთად“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოქ-შოუა, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე, აქტუალურ საკითხებზე მზადდება. გადაცემაში, ექსპერტებთან ერთად, მოვლენების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ანალიზი ხდება. გადაცემის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ არა მხოლოდ პოლიტიკური პროცესებით დაინტერესებული პირები, არამედ - სტუდენტები, კულტურის, ჯანდაცვის და სხვა სფეროების წარმომადგენლები. გადაცემა ყველა ამ სფეროში მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე მუშაობს და არ შემოიფარგლება მხოლოდ პოლიტიკით. გადაცემა სრულად პასუხობს საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტებს, ვინაიდან მოვლენების კვალდაკვალ აანალიზებს საზოგადოებაზე მის გავლენას, ავსებს საინფორმაციო სივრცეებს იმ საჭირო და აუცილებელი ინფორმაციით, რაც საზოგადოების კეთილდღეობისა და დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისთვის განუზომლად ფასეულია. „სათქმელი“ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის პირდაპირ ეთერშია 2017 წლიდან. გადაცემა შინაარსობრივად მრავალფეროვანია. ეხმაურება ყველა საჭირბოროტო საკითხს და მოვლენას, რაც საზოგადოებას აღელვებს. სტუმრების მრავალფეროვნება, მათი მიზნობრივად და სწორად შერჩევა, წამყვანის მიერ დასმული სიღრმისეული კითხვები გადაცემას ხდის გაცილებით დინამიურსა და უფრო საინტერესოს.სტუმრების ჩართვა, ინტერნეტის საშუალებით, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან ხორციელდება. შემოდგომის სატელევიზიო სეზონზე გადაცემა „სათქმელი“ ეთერში არჩევნების პირველი ტურის შემდგომ, გადაცემა „თვითმმართველობის არჩევნები 2021-ის“დასრულების შემდგომ გადიოდა. სამონიტორინგო პერიოდში, აღნიშნული გადაცემა სულ 4 ჯერ გავიდა. საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევის მიხდვით, გადაცემის წამყვანი მომზადებული იყო და სვამდა მნიშვნელოვან კითხვებს ადგილობრივი საკითხების შესახებ.

„მთავარი აჭარაში ლაშა ზარგინავასთან ერთად“

„მთავარი აჭარაში“, ფაქტობრივად ერთადერთი საზოგადობრივ-პოლიტიკური თოქ-შოუა საზოგადობრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ეთერში, რომელიც ორიენტირებულია ძირითადად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში მიმდინარე მთავარ ამბებზე. ეს არის პლატფორმა, სადაც საზოგადოების ყველა სფეროს წარმომადგენელს აქვს მოსაზრების გამოთქმის, ანალიზისა და დებატში ჩართვის საშუალება. უკიდურესად პოლარიზებულ

პოლიტიკურ და სოციალურ გარემოში, ეს არის სატელევიზიო პროდუქტი, სადაც დაბალანსებულად და თანაბრად ეთმობათ მხარეებს საკუთარი პოზიციების გამოთქმის საშუალება, რაც არაერთხელ იქნა აღიარებული, მედიის მონიტორინგით დაკავებული ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. თემატიკის კონტექსტი დამოკიდებულია, ზემოთჩამოთვლილ სფეროებში მიმდინარე მოვლენების აქტუალობაზე. რადგანაც გადაცმა ყოველკვირეულია, ძირითადად ორიენტირებულია მწვავე თემების ანალიზზე. კონტექსტის აქტუალობას განსაზღვრავს, საზოგადობის მგრძნობელობა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. „მთავარი აჭარაში“ შემოდგომის სეზონზე არჩევნების პირველი ტურის შემდეგ, გადაცემა „თვითმმართველობის არჩევნები 2021-ის“ დასრულების შემდგომ პერიოდში გადიოდა ეთერში და მეორე ტურში მონაწილე სუბიექტებს სთავაზობდა ეთერს.

2021 წლის რადიოს საეთერო სეზონი:

საანგარიშო პერიოდისთვის რადიოეთერისთვის მომზადდა გადაცემები შემდეგი თემატიკით:

1. **დილის რადიო** – ეთერში გადის ყოველ სამუშაო დღეს. ახალი ამბები; სოციალური რეკლამა; ადამიანის უფლებები; ფეიკ-ნიუსებისგან დაცულობა; ნატოში ინტეგრაცია; ევროინტეგრაცია; სამოქალაქო; პოლიტიკური, ეკონომიკური; სოციალური და კულტურული უფლებების დაცვა; ტურიზმი, მცირე და საშუალო ბიზნესი; ეკონომიკა; განათლება; ჯადაცვა; ეკოლოგია; კულტურა; ტრადიციები; ფოლკლორი; არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა; გამოჩენილი ადამიანები; წარმატებული ადამიანები; სპორტი; ახალგაზრდობა; პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლა;

2. **საღამო მშვიდობისა** – ეთერში გადის ყოველ სამუშაო დღეს. კულტურა; ტრადიციები; ფოკლორი; არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა; გამოჩენილი ადამიანები; ადამიანის უფლებები, პლურალიზმი; განსხვავებული ჯგუფები, სოციალური რეკლამა; ფეიკ-ნიუსებისგან დაცულობა; ნატოში ინტეგრაცია; ევროინტეგრაცია; სამოქალაქო; პოლიტიკური; ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვა; განათლება; ეკოლოგია;

3. **კონტაქტი** - ეთერში გადის კვირაში ხუთჯერ. ადამიანის უფლებები; პლურალიზმი; სოციალური რეკლამა; საშინაო და საგარეო პოლიტიკა; მოწყვლადი ჯგუფების პრობლემები; ხელისუფლების ანგარიშვალდებულება; გავლენის მქონე ჯგუფებისგან საზოგადოების დაცულობა; ფეიკ-ნიუსებისგან დაცულობა; ნატოში ინტეგრაცია; ევროინტეგრაცია; სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალაური და კულტურული უფლებების დაცვა; ტურიზმი, მცირე და საშუალო ბიზნესი, ეკონომიკა; განათლება; სოფლის მეურნეობა; ჯანდაცვა; სამხედრო საქმე; ეკოლოგია; კულტურა; ტრადიციები; ფოლკლორი; არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა; გამოჩენილი ადამიანები;

4. ღია ეთერი - ეთერში გადის კვირაში ორჯერ. ადამიანის უფლებები; განსახვავებული ჯგუფები; საბავშვო თემატიკა; განათლება; სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვა; პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლა;

5. სპორტი - სპორტი, ახალგაზრდობა;

6. შუადღის ხაზი - ეთერში გადის კვირაში ხუთჯერ. კულტურა, ტრადიციები, ფოლკლორი, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, გამოჩენილი ადამიანები, წარმატებული ადამიანები, ადამიანის უფლებები, პლურალიზმი, განსხვავებული ჯგუფები, სოციალური რეკლამა, ფეიკ-ნიუსებისგან დაცულობა, ნატოში ინტეგრაცია, ევროინტეგრაცია, სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვა, განათლება, ეკოლოგია.

7. კომპეტენტური პასუხი - ეთერში გადის კვირაში ორჯერ. საზოგადოებრივ-პოლიტიკური; ევროპული სტანდარტები და ევროინტეგრაცია; სოციალური, ეკონომიკური;

8. ჩვენ და თვითმმართველობა - ეთერში გადის კვირაში ერთხელ. პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლა; ეკოლოგია; სოფლის მეურნეობა; ჯანდაცვა; ტურიზმი; მცირე და საშუალო ბიზნესი; ეკონომიკა; სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვა; ევროინტეგრაცია; ნატოში ინტეგრაცია; სოციალური რეკლამა; პოლიტიკა; საზოგადოება;

9. ეკო სამყარო - ეკოლოგია, ეთერში გადის კვირაში ერთხელ;

10. რადიო ბაქანი - ეთერში გადის კვირაში ერთხელ. განათლება; კულტურა, ტრადიციები, ფოლკლორი, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა; გამოჩენილი ადამიანები; წარმატებული ადამიანები;

11. ფმ-ფანტაზიები - ეთერში გადის კვირაში ორჯერ. კულტურა, ტრადიციები, ფოკლორი. არამატერიალური კულტურული მემკვიდრება, გამოჩენილი ადამიანები, წარმატებული ადამიანები, ადამიანის უფლებები, პლურალიზმი, განსხვავებული ჯგუფები, სოციალური რეკლამა, ფეიკ-ნიუსებისგან დაცულობა. ევროინტეგრაცია, სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვა, განათლება, ეკოლოგია.

12. **ჩემი ალტერნატივა** - ეთერში გადის კვირაში ერთხელ. ყველაფერი ქართული ალტერნატიული მუსიკის შესახებ.

13. ბათუმური დღიურები - გადაცემა გადის კვირაში ერთხელ. უჩვეულო მოგზაურობა სხვადასხვა დროის ბათუმის ყოველდღიურობაზე. რადიომაუწყებლობის თანამშრომელთა

მიერ საეთეროდ მზადდება ასევე შემდეგი სახის რუბრიკები: არტ ფაილი, მოკლე ისტორიები, დაუსრულებელი პლეილისტი, განძი ხელთუქმნელი, ერთი სეტი. გადაცემებთან ერთად, სამაუწყებლო ბადეში წარმოდგენილია სხვადასხვა თემატიკის რუბრიკები, რომლებიც შეძენილია გარეწარმოების გზით. ასეთებია: იმოგზაურე საქართველოში; ერთი ჰიტის ისტორია, იცოდე საქართველოს ისტორია, კულინარიული ატლასი, საჭესთან მოსასმენი ამბები, კინომუსიკა, მუზეუმი, ქართული ესტრადა.გარეწარმოების ხაზით, რადიო აჭარის საეთერო ბადისთვის შეძენილი გადაცემაა: ჩემი ალტერნატივა - გადაცემა ეთმობა ქართული ალტერნატიულ ესტრადას, მუსიკოსებს. იმ პრობლემებს, გამოწვევებსა და მიღწევებს რომლებიც ქართულ ესტრადას უკავშირდება. ბათუმური ისტორიები - გადაცემაში მოთხრობილია ბათუმური ისტორიები, ურბანული ლეგენდები, სახელოვანი ადამიანების ისტორიები და ამბები, რომლებიც ბათუმში ხდებოდა ან რაიმენაირად ეხება ბათუმს. სამომავლოდ დაგეგმილია არსებული გადაცემების შინაარსობრივი მრავალფეროვნებისთვის საკადრო ბაზის გაზრდა. დამატებითი კონტენტის შექმნისთვის და ავტორებთან ურთიერთობებისთვის ასევე საჭიროა მატერიალური ბაზის გაზრდაც. რაც ხელს შეუწყობს როგორც არსებული გადაცემების განვითარებას, ასევე იმ ფორმატის გადაცემების შექმნას, რაც რადიოს პოტენციური მსმენელების რიგებში გაზრდის ახალგაზრდების რაოდენობას და კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მათში რადიოს პოპულარობას. შესაბამისად გამიზნულია გადაცემების და რუბრიკების შექმნა თანამედროვე ტექნოლოგიებზე, ფილმებზე, პოპულარულ გეიმინგ პლატფორმებზე და ამ სფეროში მიმდინარე მოვლენებზე. ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდის მიზნით გაცილებით დიდი ყურადღება მიექცევა სოციალურ ქსელებში გასავრცელებელ ინფორმაციას, პოდკასტების სტრიმებს და ამ კონტენტის წარმოების პროცესში მათ ჩართულობას. გაგრძელდება ასევე მუშაობა ავტორებთან, რომლებიც ქმნიან კონტენტს თანამედროვე ქართული კულტურის, ხელოვნების, ანდეგრაუნდ არტისტების. მუსიკის, ისტორიისა და მოქმედების მიმართულებით.

4. დამოუკიდებელი პროგრამები და მათი მწარმოებლები;

ა) შემსრულებელი: ი/მ დავით ჟრჟოლაძე

შესყიდული პროგრამა: რადიო ეთერისთვის განკუთვნილი 20 ერთეული შემეცნებითი-გასართობი გადაცემა ქართული ესტრადის თემაზე.

ბ)შემსრულებელი: შპს „მოამბე“

შესყიდული პროგრამა: რადიო ეთერისთვის განკუთვნილი 40 ერთეული შემეცნებითი-გასართობი გადაცემა უცნობი ბათუმის თემაზე.

გ) შემსრულებელი: შპს „მართე ქართული“

შესყიდული პროგრამა: სატელევიზიო ეთერისთვის განკუთვნილი 10 ერთეული საბავშვო გასართობ-შემეცნებითი გადაცემა.

დ) შემსრულებელი: შპს „მართე ქართული“
შესყიდული პროგრამა: სატელევიზიო ეთერისთვის განკუთვნილი 20 ერთეული საბავშვო თემატიკის პროგრამათაშორისი.

ე) შემსრულებელი: შპს „ემ ეს ჯგუფი“
შესყიდული პროგრამა: სატელევიზიო ეთერისთვის განკუთვნილი 12 ერთეული გადაცემა ტურისტული პოტენციალის შესახებ.

ვ) მაუწყებლის მიერ საახალწლო გადაცემების შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვის მიზნით გაფორმდა 19 ერთეული ხელშერკულება, მათ შორის 14 ხელშეკრულება გაფორმდა მომღერალთან.

გაფორმდა ხელშეკრულებები საჯარო გადაცემის ლიცენზიის შესყიდვის თაობაზე:

ა) კონკურსის წესით: მაუწყებლის დირექტორის 2021 წლის 28 იანვრის #02-09/08 ბრძანებით გამოცხადებული აუდიოვიზუალური ნაწარმოებების საჯარო გადაცემის ლიცენზიის შესყიდვის კონკურსის საფუძველზე ხელშეკრულებები გაფორმდა შპს „ალფა2020“-თან და შპს „ქართული გახმოვანება“-სთან. გამარჯვებულად ცნობილი იყო ასევე შპს „სატრასტო კომპანია ედემი“, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმებაზე უარი თქვა, აღნიშნულ ნაწილში კონკურსი გამოცხადდა ჩაშლილად (#02-09/28; 10/03/2021), რის გამოც მაუწყებელმა კონკურსის გარეშე შეისყიდა საჯარო გადაცემის ლიცენზია შპს „ალფა2020“-გან იმავე პირობებით, რაც მითითებული იყო კონკურსში. კონკურსში მხოლოდ მითითებული კომპანიები მონაწილეობდნენ.

ბ) კონკურსის გარეშე (პირდაპირი შესყიდვით) 4 ერთეული ქართული მხატვრული ფილმის საჯარო გადაცემის უფლების შესყიდვის თაობაზე გაფორმდა ხელშეკრულება უფლების მფლობელთან - კახაბერ სანიშვილთან (ვინაიდან არ თანამშრომლობს შუამავალ კომპანიებთან).

გ) „გამარტივებული“ შესყიდვის ფორმით:
ქართული ანიმაცია - სს ქართული ფილმი
ქართული ფილმები- შპს „ენ რეკორდსი“ (2 ხელშეკრულება)
ანიმაციური სერიალი - შპს „ქართული გახმოვანება“
ანიმაციური სერიალი - შპს „კაუკასუს ნეთვორქ გრუპ“ ,
დოკუმენტური ფილმები - შპს „ენ რეკორდსი“

5. საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგები

საზოგადოებრივი განწყობების, მოლოდინების და ინტერესების შესახებ მაუწყებელი ყოველწლიურად ატარებს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას. საანგარიშო წლის განმავლობაში, მაუწყებელი ღებულობდა 2 ტიპის ინფორმაციას საზოგადოების განწყობების შესახებ: 1. სატელევიზიო გადაცემების ყურებადობის შესახებ, რომლებიც მოიპოვებოდა სატელევიზიო მთვლელების ღია წყაროებით; 2. საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რომელშიც მაუწყებელმა დამატებით ასახა საზოგადოებრივი მაუწყებლობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების კვლევა.

(იხ.დანართიN1)

6. განხილული საჩივრების რაოდენობა და შინაარსი

ა) სააპელაციო სასამართლოში სხდომა - მაია მერკვილაძის სააპელაციო საჩივრის განხილვა. (მრჩეველთა საბჭოს 2021 წლის 19 თებერვლის საშტატო ცვლილების თაობაზე გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ)

27/04/2021 - გადაწყვეტილების გამოცხადება - საჩივარი არ დაკმაყოფილდა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ნაწილში, დაკმაყოფილდა სახელმწიფო ბაჟის ნაწილში.

მოსარჩელის მიერ წარდგენილია საჩივარი უზენაეს სასამართლოში. საქმე დასაშვებობის შესამოწმებლად მიღებულია წარმოებაში.

ბ) 2021 წლი 03 ივნისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაიმართა დისტანციური სხდომა მაუწყებლის საჩივრის გამო, მოპასუხე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს, ფ/პ ჯუმბერ ძირკვაძის მიმართ (პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხე ფ/პ დაეკისრა მოთხოვნილი თანხის ნახევარი).

2021 წლის 02 ივლისს გამოცხადდა გადაწყვეტილება - მაუწყებლის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

გ) მაუწყებლის მიერ სს "საზღვაო ჰოსპიტალი" (დამკვეთის) წინააღმდეგ წარდგენილი იქნა საჩივარი სარეკლამო მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამკვეთის მიერ თანხის გადაუხდელობის გამო თანხის გადახდის მოთხოვნით: ძირითადი თანხა 400 ლარი, პირგასამტეხლო - 430,4 ლარი. სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული. მოპასუხე მხარეზე სარჩელის ჩაბარების შემდგომ, მოპასუხემ ნებაყოფლობით შეასრულა ვალდებულებები - 2021 წლის 24 ივნისს მაუწყებლის ანგარიშზე ჩარიცხა ძირი თანხა და პირგასამტეხლო.

დ) მაუწყებელმა აღძრა საჩივარი ი/მ ციური დიასამიძის მიმართ საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების 81,61 ლარის გადახდის დაკისრების თაობაზე. სარჩელი წარმოებაში მიღებულია. საქმეს განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლო.

ე) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმის (26/08/2021) საფუძველზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 02 სექტემბრის დადგენილებით მაუწყებელი ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო და დაეკისრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით - საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნება კანონით დადგენილი სავალდებულოდ მისათითებელი ინფორმაციის გარეშე (2021 წლის 23 აგვისტოს „ახალ ამბებში).

დადგენილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 08 ოქტომბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მაუწყებლის საჩივარი სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ - უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 02 სექტემბრის დადგენილება, რომლითაც მაუწყებელი ცნობილი იქნა საარჩევნო კოდექსის 82-ე მუხლით გათვალისიწნებულ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და დაეკისრა სანქცია 5 000 ლარის ოდენობით. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. სანქცია გადახდილია.

ვ) მაუწყებლის ეთერი, გადაცემა „მე ვარ ფერმერის“ შინაარსის გამო - მეთაბაქეობა ქედაში, მაუწყებელი ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და გათავისუფლდა პასუხისმგებლობისგან. შინაარსი მიჩნეული იქნა თამბაქოს ნაწარმის რეკლამად, რაც კანონით აკრძალულია. სხდომა გაიმართა 2021 წლის 24 ივნისს. გადაწყვეტილება გამოცხადდა 2021 წლის 01 ივლისს. საფუძველი:

კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის სამსახურეობრივი ბარათიდან (N 21-10-1075, 14/06/2021) და თანდართული მასალიდან, ირკვევა, რომ 2021 წლის 20 მაისს კომისიაში შემოვიდა „თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრის“ განცხადება (კომისიაში რეგისტრაციის Nშ-21-6/2208), რომლის თანახმადაც სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ სამაუწყებლო არხის „აჭარის ტელევიზიის“ ეთერში გავიდა გადაცემა „მე ვარ ფერმერი“, რომელშიც ხდებოდა თამბაქოს ნაწარმის მოყვანა - კულტივაციის პროცესის რეკლამირება, რაც განმცხადებლის აზრით კანონით აკრძალულია.

ზ) მაუწყებელმა 2021 წლის დეკემბრის თვეში სარჩელი აღძრა შპს „მის და მისტერ გოლდენ ბრენდის“ წინააღმდეგ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, 500 ლარის ოდენობით თანხის დაკისრების მოთხოვნით. სარჩელი წარმოებაშია მიღებული.

თ) 2020 წლის 07 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მიმართა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიომ“ სარჩელით, მოპასუხე ააიპ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიმართ საქმიანი რეპუტაციის შემლახველი და ცილისწამებლური ინფორმაციის უარყოფის დავალდებულების და არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის, 2021 წლის 02 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ გაზიარებული იქნა მაუწყებლის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაციები არ იყო სიმართლე და სასამართლომ ამ შემთხვევაში მხოლოდ სამართლებრივად შეაფასა განსხვავებულად აღნიშნული გარემოებები, მიღებული იქნა გადაწყვეტილება არ ყოფილიყო გასაჩივრებული აღნიშნული გადაწყვეტილება.

ი) 2020 წლის 19 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საჩივრით მიმართა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი აჭარის ტელევიზია და რადიომ“ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიმართ - 30.09.2020 წლის Nგ-1/322/2020 გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის მოთხოვნით. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის - 30.09.2020 წლის Nგ-1/322/2020 გადაწყვეტილების თანახმად სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი აჭარის ტელევიზია და რადიო“ ცნობილ იქნა სამართლადარღვევად „პერსონალურ მონაცემთა

დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფერდა ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში განხილული საჩივრები:

ა) 2021 წლის 04 ივნისს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ (შემდგომში - „მაუწყებელი“) დირექტორს განცხადებით (#02-14/230) მომართა სსიპ ბათუმი შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსისტეტის ადმინისტრაციის უფროსმა ალექსანდრე მითაიშვილმა და მიუთითა, რომ მაუწყებლის ეთერში მის შესახებ 2021 წლის 01 ივნისს გასული სიუჟეტი წარმოდგენილია არაზუსტად და მცდარად, რის გამოც შეილახა მისი პრესტიჟი და მოითხოვს საჯაროდ ბოდიშის მოხდას.

ბ)2021 წლის 03 ივნისს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ (შემდგომში - „მაუწყებელი“) დირექტორს განცხადებით (#02-11/223) მომართა ნარგიზ და ზაურ მელაძეების წარმომადგენელმა ზაზა პაპიძემ, სადაც მიუთითა, რომ მაუწყებლის გადაცემა „ჰეშთეგში“ გასულ სიუჟეტში („ფეიბუქზე“ განთავსების თარიღია 2021 წლის 21 მაისი) მზიური მელაძის შესახებ (რომელსაც ოჯახის წევრები ემუქრებიან და შიშით ცხოვრობს) მითითებული გარემოებები არის არაზუსტი და გადაუმოწმებელი, რის გამოც ითხოვს მასალის რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანას და სათანადო შესწორებას.

სხდომაზე საჩივარი გამოიხმო მზიური და ნარგიზ მელაძეების წარმომადგენელმა.

ალექსანდრე მითაიშვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მხარეებს ჩაბარდათ გადაწყვეტილებები.

ალესანდრე მითაიშვილმა გაასაჩივრა გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. სააპელაციო წესით საჩივრის განხილვის შედეგად, ალექსანდრე მითაიშვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

6. საჯარო განხილვების შინაარსისა და მოქალაქეთა წინადადებები

1. ორგანიზაცია ,,NOOSFERA FOUNDATION’’- თან გაფორმდა მემორანდუმი, საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალი ,,CineDOC-Tbilisi’’-ოს ფარგლებში მოხდა 12 დოკუმენტური ფილმის ჩვენება.
2. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებშ ი ნაჩვენები იქნა 2 დოკუმენტური ფილმი.

3. ა(ა)იპ ,,როდონიტი''-სთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ,,ბათუმის მონოდრამების საერთაშორისო ფესტივალის'' პოპულარიზაციის ხელშეწყობისთვის მომზადდა სიუჟეტები და სპექტაკლებიდან ფრაგმენტების ჩვენება გადაცემებში: ,,დილის ტალღა'', ,,ეს შუადღე'', ,,სცენა''.
4. შპს ,,ახალი თაობა'' -სთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ეთერში განთავსდა შვიდი კონცერტი.
5. ეთერში ჩაიშვა სტუდია ,,ზღვის შვილები'' -ს საახალწლო კონცერტი.
6. ეთერში ნაჩვენები იქნა ,,კრისტალბეთ ეროვნული ლიგის'' 35 თამაში და ,,უეფას ევროპის კონფერენს ლიგის'' 6 თამაში.
7. ეთერში განთავსდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღთან დაკავშრებით მათ მიერ მომზადებული დოკუმენტური ფიოლმი ,,უნივერსიტეტი''.
8. ბათუმის მერიის მიერ ორგანიზებული საახალწლო კონცერტების პირდაპირი ტრანსლაცია.

8. საზოგადოებრივ მაუწყებელთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე საწარმოები

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიო''-ს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთდამოკიდებულება არცერთ საწარმოსთან არ ჰქონია.

9. მაუწყებლის მომავალი წლის ბიუჯეტი

ა) ზოგადი ინფორმაცია :

- „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 35^{12} -ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილია 2022 წლის ბიუჯეტი.

ბ) 2022 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტის აღწერა და მიზანი:

- საზოგადოებრივი მაუწყებლის სტანდარტების შესაბამისი სატელევიზიო და რადიო პროგრამების მომზადება/შესყიდვა და ერთი სატელევიზიო და ერთი რადიო არხით ტრანსლირება საქართველოს ტერიტორიაზე. ტელემაყურებელთა და რადიო მსმენელთათვის ობიექტური, დაბალანსებული და მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდება, აჭარის რეგიონში, ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, სპორტული და სხვა ხასიათის აქტუალური თემების გაშუქება. ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დაცვის ხელშეწყობა;

- მაუწყებელმა ორგანიზება უნდა გაუწიოს სატელევიზიო და რადიო პროგრამების წარმოებას/შესყიდვას და საეთერო ბადის მიხედვით სატელევიზიო და რადიო ეთერში განთავსებას. კერძოდ, უნდა განახორციელოს ყოველდღიური საინფორმაციო გამოშვებების, პერიოდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოკ შოუებისა და საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების წარმოება, კულტურული და სპორტული ღონისძიებების გადაღება, დოკუმენტური და მხატვრული ფილმების შეძენა. უზრუნველყოს პროფესიონალური საკადრო რესურსების მოზიდვა, მართვა და მათი კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება. უნდა შეიმუშავოს და წარადგინოს წინადადებები მაუწყებლის ბიუჯეტისა და გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებათა მოცულობის განაწილების შესახებ. უზრუნველყოს სატელევიზიო და რადიო აპარატურის სწორი ექსპლუატაცია და გეგმაზომიერი განახლება/შეძენა და შეკეთება, სატელევიზიო და რადიო სტუდიების მოწყობა. თავისი კომპეტენციისა და დაფინანსების ფარგლებში განახორციელოს საქმიანობისათვის აუცილებელი საქონლისა და მომსახურების შესყიდვა, ამ მიზნით სახელმწიფო, კერძო და უცხოურ დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულებები და ურთიერთ თანამშრომლობის სხვა შეთანხმებები.

გ) წარმოდგენილი პროექტით 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 12 527 000 ლარით განისაზღვრა, მათ შორის:

- საბიუჯეტო სახსრები 12 327 000 ლარი;
  („საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შესაბამისად, 2022 წლისათვის საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების საბიუჯეტო ასიგნება შეადგენს 82 180 000 ლარს)
- არასაბიუჯეტო სახსრები 200 000 ლარი.

დ) წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ასიგნებების გადასახდელები დასამტკიცებელი მუხლების მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

- **საბიუჯეტო სახსრები (გრანტი):**
  ბიუჯეტის ასიგნებების გადასახდელების ნაწილი შეადგენს 12 327 000 ლარს, მათ შორის:
  • მრჩეველთა საბჭო - 369 810 ლარი (3,00%);
  • ადმინისტრაცია - 3 470 590 ლარი (28,15%);
  • ახალი ამბები - 2 077 000 ლარი (16,85%);
  • მედიაწარმოება და პროდიუსინგი - 4 054 950 ლარი (32,90%);
  • რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა - 527 900 ლარი (4,28%);
  • ტექნიკური უზრუნველყოფა - 1 698 850 ლარი (13,78%);
  • სხვა გადასახდელები - 127 900 ლარი (1,04%).

- **არასაბიუჯეტო სახსრები (საკუთარი):**
  არასაბიუჯეტო ასიგნებების გადასახდელების ნაწილი შეადგენს 200 000 ლარს, მათ შორის:
  • მრჩეველთა საბჭო - 6 000 ლარი (3,00%);
  • ადმინისტრაცია - 39 500 ლარი (19,75%);
  • ახალი ამბები - 12 000 ლარი (6,00%);

- მედიაწარმოება და პროდიუსინგი - 94 600 ლარი (47,30%);
- რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა - 0,00 ლარი (0,00%);
- ტექნიკური უზრუნველყოფა - 4 900,00 ლარი (2,45%);
- სხვა გადასახდელები - 43 000 ლარი (21,50%).

ე) 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის ინიციატორია სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო.

ვ) 2022 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტი მომზადებულია სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი მოთხოვნებისა და წინადადებების შეჯერების საფუძველზე და იგი რეალურად ასახავს შესაბამისი წლის ტელევიზიისა და რადიოს საჭიროებებს მოსალოდნელი რესურსების (როგორც საბიუჯეტო, ასევე არასაბიუჯეტო) ფარგლებში.

2022 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი



2022 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული ასიგნებების გადასახდელები




არასაბიუჯეტო სახსრები
0,00
2,45
47,30
21,50
6,00
19,75
3,00
მრჩევლთა საბჭო
ადმინისტრაცია
ახალი ამბები
მედიწარმოება და პროდიუსინგი
რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა
ტექნიკური უზრუნველყოფა
სხვა გადასახდელები

2021 წლის

საბიუჯეტო სახსრები



2021 წლის

არასაბიუჯეტო სახსრები



9. საზოგადოებრივი მაუწყებლობის ბიუჯეტის შესრულება

1. ანგარიშის მომზადების სამართლებრივი საფუძვლები

- ✓ ანგარიში მომზადებულია:
  - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ 33-ე, 35[12]-ე და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს რეგლამენტის მე-18 მუხლის შესაბამისად;
  - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ, მრჩეველთა საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის №01-01/03 (ოქმი №3) გადაწყვეტილების შესაბამისად.

- ✓ მაუწყებლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისა და წლიური ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“.

- ✓ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს დირექტორის მიერ 2020 წლის 17 დეკემბერს №02-19/3093 წერილით წარდგენილი 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს მრჩევლთა საბჭოს მიერ 2020 წლის 22 დეკემბერის №01-01/11 (ოქმი №14) გადაწყვეტილებით შეთანხმებულ იქნა და დასამტკიცებლად წარედგინა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლი“-ს სამეურვეო საბჭოს, რომელთა მიერ 2021 წლის 29 დეკემბრის №500 (ოქმი №437) გადაწყვეტილებით დამტკიცდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს 2021 წლის ბიუჯეტი.

- ✓ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს დირექტორის მიერ 2021 წლის 17 მარტის №02-19/595 წერილით წარდგენილი 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტი, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს მრჩევლთა საბჭოს მიერ 2021 წლის 23 მარტის №01-01/04 (ოქმი №6) გადაწყვეტილებით შეთანხმებულ იქნა და დასამტკიცებლად წარედგინა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლი“-ს სამეურვეო საბჭოს, რომელთა მიერ 2021 წლის 31 მარტს №507 (ოქმი №442) გადაწყვეტილებით დამტკიცდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს 2021 წლის კორექტირებული ბიუჯეტი.

- ✓ 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

2. მაუწყებლის ბიუჯეტის 2021 წლის შესრულების მაჩვენებლები

ხარჯების დასახელება	დამტკიცებული ბიუჯეტი			ცვლილება/კორექტირებული ბიუჯეტი						ათვისებული (ფაქტიური) ბიუჯეტი						ბიუჯეტის შესრულება %		
				ცვლილება/ბიუჯეტი			ცვლილება/სხვაობა			საკასო ხარჯები			სხვაობა/რესურსი					
	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	საბიუჯეტო სახსრები კორექტირებული	არასაბიუჯეტო სახსრები კორექტირებული	სულ	სხვაობა საბიუჯეტო სახსრების დამტკიცებულსა და კორექტირებულ ბიუჯეტს შორის	სხვაობა არასაბიუჯეტო სახსრების დამტკიცებულსა და კორექტირებულ ბიუჯეტს შორის	სულ	საბიუჯეტო სახსრები ფაქტიური შესრულება	არასაბიუჯეტო სახსრები ფაქტიური შესრულება	სულ	სხვაობა საბიუჯეტო სახსრების ბიუჯეტსა და ფაქტიურ შესრულებას შორის	სხვაობა არასაბიუჯეტო სახსრების ბიუჯეტსა და ფაქტიურ შესრულებას შორის	სულ	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
მრჩეველთა საბჭო	311.400	6.000	317.400	333.908	6.000	339.908	22.508	-	22.508	312.099,55	2.807,11	314.906,66	21.808,45	3.192,89	25.001,34	93,47%	46,79%	92,64%
ადმინისტრაცია	3.089.600	38.000	3.127.600	3.182.440	38.000	3.220.440	92.840	-	92.840	3.043.311,94	31.307,26	3.074.619,20	139.128,06	6.692,74	145.820,80	95,63%	82,39%	95,47%
ახალი ამბები	1.700.000	11.000	1.711.000	1.712.000	11.000	1.723.000	12.000	-	12.000	1.648.097,37	5.919,62	1.654.016,99	63.902,63	5.080,38	68.983,01	96,27%	53,81%	96,00%
მედიაწარმოება და პროდიუსინგი	3.300.000	105.000	3.405.000	3.584.000	105.000	3.689.000	284.000	-	284.000	3.528.095,46	92.603,16	3.620.698,62	55.904,54	12.396,84	68.301,38	98,44%	88,19%	98,15%
რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა	480.000	-	480.000	480.000	-	480.000	-	-	-	471.095,29	-	471.095,29	8.904,71	-	8.904,71	98,14%	0,00%	98,14%
ტექნიკური უზრუნველყოფა	1.432.000	-	1.432.000	1.544.722	-	1.544.722	112.722	-	112.722	1.413.525,09	-	1.413.525,09	131.196,91	-	131.196,91	91,51%	0,00%	91,51%
სხვა გადასახდელები	67.000	40.000	107.000	67.000	40.000	107.000	-	-	-	64.564,65	32.110,06	96.674,71	2.435,35	7.889,94	10.325,29	96,37%	80,28%	90,35%
სულ ჯამი	**10.380.000**	**200.000**	**10.580.000**	**10.904.070**	**200.000**	**11.104.070**	**524.070**	**-**	**524.070**	**10.480.789,35**	**164.747,21**	**10.645.536,56**	**423.280,65**	**35.252,79**	**458.533,44**	**96,12%**	**82,37%**	**95,87%**

→ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2021 წლის ბიუჯეტში, არასაბიუჯეტო სახსრების ნაწილში (მედიაწარმოება და პროდიუსინგი) შრომის ანაზღაურების მუხლი მოიცავს:

- ა(ა)იპ „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის“ გაფორმდა ხელშეკრულება USAID-ის და IFES-ის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის „ქალის ხმა არჩევნებში!“ ფარგლებში გადაცემების მოსამზადებლად, რომელიც მოიცავდა შრომის ანაზღაურების ფონდს - 650,00 ლარის ოდენობით.
  პროექტის ფარგლებში, აჭარის რეგიონის მოსახლეობის ინფორმირების მიზნით მომზადდა ერთი სატელევიზიო და ერთი რადიო გადაცემა 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების, ახალი საარჩევნო წესისა და რეგულაციების შესახებ.
  ინფორმაცია პროექტის შესახებ:
  . **გადაცემა**: „ქალის ხმა არჩევნებში!“
  . **ფორმატი**: სატელევიზიო და რადიო გადაცემა (პირდაპირი ეთერი)
  . **რაოდენობა**: 2 (ორი)
  . **პერიოდულობა:** 10/09/2021-25/09/2021

- ა(ა)იპ „სამოქალაქო განვითარების სააგენტო“-სთან გაფორმდა ხელშეკრულება, „ლიდერობა მდგრადი განვითარებისათვის საქართველოში“ პროექტის ფარგლებში რადიოპროდუქციის შესაქმნელად მომსახურების გასაწევად, რომელიც მოიცავდა შრომის ანაზღაურების ფონდს - 500,00 ლარის ოდენობით. SDG Road Show-ს პროექტის ფარგლებში განხორციელდა 25-30 წუთის ხანგრძლივობის პოდკასტის (გარემოსდაცვის თემაზე) ჩაწერა, მონტაჟი და რადიოს ეთერში განთავსება.
  ინფორმაცია პროექტის შესახებ:
  . **გადაცემა**: „გარემოს დაცვის თემაზე“
  . **ფორმატი**: რადიო გადაცემა
  . **რაოდენობა**: 1 (ერთი)
  . **პერიოდულობა:** 03/11/2021-09/11/2021

- ა(ა)იპ „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის“ გაფორმდა ხელშეკრულება USAID-ის და IFES-ის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის „ქალის ხმა არჩევნებში!“ ფარგლებში გადაცემების მოსამზადებლად, რომელიც მოიცავდა შრომის ანაზღაურების ფონდს - 250,00 ლარის ოდენობით.
  პროექტის ფარგლებში, აჭარის რეგიონის მოსახლეობის ინფორმირების მიზნით მომზადდა ერთი რადიო გადაცემა 30 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის შესახებ.
  ინფორმაცია პროექტის შესახებ:
  . **გადაცემა**: „ქალის ხმა არჩევნებში!“
  . **ფორმატი**: რადიო გადაცემა (პირდაპირი ეთერი)

. **რაოდენობა:** 1 (ერთი)
. **პერიოდულობა:** 22/10/2021-28/10/2021

❖ ათვისებული ბიუჯეტის პროცენტული წილი/მაჩვენებლები





3. მაუწყებლის ბიუჯეტის საკასო ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია

2021 წელს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან გასაწევი ხარჯების თანხა დაზუსტებული გეგმის მიხედვით შეადგენდა 10.904.070,00 ლარს, გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 10.480.789,35 ლარი. გეგმასა და ფაქტიურ (საკასო) ხარჯებს შორის სხვაობა შეადგენს 423.280,65 ლარს, კერძოდ:

- მრჩეველთა საბჭოს მუხლში დარჩა ასათვისებელი 21.808,45 ლარი, მათ შორის:
  - → მრჩეველთა საბჭოს წევრების ჰონორარი 6.360,00 ლარი;
  - → საქონელი და მომსახურება 15.448,25 ლარი, მათ შორის:
    - აპარატის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება 10.750,00 ლარი;
    - მივლინებები 110,00;
    - ოფისი 505,67 ლარი;
    - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 4.082,58 ლარი;
  - → არაფინანსური აქტივების ზრდა 0,20 ლარი.
- ადმინისტრაციის მუხლში დარჩა ასათვისებელი 139.128,06 ლარი, მათ შორის:
  - → შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო) 19.036,14 ლარი;
  - → საქონელი და მომსახურება 116.516,57 ლარი, მათ შორის:
    - შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება 357,49 ლარი;
    - მივლინებები 795,00;
    - ოფისი 109.590,88 ლარი;
    - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 5.733,20 ლარი;
  - → სოციალური უზრუნველყოფა 97,95 ლარი;
  - → სხვა ხარჯები 3.473,96 ლარი;

→ არაფინანსური აქტივების ზრდა 3,44 ლარი.

- ახალი ამბების მუხლში დარჩა ასათვისებელი 63.902,63 ლარი, მათ შორის:
  → საქონელი და მომსახურება 63.657,78 ლარი, მათ შორის:
  - შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება 33.589,78 ლარი;
  - მივლინებები 8,00;
  - ოფისი 30.000,00 ლარი;
  - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 60,00 ლარი;
  → სოციალური უზრუნველყოფა 244,85 ლარი.

- მედიაწარმოება და პროდიუსინგის მუხლში დარჩა ასათვისებელი 55.904,54 ლარი, მათ შორის:
  → საქონელი და მომსახურება 53.305,74 ლარი, მათ შორის:
  - შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება 7.210,98 ლარი;
  - მივლინებები 3,91;
  - ოფისი 46.089,59 ლარი;
  - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 1,26 ლარი;
  → სოციალური უზრუნველყოფა 498,80 ლარი;
  → არაფინანსური აქტივების ზრდა 2.100,00 ლარი.

- რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობის მუხლში დარჩა ასათვისებელი 8.904,71 ლარი, მათ შორის:
  → საქონელი და მომსახურება 8.901,78 ლარი, მათ შორის:
  - შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება 6.209,29 ლარი;
  - მივლინებები 1.000,00;
  - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 1.692,49 ლარი;
  → სოციალური უზრუნველყოფა 2,93 ლარი.

- ტექნიკური უზრუნველყოფის მუხლში დარჩა ასათვისებელი 131.196,91 ლარი, მათ შორის:
  → საქონელი და მომსახურება 27.919,26 ლარი, მათ შორის:
  - ოფისი 4.471,91 ლარი;
  - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 23.447,35 ლარი;
  → არაფინანსური აქტივების ზრდა 103.277,65 ლარი.

- სხვა გადასახდელების მუხლში დარჩა ასათვისებელი 2.435,35 ლარი.
  → სხვა ხარჯები 2.435,35 ლარი.

გეგმის შესრულების წლიური მაჩვენებელი შეადგენს 96,12 %-ს.

2021 წელს ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან გასაწევი ხარჯების თანხა დაზუსტებული გეგმის მიხედვით შეადგენდა 200.000,00 ლარს, გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 164.747,21 ლარი. გეგმასა და ფაქტიურ (საკასო) ხარჯებს შორის სხვაობა შეადგენს 35.252,79 ლარს, კერძოდ:

- მრჩეველთა საბჭოს მუხლში დარჩა ასათვისებელი 3.192,89 ლარი, მათ შორის:
  → საქონელი და მომსახურება 1.192,89 ლარი, მათ შორის:
  - მივლინებები 950,00 ლარი;
  - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 242,89 ლარი;

→ არაფინანსური აქტივების ზრდა 2.000,00 ლარი.

- ადმინისტრაციის მუხლში დარჩა ასათვისებელი 6.692,74 ლარი, მათ შორის:
  → საქონელი და მომსახურება 6.692,74 ლარი, მათ შორის:
  - ოფისი 6.393,50 ლარი;
  - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 299,24 ლარი.
- ახალი ამბების მუხლში დარჩა ასათვისებელი 5.080,38 ლარი, მათ შორის:
  → საქონელი და მომსახურება 5.080,38 ლარი, მათ შორის:
  - მივლინებები 5.005,38 ლარი;
  - ოფისი 75,00
- მედიაწარმოება და პროდიუსინგის მუხლში დარჩა ასათვისებელი 12.396,84 ლარი, მათ შორის:
  → საქონელი და მომსახურება 12.396,84 ლარი, მათ შორის:
  - შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება 530,00 ლარი;
  - მივლინებები 4.076,24
  - ოფისი 1.520,81 ლარი;
  - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 6.269,79 ლარი.
- რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობის მუხლში დარჩა ასათვისებელი 0,00 ლარი.
- ტექნიკური უზრუნველყოფის მუხლში დარჩა ასათვისებელი 0,00 ლარი.
- სხვა გადასახდელების მუხლში დარჩა ასათვისებელი 7.889,94 ლარი.
  → სხვა ხარჯები 7.889,94 ლარი.

გეგმის შესრულების წლიური მაჩვენებელი შეადგენს 82,37 %-ს.

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად,

2.1. შრომის ანაზღაურების მუხლში რესურსი გამოწვეულია:
- მრჩეველთა საბჭოს ჰონორარის მუხლში არსებული რესურსით;
- საშტატო პოზიციებში არსებული ვაკანსიებით.

2.2. საქონელი და მომსახურების მუხლში არსებული რესურსი გამოწვეულია და მუხლით, გათვალისწინებული მომსახურებების შეძენა/მოწოდება ვერ განხორციელდა შემდეგ გარემოებათა გამო:
- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ნაწილში არსებული რესურსით;
- მრჩეველთა საბჭოს აპარატის შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ნაწილში არსებული რესურსით;
- მრჩეველთა საბჭოს მიერ სხვადასხვა მომსახურებ(ებ)ის შესყიდვის განუხორციელებლობით;
- მრჩეველთა საბჭოს მიერ სხვადასხვა საქონლის/მომსახურებ(ებ)ის შესყიდვის ფარგლებში არსებული რესურსით;
- მრჩეველთა საბჭოს მივლინებ(ებ)ის რესურსით;
- მაუწყებლის მივლინებ(ებ)ის ნაწილში არსებული რესურსით;
- მაუწყებლის მიერ ადმინისტრაციულ შენობაში, მდებარე ქ. ბათუმი, მ.აბაშიძის ქ. №41 სატელევიზიო გადაცემების სტუდიების (საინფორმაციო/ახალი ამბების, დილის და შუადღის) და მ. აბაშიძის

№16/18-ში მდებარე სტუდიების (თოქ შოუს სტუდია) მოწყობის სამუშაოების თაობაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (NAT210015739) საერთო ღირებულებით 126.000,00 ლარი, 2021 წლის 20 სექტემბერს შპს „I.M.J. Group"-თან გაფორმდა №02-122/176 ხელშეკრულება _ ღირებულებით 125.994,58 ლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოწოდების პერიოდია ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე (20.10.2021). აღნიშნულ ხელშეკრულებაში 4 ჯერ შევიდა ცვლილება და გაფორმდა შესაბამისი შეთანხმებები, მათ შორის:

- ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 125.972,11 ლარით_28.09.2021;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოწოდების პერიოდი შეიცვალა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2021 წლის 30 ნოემბრისა;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოწოდების პერიოდი შეიცვალა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2021 წლის 22 დეკემბრისა;
- ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეიცვალა და მოქმედებს 2022 წლის 31 მარტის ჩათვლით.

ზემოთაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მომწოდებლის მიერ შესრულდა მ. აბაშიძის №16/18-ში მდებარე სტუდიების (თოქ შოუს სტუდია) მოწყობის სამუშაოების ნაწილი, ღირებულებით 49.919,01 ლარი, ხოლო მ.აბაშიძის ქ. №41 სატელევიზიო გადაცემების სტუდიების (საინფორმაციო/ახალი ამბების, დილის და შუადღის) მოწყობის სამუშაოების ნაწილში, ღირებულებით 76.053,10 ლარი შეუსრულებელია. აღნიშნულის თაობაზე მომწოდებელს ეცნობა წერილობით (02-12/2_10.01.2022) და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0,02 % -ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება 2022 წელს არსებული გარდამავალი საბრუნავი სახსრებიდან (ნაშთი) ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოსა და შესაბამისი საბიუჯეტო ცვლილებიდან გამომდინარე;

- მაუწყებლის მიერ ანტივირუსის პროგრამული პაკეტების (ანტივირუსული პროგრამული უზრუნველყოფა) შესყიდვის თაობაზე 2021 წლის 13 ოქტომბერს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (NAT210019737) დღგ-ს გარეშე ღირებულებით 7.200,00 ლარი. აღნიშნული ტენდერში მონაწილეობდა 2 პრეტენდენტი, თუმცა მათ მიერ ტექნიკური დოკუმენტაციის არასრულყოფილად დაზუსტებისა (ოქმი №6_15.11.2021) და ტექნიკური დოკუმენტაციის სატენდერო პირობებთან შეუსაბამობის გამო (ოქმი №8_16.12.2021) მიენიჭათ დისკვალიფიკაცია;
- საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების, ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის, შენობა ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლებში არსებული რესურსით;
- სხვადასხვა ხელშეკრულებებში (ტრანსპორტის და ტექნიკის მოვლა-შენახვა, კომუნალური მომსახურება, საფოსტო მომსახურება, სატელეფონო მომსახურება და სხვა) არსებული რესურსით, რომელიც გამოწვეულია მომსახურების ფაქტობრივ მოწოდებაზე.

31. არაფინანსური აქტივების მუხლში არსებული რესურსი გამოწვეულია და მუხლით, გათვალისწინებული აქტივების შეძენა/მოწოდება ვერ განხორციელდა შემდეგ გარემოებათა გამო:

– მაუწყებლის მიერ 2 ერთეული FM რადიოს გადამცემის (სადგური) კომპლექტის შესყიდვის თაობაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (NAT210019997), 2021 წლის 29 ნოემბერს შპს „ჯი დი კომპანი"-სთან გაფორმდა №02-22/215 ხელშეკრულება_ღირებულებით 35.636,00 ლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოწოდების პერიოდია ხელშეკრულების გაფორმებიდან 60

კალენდარული დღე (28.01.2022). მიმწოდებლის მ/ წლის 20 იანვრის წერილის (02-22/215) თანახმად აღნიშნულ ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და გაფორმდა შესაბამისი შეთანხმება, კერძოდ:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოწოდების პერიოდი შეიცვალა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2022 წლის 09 მარტისა;
- ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეიცვალა და მოქმედებს 2022 წლის 11 აპრილის ჩათვლით;

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ანგარიშსწორება განხორციელდება 2022 წელს არსებული გარდამავალი საბრუნავი სახსრებიდან (ნაშთი) ფაქტობრივად მოწოდებული საქონლისა და შესაბამისი საბიუჯეტო ცვლილებიდან გამომდინარე;

- სავარძლების შესყიდვაზე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი 2 ჯერ არ შედგა;
- მაუწყებლის მიერ 3 ერთეული ვიდეოკამერის კომპლექტის შესყიდვის თაობაზე 2021 წლის 10 ნოემბერს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (NAT210021234) დღგ-ს გარეშე ღირებულებით 25.420,00 ლარი. აღნიშნული ტენდერში მონაწილეობდა 1 პრეტენდენტი, თუმცა მის მიერ ტექნიკური დოკუმენტაციის არასრულყოფილად დაზუსტების (ოქმი №4_14.12.2021) გამო მიენიჭა დისკვალიფიკაცია.
- სხვადასხვა არაფინანსური აქტივების შესაძენად გამოცხადებული ტენდერ(ებ)ის ეკონომიით;
- სხვადასხვა ტექნიკის/აპარატურის შესყიდვის განუხორციელებლობით, მათ შორის შესყიდვების სააგენტოს მიერ არ გამოცხადებულა კონსოლიდირებული ტენდერი, რის გამოც საოფისე კომპიუტერების შესყიდვა ვერ განხორციელდა.

დეტალური ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან 2021 წელში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

❖ დეტალური ინფორმაცია მაუწყებლის მიერ 2021 წელში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ

ხარჯების დასახელება	საკასო ხარჯები (სახელმწიფო ბიუჯეტიდან)			საკასო ხარჯები (არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან)		
	კორექტირებული გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა	კორექტირებული გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა
სულ	10.904.070,00	10.480.789,35	423.280,65	200.000,00	164.747,21	35.252,79
მრჩეველთა საბჭო	333.908,00	312.099,55	21.808,45	6.000,00	2.807,11	3.192,89
მრჩეველთა საბჭოს ჰონორარი	207.600,00	201.240,00	6.360,00	-	-	-
მრჩეველთა საბჭოს აპარატის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება	62.950,00	52.200,00	10.750,00	-	-	-
მივლინება ქვეყნის შიგნით	10.200,00	10.090,00	110,00	2.300,00	1.350,00	950,00
საკანცელარიო საქონელი	250,00	-	250,00	-	-	-
ბრენდირებული საქონელი	-	-	-	595,00	595,00	-
მობილური სატელეფონო მომსახურება	2.400,00	2.144,33	255,67	-	-	-
სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	-	-	-	405,00	190,11	214,89
კანცელარიის პროგრამის მომსახურება	-	-	-	700,00	672,00	28,00

საკონსულტაციო მომსახურება	3.000,00	-	3.000,00	-	-	-
აუდიტორული მომსახურება	12.000,00	11.881,42	118,58	-	-	-
სოც. კვლევა	13.000,00	12.036,00	964,00	-	-	-
სოც. კვლევა/ნაშთიდან	10.700,00	10.700,00	-	-	-	-
კომპიუტერული ტექნიკა	-	-	-	2.000,00	-	2.000,00
საოფისე ნოუთბუქი/კომპიუტერი/ნაშთიდან	2.238,00	2.238,00	-	-	-	-
საკონფერენციო სისტემის (მიკროფონები) კომპლექტი/ნაშთიდან	9.570,00	9.569,80	0,20	-	-	-
ადმინისტრაცია	**3.182.440,00**	**3.043.311,94**	**139.128,06**	**38.000,00**	**31.307,26**	**6.692,74**
თანამდებობრივი სარგო	1.626.400,00	1.607.363,86	19.036,14	-	-	-
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	556.730,00	556.372,51	357,49	-	-	-
მივლინება ქვეყნის შიგნით	7.000,00	6.205,00	795,00	-	-	-
საკანცელარიო ჟურნალები და წიგნები	1.515,00	1.515,00	-	-	-	-
დანარჩენი საკანცელარიო ნივთები	9.026,00	8.936,00	90,00	-	-	-
პროგრამული განახლების უზრუნველყოფა	4.500,00	4.500,00	-	-	-	-
კომპიუტერის ანტივირუსის ლიცენზია	10.200,00	-	10.200,00	-	-	-
ჟურნალ-გაზეთების შეძენა	312,00	126,00	186,00	-	-	-
საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე ანგარიშის გამოქვეყნების საფასური	40,00	20,00	20,00	-	-	-
საკანონმდებლო მაცნეს ბაზის განახლება	288,00	288,00	-	-	-	-
კომპიუტერული ტექნიკა, მარაგები და მიმდინარე რემონტი	8.353,00	8.352,04	0,96	542,00	273,30	268,70
კარტრიჯების შეძენა	5.059,00	5.058,70	0,30	-	-	-
მცირეფასიანი და ძირითადი აქტივის შეძენა	715,00	715,00	-	4.959,00	4.959,00	-
საოფისე ავეჯის შეძენა	9.000,00	7.483,56	1.516,44	3.072,00	3.071,60	0,40
საოფისე ავეჯის შეძენა/ნაშთიდან	10.000,00	-	10.000,00	-	-	-
გასანათებელი მოწყობილობები და ნათურები	1.480,00	1.149,00	331,00	3.000,00	3.000,00	-
სამეურნეო საქონლის და სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟება-დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯი	8.281,00	5.620,60	2.660,40	1.512,00	1.512,00	-
ელ სადენი და კაბელის აქსესუარების შეძენა	3.500,00	3.500,00	-	1.076,00	140,00	936,00
ქსელის კაბელი, აქსესუარები და კონექტორები	810,00	-	810,00	860,00	768,00	92,00
ბეჭდვითი მომსახურება (სამსახურებრივი ბეიჯები, ლოგოები)	1.800,00	1.800,00	-	1.360,00	1.168,00	192,00
სანიტარულ-ჰიგიენური და საწმენდი საშუალებები	4.047,00	1.788,80	2.258,20	2.930,00	2.925,60	4,40
კოვიდტესტერების ლაბორატორიული მომსახურება/ნაშთიდან	1.600,00	480,00	1.120,00	-	-	-
ფარმაცევტული პროდუქტები, სადეზინფექციო საშუალებები და შენობების სადეზინფექციო სამუშაოები	9.558,00	5.903,80	3.654,20	-	-	-
პირველადი ბატარეები და ელემენტები	6.805,00	4.081,04	2.723,96	950,00	950,00	-
შენობის მიმდინარე რემონტი	16.680,00	15.258,86	1.421,14	4.900,00	-	4.900,00
შენობის მიმდინარე რემონტი/ნაშთიდან	29.527,00	29.527,00	-	-	-	-
კონდიციონერების, საოფისე ავეჯის შეკეთება და ტექ. მომსახურება	5.435,00	5.435,00	-	-	-	-
შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ტექნიკური ხარჯი	3.600,00	-	3.600,00	-	-	-
შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა _ ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობები/ნაშთიდან	31.397,00	31.395,81	1,19	-	-	-
შიდასაქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურება	10.800,00	8.250,92	2.549,08	-	-	-
მობილური ტელეფონების ხარჯი	31.506,00	28.261,01	3.244,99	-	-	-
მობილური ტელეფონების ხარჯი/ნაშთიდან	4.940,00	4.940,00	-	-	-	-
საკაბელო სატელევიზიო მომსახურება	1.224,00	1.056,00	168,00	-	-	-
ინტერნეტით მომსახურების ხარჯი	25.680,00	25.680,00	-	-	-	-
ინტერნეტით მომსახურების ხარჯი/ნაშთიდან	4.170,00	4.170,00	-	-	-	-
დომენის რეგისტრაციის გაგრძელება	-	-	-	90,00	90,00	-

სატელეკომუნიკაციო მომსახურეობა/ჰოსტიგი	15.960,00	15.960,00	-	-	-	-
საფოსტო მომსახურება	1.508,00	446,82	1.061,18	-	-	-
ელ.ენერგიის ხარჯი	142.400,00	125.685,72	16.714,28	-	-	-
წყალის და წყალანირების ხარჯი	4.200,00	3.823,50	376,50	-	-	-
შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების დეზინფექცია-დერატიზაციის ხარჯი	3.000,00	2.798,00	202,00	4.680,00	4.680,00	-
საწვავი (დიზელ-გენერატორი)	3.000,00	1.403,00	1.597,00	-	-	-
საწვავი (ავტომანქანებზე)	174.183,00	151.708,80	22.474,20	-	-	-
საწვავი (ავტომანქანებზე)/ნაშთიდან	11.206,00	11.206,00	-	-	-	-
სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯი	39.720,00	28.913,80	10.806,20	-	-	-
სატრანსპორტო საშუალებების რეგხვის ხარჯი	3.500,00	2.845,00	655,00	-	-	-
GPS-ის მოწყობილობის მეშვეობით ავტომობილების კონტროლის და გადაადგილების მონიტორინგის მომსახურება	4.782,00	4.780,90	1,10	-	-	-
ტექნიკის მოვლა შენახვის-ხარჯი/აკუმულატორები/ ზეთები/ფილტრები	13.358,00	5.346,40	8.011,60	-	-	-
სატრანსპორტო საშუალებების დაქირავების ხარჯი	2.500,00	-	2.500,00	-	-	-
სატრანსპორტო საშუალებების ტექ.მომსახურება	1.200,00	1.060,00	140,00	-	-	-
სატრანსპორტო საშუალებების პარკირება	1.720,00	960,00	760,00	-	-	-
საბურავების შეძენა	8.651,00	7.311,60	1.339,40	-	-	-
სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	-	-	-	1.297,00	1.071,76	225,24
ტექნიკის ჩამოწერასთან დაკავშირებით საექსპერტო მომსახურება	150,00	-	150,00	-	-	-
დოკუმენტების თარგმნა უცხო ენებიდან	500,00	210,00	290,00	-	-	-
შენობის დაცვა (ორბელიანის ქუჩა)	14.090,00	14.089,20	0,80	-	-	-
ადმინისტრაციული შენობის დაცვა	151.200,00	151.200,00	-	-	-	-
აუდიტორული მომსახურება	-	-	-	980,00	980,00	-
სატენდერო და აუქციონის განცხადებების ხარჯი, ქონების რეგისტრაციის საფასური, საჯარო ინფორმაციის გაცემის საფასური	3.450,00	2.600,00	850,00	-	-	-
კანცელარიის პროგრამის მომსახურება	-	-	-	3.168,00	3.168,00	-
საბუღალტრო პროგრამის მომსახურება	1.492,00	816,00	676,00	-	-	-
საკორესპოდენტო ბიურო(ები)ს ოფისის დაქირავების ხარჯი	16.200,00	16.200,00	-	-	-	-
112-ს მომსახურების საფასური (სატელეფონო მომსახურება)	185,00	184,00	1,00	-	-	-
112-ს მომსახურების საფასური (მობილური სატელ. მომსახურება)	1.555,00	1.349,60	205,40	-	-	-
ფინანსური დოკუმენტაციის შეკერვა (დამუშავება)	200,00	200,00	-	-	-	-
საბაჟო/საბროკერო მომსახურება	-	-	-	74,00	-	74,00
კადრების მომზადება-გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	-	-	-	2.550,00	2.550,00	-
ტელევიზიის შენობის და პარკირების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურება	2.470,00	2.470,00	-	-	-	-
თანამშრომელთა დაზღვევა	94.078,00	90.666,82	3.411,18	-	-	-
ავტომანქანების დაზღვევა	5.174,00	5.111,22	62,78	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა (შტატი)	6.130,00	6.036,13	93,87	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა (შტატგარეშე)	2.700,00	2.695,92	4,08	-	-	-
ახალი ამბები	**1.712.000,00**	**1.648.097,37**	**63.902,63**	**11.000,00**	**5.919,62**	**5.080,38**
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	1.573.740,00	1.540.150,22	33.589,78	-	-	-
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება/ნაშთიდან	12.000,00	12.000,00	-	-	-	-
მივლინება ქვეყნის შიგნით	38.050,00	38.050,00	-	5.000,00	-	5.000,00
მივლინება ქვეყნის გარეთ	11.950,00	11.942,00	8,00	4.000,00	3.994,62	5,38
სტუდი(ებ)ის გაფორმება/განახლება	30.000,00	-	30.000,00	-	-	-
წამყვანების ჩაცმულობა	-	-	-	2.000,00	1.925,00	75,00

არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10%	60,00	-	60,00	-	-	-
დარბაზის დაქირავება (არჩევნები_2021)	1.000,00	1.000,00	-	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	45.200,00	44.955,15	244,85	-	-	-
მედიაწარმოება და პროდიუსინგი	**3.584.000,00**	**3.528.095,46**	**55.904,54**	**105.000,00**	**92.603,16**	**12.396,84**
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	2.273.316,00	2.266.105,02	7.210,98	1.930,00	1.400,00	530,00
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება/ნაშთიდან	105.000,00	105.000,00	-	-	-	-
მივლინება ქვეყნის შიგნით	87.025,00	87.022,00	3,00	6.500,00	2.585,00	3.915,00
მივლინება ქვეყნის გარეთ	11.860,00	11.859,09	0,91	3.500,00	3.338,76	161,24
გარე ლაითბოქსების ვიზუალის ზეკდვა, ბრენდირება და სხვა	4.940,00	4.939,00	1,00	918,00	917,80	0,20
ბრენდირებული საქონელი და ატრიბუტიკა	21.080,00	21.080,00	-	7.011,00	7.010,50	0,50
მიკროფონის ღრუბლების შეძენა	4.870,00	4.870,00	-	-	-	-
სპორტული ღონისძიების ტრანსლირების მომსახურება/შესყიდვა (+სტრიმინგი)	30.800,00	30.800,00	-	15.660,00	15.660,00	-
სტუდი(ებ)ის გაფორმება/განახლება	50.000,00	3.919,01	46.080,99	-	-	-
სტუდი(ებ)ის გაფორმება/განახლება/ნაშთიდან	46.000,00	46.000,00	-	-	-	-
პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები, კოსმეტიკური საშუალებები	3.600,00	3.592,40	7,60	2.900,00	2.720,50	179,50
წამყვანების ჩაცმულობა	-	-	-	2.640,00	1.300,00	1.340,00
გარეწარმოება	87.843,00	87.842,10	0,90	16.960,00	16.960,00	-
გარეწარმოება/ნაშთიდან	42.320,00	42.319,98	0,02	-	-	-
საავტორო უფლებების ჰონორარი	30.000,00	30.000,00	-	-	-	-
საავტორო უფლებების შესყიდვა - მუსიკალური ფონი			-	-	-	-
სარეკლამო ბანერის განთავსება (ბილბორდი)	60.000,00	60.000,00	-	-	-	-
სარეკლამო ბანერის განთავსება (ბილბორდი) /ნაშთიდან	20.680,00	20.679,66	0,34	-	-	-
სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ქართული ფილმების შესყიდვა	51.760,00	51.760,00	-	34.000,00	33.930,00	70,00
სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ფილმების შესყიდვა	546.766,00	546.766,00	-	-	-	-
სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ფილმების შესყიდვა/ნაშთიდან	70.000,00	70.000,00	-	-	-	-
სატელევიზიო გადაცემებისათის საჭირო მასალები,დეკორაციები და კვების სხვადასხვა საქონელი	-	-	-	6.731,00	3.388,17	3.342,83
სოციალურ ქსელში გასატარებელი სარეკლამო კამპანიის ხარჯი	-	-	-	2.050,00	1.279,31	770,69
ნამზადების შეძენა	-	-	-	4.200,00	2.113,12	2.086,88
სტილისტის სავარძლის შეძენა	2.100,00	-	2.100,00	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	34.040,00	33.541,20	498,80	-	-	-
რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა	**480.000,00**	**471.095,29**	**8.904,71**	**-**	**-**	**-**
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	446.060,00	439.850,71	6.209,29	-	-	-
მივლინება ქვეყნის შიგნით	1.000,00	-	1.000,00	-	-	-
სატელევიზიო სიგნალის ტრანსლიაცია ინტერნეტის ქსელში/რადიო სტრიმინგი	2.010,00	1.857,51	152,49	-	-	-
გარეწარმოება	23.000,00	21.900,00	1.100,00	-	-	-
რადიოვიზუალიზაციის პროგრამის 1 წლიანი ტექნიკური მხარდაჭერა	3.000,00	2.560,00	440,00	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	4.930,00	4.927,07	2,93	-	-	-
ტექნიკური უზრუნველყოფა	**1.544.722,00**	**1.413.525,09**	**131.196,91**	**-**	**-**	**-**
თანამგზავრული მაუწყებლობის ხარჯი (აზერსატი)	304.584,00	284.328,00	20.256,00	-	-	-
არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10%	34.760,00	31.592,00	3.168,00	-	-	-
პირდაპირი თანამგზავრული ჩართვები (აზერსატი)	2.800,00	2.777,99	22,01	-	-	-
არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10%	310,00	308,66	1,34	-	-	-
ციფრული სიგნალის გავრცელების საფასური	241.448,00	241.448,00	-	-	-	-
სარელეო სიგნალის გავრცელების საფასური	10.440,00	10.440,00	-	-	-	-

სატელევიზიო სიგნალის ტრანზიტის (მთაწმინდა) მომსახურება	3.000,00	3.000,00	-	-	-	-
სილქტივის HD ხარისხის პროგრამული პაკეტი	3.000,00	3.000,00	-	-	-	-
საქ.ტელერადიოცენტრის ანძების იჯარა რადიოგადამცემებისთვის	46.128,00	46.128,00	-	-	-	-
განათების, სცენის და სხვა კონსტრუქციის დაქირავება	2.000,00	2.000,00	-	-	-	-
სატელევიზიო ტექნიკის რემონტის ხარჯი	10.000,00	9.995,00	5,00	-	-	-
სპეც. ტანსაცმელი და უსაფრთხოების აქსესუარები	3.500,00	3.150,00	350,00	-	-	-
აკუმულატორის შეძენა უწყვეტი დენის წყაროსთვის	17.330,00	13.322,56	4.007,44	-	-	-
რადიო გადამცემები	36.000,00	-	36.000,00	-	-	-
რადიო გადამცემებისათვის ქსელური აუდიო დეკოდერები	6.000,00	-	6.000,00	-	-	-
მიკროფონები და აქსესუარები	53.000,00	51.914,10	1.085,90	-	-	-
რადიოგადამცემებისათვის კვების ბლოკის ტრანსფორმატორი	365,00	365,00	-	-	-	-
სტუდიის ვიდეოკამერა/ვიდეოკამერის კომპლექტი	460.000,00	460.000,00	-	-	-	-
Go-pro კამერა	4.500,00	4.366,00	134,00	-	-	-
სტუდიის მიქშერული პულტი	81.440,00	76.698,82	4.741,18	-	-	-
სატელეფონო ჰიბრიდი (2 არხიანი)	11.000,00	8.850,00	2.150,00	-	-	-
კომპიუტერული ტექნიკა/გარე მყარი დისკები	3.895,00	3.788,98	106,02	-	-	-
აუდიო კომუტატორი	7.000,00	-	7.000,00	-	-	-
სტუდიებისა და მსს-ისათვის ვიდეოკამერის ამწე	35.990,00	35.990,00	-	-	-	-
საფრენი (დრონი) ვიდეოკამერა	15.500,00	14.851,48	648,52	-	-	-
მრავალფუნქციური პრინტერები, სკანერები	6.073,20	6.006,20	67,00	-	-	-
შესადუღებელი აპარატი (კემპი)	826,80	826,80	-	-	-	-
აუდიო ინტერფეისი/ნაშთიდან	3.196,00	3.196,00	-	-	-	-
კონვერტორები და კონვერტორების მოდულები/ნაშთიდან	11.576,00	11.575,80	0,20	-	-	-
მეხსიერების ბარათ(ებ)ი, მეხსიერების ბარათის გადამყვან(ებ)ი/ნაშთიდან	22.950,00	20.874,20	2.075,80	-	-	-
ცენტრალური სააპარატოს რეკონსტრუქციისათვის ტექნიკური აღჭურვილობა/ნაშთიდან	25.000,00	21.297,50	3.702,50	-	-	-
როუტერი და ფაერვოლის მოწყობილობა (ლიცენზიებით)	17.410,00	16.934,00	476,00	-	-	-
როუტერი და ფაერვოლის მოწყობილობა (ლიცენზიებით)/ნაშთიდან	20.000,00	20.000,00	-	-	-	-
კონდიციონერ(ებ)ის შეძენა	4.500,00	4.500,00	-	-	-	-
საოფისე კომპიუტერ(ებ)ის შეძენა	9.200,00	-	9.200,00	-	-	-
ვიდეოკამერის კომპლექტი/ნაშთიდან	30.000,00	-	30.000,00	-	-	-
სხვა გადასახდელები	**67.000,00**	**64.564,65**	**2.435,35**	**40.000,00**	**32.110,06**	**7.889,94**
არარეზიდენტების მომსახურებასთან დაკავშირებული უკუდაბეგვრის დღგ	65.440,00	63.007,65	2.432,35	2.000,00	560,88	1.439,12
საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადები	-	-	-	31.936,00	25.535,18	6.400,82
სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში, მოსაკრებელი და აღსრულების ხარჯი	-	-	-	6.064,00	6.014,00	50,00
დასუფთავების მოსაკრებელი	1.560,00	1.557,00	3,00	-	-	-

4. ინფორმაცია მაუწყებლის შემოსავლების შესახებ

2021 წლის განმავლობაში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შემოსავლებმა დღგ-ს ჩათვლით (დარიცხული) შეადგინა სულ 162.595,90 ლარი, მათ შორის:

1) ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული (დარიცხული) შემოსავლები შეადგენს 160.887,90 ლარს, კერძოდ:

→ შემოსავლები სატელევიზიო ეთერში პროდუქტის განთავსების (Product Placement) მომსახურებიდან 11.922,50 ლარი

→ შემოსავლები კომერციული რეკლამიდან 57.386,52 ლარი;

→ შემოსავლები საიჯარო მომსახურებიდან 85.332,81 ლარი;

→ შემოსავლები სხვა (არქივიდან მასალის გაცემა) მომსახურებიდან 135,67 ლარი;
→ გაცვლითი ოპერაციებიდან (ბარტერი) მიღებული შემოსავალი 5.580,00
→ სხვა შემოსავლები (პირგასამტეხლო) 430,40 ლარი.

2) მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში მიღებული შემოსავლები შეადგენს 1.708,00 ლარს, კერძოდ:

→ შემოსავლები "ა(ა)იპ ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის" დაფინანსებით 1.100,00 ლარი;
→ შემოსავლები "ა(ა)იპ სამოქალაქო განვითარების სააგენტო"-ს დაფინანსებით 708,00 ლარი.

❖ არასაბიუჯეტო შემოსავლების პროცენტული მაჩვენებლები



2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის საბანკო (სახაზინო) ანგარიშზე რიცხულმა ფინანსური სახსრების ნაშთმა შეადგინა 499.904,81 ლარი, მათ შორის:

- საბიუჯეტო სახსრები (გრანტი) – 423.430,69 ლარი;
- არასაბიუჯეტო სახსრები (შემოსავლები) – 76.474,12 ლარი;

დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

2022 წელი

ნაშთი 01.01.2021	სადებეტო ბრუნვა	საკრედიტო ბრუნვა	ნაშთი 31.12.2021
619.293,17	10.529.140.14	10.648.528,50	499.904,81

❖ ნაშთის პროცენტული მაჩვენებლები



5. ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

მაუწყებელში სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვა, წინამოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება და სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობის (საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №12 „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №13 „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №2 „შემსყიდველი

ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ და შესყიდვების მარეგულირებელი სხვა ნორმები) შესაბამისად.

2021 წლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გამოყენებული შესყიდვის ფორმებია:

- კონსოლიდირებული ტენდერი
- ელექტრონული ტენდერი
- გამარტივებული შესყიდვები

2021 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მიერ:

1) გამოცხადებული იყო 51 ტენდერი, მათ შორის 13 დასრულდა უარყოფითი შედეგით, 6 არ შედგა, 1 შეწყდა, ხოლო 31 შედგა და გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები_ საერთო ღირებულებით 1.250.901,16 ლარი.

2) განხორციელდა 186 გამარტივებული შესყიდვა და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები _ საერთო ღირებულებით 343.013,38 ლარი, მათ შორის:

   - 87 არასაბიუჯეტო შემოსავლებით _ საერთო ღირებულებით 50.165,74 ლარი;
   - 99 სახელმწიფო ბიუჯეტით _ საერთო ღირებულებით 292.847,64 ლარი.

3) კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა 20 ხელშეკრულება _ საერთო ღირებულებით 249.936,27 ლარი.

❖ სახელმწიფო შესყიდვების მაჩვენებლები

სახელმწიფო შესყიდვები



კონსოლიდირებული ტენდერი	20
ელექტრონული ტენდერი	31
გამარტივებული შესყიდვა	186

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესყიდვების გარდა, 2021 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მიერ განხორციელდა შემდეგი მომსახურებები, შესყიდვები და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები:

1) 9 იჯარა _ საერთო ღირებულებით 96.079,66 ლარი.
2) 24 გარეწარმოება (რადიო და სატელევიზიო შემეცნებით/გასართობი რუბრიკები, არტები და გადაცემები) _ საერთო ღირებულებით 169.022,10 ლარი.
3) 21 მაუწყებლობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის (პირდაპირი ჩართვები, თანამგზავრული და სხვა) მომსახურებები _ საერთო ღირებულებით 955.118,00 ლარი.
4) 10 სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ფილმები და მუსიკალური ბიბლიოთეკა _ საერთო ღირებულებით 702.456,00 ლარი, მათ შორის:
   - 2 არასაბიუჯეტო შემოსავლებით _ საერთო ღირებულებით 33.930,00 ლარი;
   - 8 სახელმწიფო ბიუჯეტით _ საერთო ღირებულებით 668.526,00 ლარი.



6. ინფორმაცია მაუწყებლის წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ

1) სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიომ (სახაზინო პროგრამული კოდი 420102) „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ (კანონი 45-IIრს-Xმპ_29/12/2020) საქართველოს კანონით, პროგრამით „მაუწყებლის ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 42 00), გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში განახორციელა საბიუჯეტო სახსრების განკარგვა.

2) „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს:

a. საბიუჯეტო სახსრების ხარჯები განისაზღვრა 10.904.070,00 ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 10.480.789,35 ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96,12%-ია.

მათ შორის:

- შრომის ანაზღაურების მუხლით განსაზღვრული ასიგნება შეადგენდა 1.834.000,00 ლარს. საკასო შესრულებამ შეადგინა 1.808.603.86 ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98,62%-ია.

b. არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 1.459.135,00 ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 1.353.754,11 ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 92,78%-ია.

3) საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ საბიუჯეტო სახსრების ნაწილში სახელწიფო ასიგნების ფარგლებში ათვისებულმა ბიუჯეტმა შეადგინა სულ 10.480,8 ათასი ლარი. დამატებით მაუწყებელმა ეკონომიკური საქმიანობიდან მიიღო (დარიცხული) შემოსავალი (დღგ-ს ჩათვლით) სულ 162,6 ათასი ლარი.

დასახული შუალედური/საბოლოო შედეგები

პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს ახალი ამბებისა და მაღალმხატვრული ღირებულების სატელევიზიო და რადიო პროგრამების მიწოდებით საზოგადოების ინფორმირებულობისათვის ხელის შეწყობა, ტელე-რადიო არხის რეიტინგის გაზრდა, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და შემოქმედებითი ცნობიერების ამაღლება.

მიღწეული შუალედური/საბოლოო შედეგები

ა) მაუწყებლის მიერ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, მედიაწარმოებისა და პროდიუსინგის მიმართულებით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები, კერძოდ:

- ✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ უსასყიდლოდ, სამინისტროს მოთხოვნამდე ვადით სარგებლობაში გადმოგვეცა (01-01-10/255_29.01.21) ქ. ბათუმში, მემედ აბაშიძის ქუჩა №16-18-ში მდებარე უძრავ ქონებაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრირებული 596,7 კვ/მ არასაცხოვრებელი ფართის (ს/კ 05.21.06.003.01.502) ნაწილი - 305,3 კვ/მ, მასზე წილობრივად დამაგრებული 101,56 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის (ს/კ.05.21.06.003) ნაკვეთით. მაუწყებლის სარგებლობაში გადმოცემულ შენობაში განხორციელდა ადმინისტრაციული და სტუდიური სარემონტო სამუშაოები;
- ✓ სტუდიებისა და გარე გადაღებისათვის შეძენილ იქნა 5 ერთეული ვიდეოკამერ(ებ)ის კომპლექტი;
- ✓ შეძენილ იქნა როუტერი და ფაერვოლის მოწყობილობა 2 წლიანი ლიცენზიით;
- ✓ ცენტრალური სააპარატოსათვის შეძენილ იქნა ტექნიკური აღჭურვილობა;
- ✓ სტუდიებისა და მსს - ისათვის შეძენილ იქნა ვიდეოკამერის ამწე;

- ✓ შეძენილ იქნა სტუდიური განათების კომპლექტი და აქსესუარები, სტაციონალური მიკროფონები და მიმღებები, სამკერდე მიკროფონები, ხელის რადიო მიკროფონები, უკაბელო საკამერო მიკროფონის კომპლექტი, ყურსასმენები, HDMI და USB კაბელები, სტუდიის მიქშერული პულტი, სტუდიის ვიდეო პულტი, საფრენი ვიდეოკამერა (დრონი), 2 არხიანი სატელეფონო ჰიბრიდი, აუდიო ინტერფეისი, აუდიო და ვიდეო სიგნალის გარდამქნელები, სხვადასხვა მოწყობილობები და აქსესუარები;
- ✓ სისტემატურად ხორციელდებოდა ვიდეო კამერების, საკამერო განათების, სამკერდე და ხელის მიკროფონების ტექნიკური მონიტორინგი;
- ✓ ჩაუტარდა პროფილაქტიკური სამუშაოები მაუწყებლის ადმინისტრაციულ შენობაში (მ. აბაშიძის №41) მდებარე უწყვეტი დენის წყაროს (UPS), ვიდეო კამერებს, სამკერდე მიკროფონებს, შტატივებსა და არსებულ სხვა ტექნიკას. შეკეთდა შემოქმედებითი გადაცემებისა და ახალი ამბების ვიდეო კამერები, პირდაპირი ჩართვის აპარატი (LIVE-U) და განათების კომპლექტი;
- ✓ განხორციელდა ტელევიზიის და რადიოს შენობ(ებ)ის სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოები. შეძენილ იქნა საოფისე მაგიდები და სკამები, სხვადასხვა სახის საკანცელარიო და სამეურნეო საქონელი, სანიტარულ ჰიგიენური საშუალებები, ელექტრო საქონელი, ნათურები, თაბახის ფურცლები, AA და AAA ტიპის ელემენტები და სხვა.
- ✓ განხორციელდა რადიოვიზუალიზაციის პროგრამის 1 წლიანი ტექნიკური მხარდაჭერა;
- ✓ განხორციელდა სატელევიზიო სიგნალის ტრანსლიაცია ინტერნეტის ქსელში - რადიო სტრიმინგის 1 წლიანი ლიცენზიის შეძენა;
- ✓ განხორციელდა ქსელური სამუშაოები: ახალი მიერთებები, დაზიანებული წერტილების გამოვლენა და აღმოფხვრა, ქსელის გამანაწილებელი (switch) და უკაბელო ინტერნეტის (AP) მოწყობილობების გამართვა;
- ✓ განხორციელდა ფაერვოლისა და როუტერის (Sophos SG230) კონფიგურირება, სამუშაო ჯგუფების შექმნა, პორტებსა და სერვისებთან წვდომის წესების განსაზღვრა, ვებ და ქსელური დაცვის წესების შემუშავება სამუშაო ჯგუფებისა და ქსელების კატეგორიების გათვალისწინებით, ლოგირება და მონიტორინგი;
- ✓ განხორციელდა ვიდეო არქივის შემნახველი მყარი დისკების მასივი/სტორიჯის მოცულობის გაზრდა, კონფიგურირება და მონიტორინგი;
- ✓ განხორციელდა სერვერების (FTP სერვერები, რადიო სტრიმინიგი, მონაცემთა ბაზა) გამართული მუშაობის უზრუნველყოფა და მონიტორინგი;
- ✓ განხორციელდა მსოფლიო ქსელის (www) გვერდის ჰოსტინგის ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება, ინფორმაციის გადატანა, ბექაფი, ელექტრონული ფოსტების შექმნა, ინტეგრაცია კლიენტურ პროგრამებში და მონიტორინგი;

- ✓ განხორციელდა ეთერის გრაფიკული გაფორმების სადგურები (ე.წ. ტიტროვშიკი), პროექტების დამზადება, პროგრამული და აპარატურული ნაწილის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;

- ✓ განხორციელდა საეთერო, სამაუწყებლო, კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობების შეკეთება, ქსელური ენკოდერების კონფიგურირება გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, საეთერო პულტებში გრაფიკული ელემენტების ჩაწერა და კონფიგურირება;

- ✓ განხორცილდა სამონტაჟო მუშა სადგურების კონფიგურაციის მოკვლევა, შეძენა და ინსტალაცია;

- ✓ განხორციელდა კომპიუტერული ტექნიკის ოპერაციული სისტემის განახლება, დრაივერების, ანტივირუსული და სხვა პროგრამების ინსტალაცია, რადიოს მონაცემთა ბაზის, სამაუწყებლო, სამონტაჟო, დამგეგმავი და სტრიმერი კომპიუტერების შეკეთება, პროგრამული გამართვა და მონიტორინგი;

- ✓ შევიძინეთ აუდიო, ვიდეო და ქსელის კაბელები თავისი კონექტორებით, რომელებიც გამოყენებული იქნა მაუწყებლის შენობ(ებ)ში კაბელებისა და კომუნიკაციის მოსაწესრიგებლად;

- ✓ შრომის უსაფრთხოების მიმართულებით განხორციელდა შემდეგი შესყიდვები და სამუშაოები:
  - *საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე განხორციელდა ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა;*

  - *მაუწყებლის შენობის შიდა პერიმეტრზე განთავსდა უსაფრთხოების დაცვის მანიშნებელი ნიშნები;*
  - *უსაფრთხოების პრევენციის მიზნით განხორციელდა სამედიცინო პირბადეებისა და სადეზინფექციო ხსნარების შეძენა, ასევე განხორციელდა მაუწყებლის შენობის შიდა პერიმეტრზე გეგმიური სადეზინფექციო სამუშაოები;*

  - *განხორციელდა მაუწყებლის ადმინისტრაციულ შენობებში სახანძრო მოწყობილობების შეკეთება, სახანძრო უსაფრთხოების ბალონების განთავსდა/დამონტაჟება და შესაბამისი ტექნიკური მომსახურება;*

- ✓ მედიაწარმოება და პროდიუსინგის (ტელევიზია, რადიო) მიმართულებით განხორციელდა შემდეგი შესყიდვები:

- *გარეწარმოების ნაწილში: დოკუმენტური ფილმები, არტები, რადიოს შემეცნებითი-გასართობი რუბრიკები და გადაცემები;*

- *სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ფილმები (ანიმაციური, დოკუმენტური, მხატვრული ფილმები და სერიალები);*

- *სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ქართული მხატვრული ფილმები;*

- *სარეკლამო ბანერის, ნაბეჭდი ფირების, მიკროფონის ღრუბლების, სატელევიზიო გადაცემებისათვის საჭირო მასალების, დეკორაციებისა და სხვადასხვა საქონელის შეძენა-ბრენდირება;*

- *სოციალური ქსელში გასატარებელი სარეკლამო კამპანია;*

- *პრომოუშენისათვის გრაფიკული ნამზადების შეძენა-გაფორმება.*

✓ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის რადიოს მიანიჭა FM დიაპაზონში რადიომაუწყებლობისათვის სიხშირეები შემდეგ ქალაქებში და დასახლებულ პუნქტებში:

- *თბილისი _ 90,2 მჰც;*
- *გორი _ 94,1 მჰც;*
- *ქუთაისი _ 99,3 მჰც;*
- *ზუგდიდი _ 97,1 მჰც;*
- *ფოთი _ 90,7 მჰც;*
- *ბათუმი (რადიო/სატელევიზიო ანძა) _ 104,5 მჰც;*
- *შუახევი (რადიო/სატელევიზიო ანძა) _ 106,0 მჰც;*
- *ხულო (რადიო/სატელევიზიო ანძა) _ 104,1 მჰც;*
- *ქედა (სოფ. ზენდიდის რადიო/სატელევიზიო ანძა) _ 106,1 მჰც;*
- *ლაგოდეხი (რადიო/სატელევიზიო ანძა) _ 90,7 მჰც;*
- *ქობულეთი (სოფ. ლელვას რადიო/სატელევიზიო ანძა) _ 96,1 მჰც.*

✓ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის, სოფელ ცოდნისკარში მდებარე აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები);

✓ ომბალაურის აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები (თვეში ორჯერ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები):
- *გარემონტდა გადამცემი სადგური;*
- *შეკეთდა სარეზერვო გადამცემი ანტენები;*

- *დიზელ-გენერატორის საწვავის ავზში ჩასხმული იქნა დიზელის საწვავი, გენერატორში გამოიცვალა ზეთი და ფილტრი;*
- *დამონტაჟდა სარეზერვო FM გამაძლიერებელი მოდულატორი;*
- *გადამცემს სიგნალი მიეწოდება ინტერნეტის საშუალებით.*

✓ აჭარის მუნიციპალიტეტებში,მდებარე აჭარის რადიოს გადამცემ სადგურებზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). რემონტი ჩაუტარდა გადამცემ სადგურებს, გარემონტდა:
- *გადამცემი სადგურის ინდიკაციის და გამაძლიერებლის ბლოკი;*
- *მიმღები და გადამცემი ანტენები;*
- *სერვორეგულატორები;*
- *კვების ბლოკი;*
- *დენის სტაბილიზატორები;*
- შეიცვალა სატელიტური თავაკი, რესივერი და შეიცვალა კოაქსალური (RG-6) კაბელი;

➢ აჭარის რადიოს FM რადიოგადამცემი ანტენები განთავსებულია შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"-ს კუთვნილ ანძებზე და მაუწყებლობს:
- *თბილისი (სატელევიზო ანძა) _ FM 90,1 სიხშირეზე;*
- *გორი (სატელევიზო ანძა) _ FM 94,1 სიხშირეზე;*
- *ქუთაისი (სატელევიზო ანძა) _ FM 99,3 სიხშირეზე;*
- *ფოთი (სატელევიზიო ანძა) _ FM 90,7 სიხშირეზე;*
- *ზუგდიდი (სატელევიზო ანძა) _ FM 97,1 სიხშირეზე;*

ყველა სადგურზე 2021 წლის განმავლობაში განხორციელდა გადამცემი სადგურის და ანტენების გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები).

✓ მ/წელს შეძენილ იქნა FM რადიო გადამცემი სადგურ(ებ)ის კომპლექტი, რომლებიც მაუწყებლისათვის მარეგულირებელი კომისიის მიერ FM დიაპაზონში რადიომაუწყებლობისათვის სიხშირეების გამოყოფის შემდეგ განთავსდება/დამონტაჟდება კურორტ ბეშუმში და სოფელ თხილნარში;

✓ განახლდა ტელევიზიის, რადიოსა და გადამცემი სადგურებისათვის (ომბალაური, ხულო, შუახევი) ელექტრო კვებით უწყვეტად მომარაგებისათვის (UPS) აკუმულატორები და უწყვეტი დენის წყარო;

✓ მაუწყებლის თანამშრომლების უსაფრთხოების მიზნით შეძენილი იქნა სპეც.ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და უსაფრთხოების ქამრები;

✓ მაუწყებლის ბალანსზე რიცხულ ავტომობილებს ჩაუტარდა სარემონტო/ პროფილაქტიკური სამუშაოები, დაზღვეულ იქნა ავტოპარკის სრული შემადგენლობა, განხორციელდა სატრანსპორტო საშუალებათა GPS კონტროლის მომსახურების, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების, პარკირებისა და რეცხვის ორგანიზაციული საკითხები;

ბ) მაუწყებლის ფინანსური ეფექტიანობის სამსახურის მიერ დაიხვეწა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აღრიცხვისა და ფინანსური ანალიზის სისტემა. გატარებული ღონისძიებების შედეგად მიღწეულ იქნა შემდეგი ძირითადი მიზნები:

→ მაუწყებლის დირექტორის 2021 წლის 15 სექტემბრის №02-09/109 ბრძანების თანახმად ჩატარდა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" -ს ბალანსზე 2021 წლის პირველი ოქტომბრის მდგომარეობით რიცხული ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაცია ჩატარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული "საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის"დაცვით. აღნიშნული წესის მოთხოვნათა მიხედვით 2021 წლის ინვენტარიზაციას დაექვემდებარა: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს ბალანსზე რიცხული ყველა აქტივი, გარდა გადამცემი სადგურებისა, კერძოდ, ინვენტარიზაციას დაექვემდებარა: არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობები, სატრანსპორტო საშუალებები, სხვა დანარჩენი მანქანა-დანადგარები და მოწყობილებები, საბიბლიოთეკო ფონდი, ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტები, კომპიუტერული პროგრამები და მონაცემთა ბაზები, გასართობი, ლიტერატურული და მხატვრული ორიგინალი ნიმუშები, მიწა, საკუთარი მიზნებისთვის, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია, არაწარმოებული არამატერიალური აქტივები, მოთხოვნები და ვალდებულებები, ასევე გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები, ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობები (საბუღალტრო სინთეზური ანგარიშები (ახალი/ძველი): 1-22-1200/(2112), 1-22-2100/(2121), 1-22-2220/(2122), 1-22-2220/1(2122/1), 1-24-1500/(2130), 1-24-1300/(2132), 1-24-1400/(2133), 1-14-1410/(2220), 1-22-1500/(2410), 1-27-2231/(2430) და საცნობარო მუხლები (04/10, 05, 08). ყოველ მათგანზე, მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით გაიცა საინვენტარიზაციო უწყისი. ცალკ-ცალკე უწყისში შევიდა ნარჩენი და ნულოვანი ღირებულების მქონე და ამორტიზებული ფასეულობებიც. კომისიის მიერ შემოწმებულ იქნა ბალანსზე რიცხული ქონების მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე გაწერის სისწორე. კერძოდ: მაუწყებლის დირექტორის 2019 წლის 20 ოქტომბრის №02-03/13 (მატერიალურად პასუხისმგებელ პირების განსაზღვრისა და საწყობიდან ქონების გაცემის წესის შესახებ) ბრძანებით, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს სარგებლობაში არსებული ქონება განპიროვნებულია მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე. ფინანსური ეფექტიანობის სამსახურში, დადგენილი წესით, შევსებულია საინვენტარიზაციო ბარათები (ელექტრონული ვერსია-ბუღალტრული პროგრამის შესაბამისად, ფორმა №ძს-6. დანართი №1). აქტივების ერთი მატერიალურად პასუხისმგებელი პირიდან მეორეზე გადაცემა, ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით. ინვენტარიზაციის ჩატარების მოქმედი წესის თანახმად, ადგილზე, კომისიის მიერ მატერიალურად პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით, ჩატარებული ინვენტარიზციის შედეგად შედგა 69 (შედარების) უწყისი (ფორმა №ინვ-1) და დადგინდა შემდეგი:

- ინვენტარიზაციით გამოვლინდა ფაქტობრივ და ბუღალტრულ მონაცემებს შორის სხვაობის ორი შემთხვევა, კერძოდ: ნაკლებობა-საბიბლიოთეკო წიგნები 22 ერთეული, საერთო ღირებულებით 377,94 ლარი (მ.პ.პ. თ. გუჯაბიძე) და ერთი ერთეული - „ვიდეოპროექტორი სადგამი ეკრანით“ ნარჩენი საბალანსო ღირებულება 1.312,67 ლარი, კომპლექტიდან დანაკლისშია უშუალოდ ვიდეოპროექტორი (მეტობა/ ნაკლებობა), (მ.პ.პ. ი.გოგოლიშვილი). ინვენტარიზაციის შედეგების შეჯამებამდე 2021 წლის 16 დეკემბერს ჩატარდა მუდმივმოქმედი საინვენტარიზაციო კომისიის სხდომა. სხდომაზე, მხარეთა შეთანხმებით, გადაწყდა დანაკლისის დაფარვა სასაქონლო ფორმით, 2021 წლის 31 დეკემბრამდე. აღნიშნული სხდომის ოქმი გადაეცა მაუწყებლის დირექტორს დასამტკიცებლად (დამტკიცებული სხდომის ოქმი ინვენტარიზაციის ჩატარების აქტს თან ერთვის). მატერიალურად პასუხისმგებელი პირების, თ. გუჯაბიძისა და ი. გოგოლიშვილის მიერ დანაკლისი დაფარულ იქნა დადგენილ ვადებში. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ფაქტობრივ და ბუღალტრულ მონაცემებს შორის სხვაობა დაბალანსებულია, რაც შესაბამისად აისახა შედეგების აქტით-ფორმა №ინვ-2.
- ინვენტარიზაციის შედეგად სულ აღწერილია მაუწყებლის ბალანსზე, 2021 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით, რიცხული 3523 ერთეული, 11.269.509,63 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების მქონე „ძირითადი აქტივები“ და „ხარჯებში ჩამოწერილი მატერიალური მარაგები და მცირეფასიანი აქტივები ექსპლუატაციაში“, მათ შორის:

  ა) „ძირითადი აქტივები“_1559 ერთეული, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 10.924.635,66 ლარი, აქედან:
  - „არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობები“ (ანგარიში 1-22-1200/2112)_6 ერთეული, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 4.259.800,10 ლარი;
  - „სატრანსპორტო საშუალებები“ (ანგარიში 1-22-2100/2121)]_18 ერთეული, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 175.221,89 ლარი;
  - „სხვა დანარჩენი მანქანა-დანადგარები და მოწყობილებები“ (ანგარიში 1-22-2200/2122)_1218 ერთეული, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 3.845.783,49 ლარი;
  - „საბიბლიოთეკო ფონდი“ (ანგარიში 1-22-2200/2122/1)_61 ერთეული, საბალანსო ღირებულება 1.254,89 ლარი;
  - „ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტები“ (ანგარიში 1-24-1500/2130)_38 ერთეული, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 719.488,73 ლარი;
  - „კომპიუტერული პროგრამები და მონაცემთა ბაზები“ (ანგარიში 1-24-1300/2132)_18 ერთეული, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 48.422,48 ლარი;
  - „ლიტერატურული და მხატვრული ორიგინალი ნიმუშები“ (ანგარიში 1-24-1400/2133)_34 ერთეული, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 873.852,34 ლარი;
  - „მიწა, საკუთარი მიზნებისთვის“ (ანგარიში 1-22-1500/2410) _ 4 ერთეული, საბალანსო ღირებულება 994.699,00 ლარი;
  - „რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია“ (ანგარიში 1-27-2231/2430)_162 ერთეული, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 6.112,77 ლარი;

  ბ) ბალანსის საცნობარო მუხლები_1964 ერთეული, საერთო ღირებულებით344.873,97 ლარი, აქედან:

- მცირეფასიანი აქტივები (ანგარიში 1-14-1410/2220)_160 ერთეული საბალანსო ღირებულება 20.502,62 ლარი;
- „ხარჯებში ჩამოწერილი მატერიალური მარაგები და მცირეფასიანი აქტივები ექსპლუატაციაში“ (ანგარიში ბსმ 04/10)_1757 ერთეული, ღირებულებით 318.985,83 ლარი;
- „პირობითი მოთხოვნები“ (ანგარიში მსმ 05)_1 ერთეული, ღირებულებით 5.385,52 ლარი;
- ამორტიზებული ძირითადი აქტივები (ანგარიში ბსმ 08)_46 ერთეული, განულებული ნარჩენი ღირებულებით;

  შენიშვნა: ცვეთადი და ამორტიზირებადი აქტივების და აკუმულირებული (დაგროვილი) ცვეთის საწყისი ნაშთების ბუღალტრულ ჩანაწერებში/ბარათებზე ასახვასთან დაკავშირებით, არაფინანსური აქტივების საწყისი საბალანსო ღირებულება განსაზღვრულია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 02 დეკემბრის №289 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ მეცხრე მუხლის, პირველი პუნქტის, ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად.

❖ კომისიის მიერ დაზუსტებულ იქნა ბუღალტრული ჩანაწერების სისწორე და მოხდა მათი კორექტირება, კერძოდ:

1. მაუწყებლის ბალანსზე რიცხულ შენობას შეეცვალა იურიდიული მისამართი, კერძოდ: სს ორბელიანის №17-შეიცვალა სს ორბელიანის №31 -ით. საფუძველი: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 26 იანვრის #M18001653/3 გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ;
2. აჭარის ტელევიზია და რადიოს ომბალაურის გადამცემ სადგურში არსებულ კვების ხაზის (ს/№ 0426) შემადგენლობაში შედის და მისი განუყოფელი ნაწილია, 100 კვ-იანი მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორი (საფუძველი: 2021 წლის 26 აგვისტოს გადამცემ საშუალებათა ექსპლუატაციის განყოფილების უფროსის - ლევან კაიკაციშვილის მოხსენებითი ბარათი და ტექნიკური აქტი №02-26/1817). აქტივი ამორტიზირებულია და საჭიროებს სარემონტო სამუშაოების ჩატარებას და მასზე გაწეული ხარჯების ღირებულებაში ასახვას/აფასებას;
3. შესაცვლელია სინთეზური ანგარიშ(ებ)ი, კერძოდ:
   - ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით მაუწყებლის ბალანსზე რიცხული 68 გადამცემი სადგურიდან, გაუქმდა 53 სადგური, მოხდა მათი დემონტაჟი (სადგურების მოძრავი ქონება და ანძები გადმოტანილ იქნა ბათუმი, მ. აბაშიძის ქ. №41-სა და სს ორბელიანის ქ. №31-ში). აღნიშნული ქონების, დანიშნულების შეცვლის გამო (აღარ წარმოადგენს გადამცემი სადგურის განუყოფელ ნაწილს) შესაცვლელია სინთეზური ანგარიში 1-22-1300/2113 და 130 ერთეული (ნარჩენი საბალანსო ღირებულება

266.326,07 ლარი) დემონტირებული აქტივი გადასატანია 1-22-2220/2122 სინთეზურ ანგარიშზე, ხოლო ტექნიკური გადაირაღების მიზნით მოქმედ სადგურებზე დამონტაჟებული აქტივები 25 ერთეული (ნარჩენი საბალანსო ღირებულება 145.276,71 ლარი) გადასატანია 1-22-2220/2122 სინთეზური ანგარიშიდან 1-22-1300/2113 ანგარიშზე (შედარების უწისი №26, 26/11/2021წ. მ.პ.პ. ლ. კაიკაციშვილი);

- ბალანსის საცნობარო მუხლში რიცხული „საწყობისა და მატერიალური მარაგების მართვის პროგრამა“ (ს/№ 10-0456), ღირებულებით 2.360,00 ლარი, მასზე განხორციელებული სამუშაოების დასრულების/სრულყოფის გამო ბსმ საცნობარო მუხლიდან გადასატანია ძირითად აქტივებში („სხვა დანარჩენი მანქანა-დანადგარები და მოწყობილებები“) 1-22-2200/(2122) სინთეზურ ანგარიშზე (შედარების უწისი №57, 18/10/2021წ. მ.პ.პ. მაია შაშიკაძე).

❖ კომისიამ ჩაატარა ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია და აღნიშნავს შემდეგს:

✓ 2021 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით ბალანსზე გაუცემელი ხელფასების სახით ირიცხებოდა კრედიტორული დავალიანება 650,00 ლარის ოდენობით, მათ შორის:

- არასაბიუჯეტო სახსრების ნაწილში_შტატგარეშე თანამშრომლების (პროექტი-„ქალის ხმა არჩევნებში!“) ხელფასი (უწყისი №241)-650,00 ლარი (ოქტომბერში გაცემული სექტემბრის თვის ხელფასი).

✓ 2021 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით ქვეყნის შიგნით მივლინებისათვის საბიუჯეტო სახსრების ნაწილში საქვეანგარიშოდ/წინასწარი ანგარიშსწორებით გაცემულია სულ 1.385,00 ლარი;

✓ დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებების ინვენტარიზაცია ჩატარდა დაფინანსების წყაროს მიხედვით, შედგა დებიტორ-კრედიტორებთან ანგარიშსწორების აქტი, რომლის მიხედვით დადგინდა შემდეგი:

o საბიუჯეტო სახსრებში,

როგორც დებიტორული, ასევე კრედიტორული დავალიანებები წარმომავლობის ხასიათის მიხედვით, არის მოკლევადიანი (მიმდინარე) და მათი წარმოშობა დაკავშირებულია ანგარიშსწორების დოკუმენტების წარმოდგენის ვადებთან. რაც შეეხება საბიუჯეტო სახსრების ნაწილში გრძელვადიან დებიტორულ დავალიანებებს:

- 2019 წლის 23 აგვიტოს №199 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო სარჩელი აღძრულია და წარმოებაშია - შპს „ეიგლის“ და სს „სადაზღვევო კომპანია ალფას“ წინააღმდეგ, მაუწყებლის მიერ ვალდებულების შესრულების მიზნით წინასწარი ანგარიშსწორების სახით გადახდილი თანხის 11.000,00 ლარის დაბრუნების და შპს „ეიგლისათვის“ ხელშეკრულების შეწყვეტის გამო 8.234,25 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე. მაუწყებელმა სარჩელის უზრუნველოყოფის მიზნით მოითხოვა შპს ეიგლის (ს/ნ 405222272) საქართველოში რეგისტრირებულ საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ყადაღის დადება 19.234,25 ლარის ოდენობით. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 10 იანვრის განჩინებით მაუწყებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოში რეგისტრირებულ საბანკო დაწესებულებებში, 19.234,00 ლარის ფარგლებში ყადაღა დაედოს შპს ეიგლის (ს/ნ 405222272) საბანკო ანგარიშებზე

ჩარიცხულ ან/და არსებული თანხის 50% -ს. 2020 წლის 10 იანვარს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემულია სააღსრულებო ფურცელი, რომელიც წარდგენილია აღსრულების ეროვნულ ბიუროში (იდენტიფიკატორი: 2000996154). სააღსრულებო წარმოება დასრულებულია.

- „პირობითი მოთხოვნები“ (ბსმ 05 ანგარიში) – 5.385,52 ლარი, რომელიც წარმოიშვა 2016 წლის 19 აგვისტოს კურორტ „ბახმაროში“ შემოქმედებითი ჯგუფის მიერ სადღესასწაულო დოღის გადაღებისას დაზიანებული ვიდეოკამერის თაობაზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის მიერ საქმეზე მოკვლეულ მასალებზე დაყრდნობით სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრა, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. ზიანის ანაზღაურების თაობაზე, სამოქალაქო წესით, დავას განიხილავდა, ოზურგეთის რაიონული სასამართლო მოპასუხეებიის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ფ/პ ჯუმბერ ძირკვაძის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. მაუწყებლის სარჩელი მოპასუხე ჯუმბერ ძირკვაძის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. დავის საგანი: თანხის დაკისრება. მოპასუხე ჯუმბერ ძირკვაძეს დაეკისრა ვიდეოკამერების ხარჯის 50%-ის ანაზღაურება (2016 წელს ბახმაროში ფერიცვალების დღესასწაულზე დაზიანებული კამერა) - 2 692.76 ლარის ოდენობით და ჯუმბერ ძირკვაძეს მაუწყებლის სასარგებლოდ დააკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 73,88 ლარის ოდენობით. ასევე ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით 2020 წლის 21 დეკემბერს გასცა სააღსრულებო ფურცელი საქმეზე საბოლოო გაწყვეტილების მიღებამდე - ყადაღა დაედოს მოპასუხე ჯ.ძ. საკუთრებში არსებულ უძრავ ქონებას - მიწის ნაკვეთს, მდებარე ქ. ოზურგეთი, დაბა ნასაკირალის ტერიტორია, საკადასტრო კოდი: 26.29.14.021.

  მაუწყებლის მიერ წარდგენილი საჩივარი, სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა და ძალაში დატოვა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება.

- არასაბიუჯეტო სახსრებში,

  როგორც დებიტორული, ასევე კრედიტორული დავალიანებები წარმომავლობის ხასიათის მიხედვით, ძირითადად არის მოკლევადიანი (მიმდინარე) და მათი წარმოშობა დაკავშირებულია ანგარიშსწორების დოკუმენტების წარმოდგენის ვადებთან. რაც შეეხება არასაბიუჯეტო სახსრების ნაწილში გრძელვადიან დებიტორულ დავალიანებებს:

  - 2014 წლის 01 ოქტომბრის №23 ხელშეკრულება, მოსარჩელე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ სარჩელი მოპასუხე შპს „ბურჯი ინვესტის“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე 4.425,71 ლარის ოდენობით, ასევე გადასახდელი თანხის 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაკმაყოფილდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით. გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების მიზნით გადაცემულია აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის. სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს (იდენთიფიკატორი: 1939792473) მოვალე შპს „BURJI-INVEST” (ხელშეკრულება №23_01.10.14) მიმართ შემდეგ თანხაზე: ძირი თანხა 4.425,71 ლარი, პირგასამტეხლო (სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად წარდგენის მომენტისათვის) – 6.793,75 ლარი.
  - 2014 წლის 28 ოქტომბერის №24 ხელშეკრულება, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ მიერ ბათუმის საქალაქო სასამართლოში წარდგენილია სარჩელი მოპასუხე შპს „გრილ ლაით სტუდიოს“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე 5.157,14 ლარის ოდენობით, ასევე პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2016 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის 14

თებერვლის ჩათვლით გადასახდელი თანხის 5.157,14 ლარის 0,1%-ის ოდენობით - რაც შეადგენს 299,57 ლარს და ასევე პირგასამტეხლოს გადახდა გადასახდელი თანხის 5.157,14 ლარის - 0,1% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 2016 წლის 15 თებერვლიდან ვალდებულების შესრულებამდე/სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე. გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების მიზნით გადაცემულია აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის. სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს (იდენთიფიკატორი: 1939720237) მოვალე შპს „გრინ ლაით სტუდიოს“ (ხელშეკრულება №24_28.10.14) მიმართ შემდეგ თანხაზე: ძირი თანხა 5.157,14 ლარი, პირგასამტეხლო (სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად წარდგენის მომენტისათვის) – 7.266,86 ლარი.

- მაუწყებელსა და შპს „ტვ-25“-ს შორის 2015 წლის 23 დეკემბრის #8 იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადა გავიდა 2017 წლის 31 ივლისს, თუმცა შპს „ტვ 25“ ახორციელებდა მაუწყებლის ქონების ფაქტობრივ ფლობას და სარგებლობდა მაუწყებლის ქონებით. ასევე 2019 წლის 17 აპრილს მხარეებს შორის გაფორმდა №04 საიჯარო ხელშეკრულება იმავე ქონებაზე, რომელიც ძალაში იყო 2019 წლის 01 აპრილიდან 2021 წლის 01 აპრილამდე. ხელშეკრულების ვადის დასრულების შემდეგ, კერძოდ: 2021 წლის 08 აპრილს შპს „ტვ-25“-მა განახორციელა საკუთარი აპარატურის დემონტაჟი მაუწყებლის ქონებიდან. შესაბამისად, მას ფაქტობრივი ფლობით დაეკისრა საიჯარო ქირის გადახდა 2021 წლის 01 აპრილიდან 07 აპრილის ჩათვლის 153,6 ლარის ოდენობით, ხოლო წინა დავალიანება ამ დროისათვის შეადგენდა 3.804,70 ლარს. სულ დავალიანება 2021 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგენს 3.958,30 ლარს. დავალიანების ამოღების უზრუნველსაყოფად მიმდინარეობს მოლაპარაკება, შეუთანხმებლობის შემთხვევაში მაუწყებელი მიმართავს სასამართლოს.
- ინდივიდუალური მეწარმე „ციური დიასამიძე“ (ხელშეკრულება №17/05/01_15.05.17) – 81,61 ლარი (წარმოშობის თარიღი 2018 წლის მაისი). ინვენტარიზაციის პერიოდისათვის ვალდებულება არ არის შესრულებული, აღნიშნულ პირთან რამოდენიმეჯერ სატელეფონო კავშირით შეხსენების მიუხედავად, უარყოფს დავალიანების არსებობას. დავალიანების ამოღების უზრუნველსაყოფად 2021 წლის მაისში შეტანილია სარჩელი ბათუმის საქალაქო სასამართლოში.
- შპს მის და მისტერ გოლდენ ბრენდი (ხელშეკრულება №30_12.07.2019) - 500,00 ლარი (წარმოშობის თარიღი 2019 წლის ივლისი). ინვენტარიზაციის პერიოდისათვის ვალდებულება არ არის შესრულებული. დავალიანების ამოღების უზრუნველსაყოფად მიმდინარეობს ღონისძიებების შემუშავება.
- შპს აირნეტი (ხელშეკრულება №05_13.12.2019) – 2786,74 ლარი (წარმოშობის თარიღი 2019 წლის ივლისი). ინვენტარიზაციის პერიოდისათვის ვალდებულება არ არის შესრულებული. დავალიანების ამოღების უზრუნველსაყოფად მიმდინარეობს ღონისძიებების შემუშავება.
- შპს „მარტო სახლში“ (ხელშეკრულება №18_11.06.2020) – 650,00 ლარი (წარმოშობის თარიღი 2020 წლის ივნისი). ინვენტარიზაციის პერიოდისათვის ვალდებულება არ არის შესრულებული. დავალიანების ამოღების უზრუნველსაყოფად მიმდინარეობს ღონისძიებების შემუშავება.
- ა(ა)იპ „საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია“ (ხელშეკრულება №05_02.03.2020) – 500,00 ლარი (წარმოშობის თარიღი 2020 წლის მარტი). ინვენტარიზაციის პერიოდისათვის ვალდებულება არ არის შესრულებული. დავალიანების ამოღების უზრუნველსაყოფად მიმდინარეობს ღონისძიებების შემუშავება.
- სს „სილქნეტი“ - 7.608,37 ლარი, მათ შორის:
  - ხელშეკრულება №4/2018 და №5/2018 _ 10.08.18) – 3.566,12 ლარი (წარმოშობის თარიღი 2020 წლის მაისი-ივლისი);

- ხელშეკრულება №8 და №9 _ 08.09.20; №02-24/5_10.09.21 – 4.042,25 ლარი (წარმოშობის თარიღი 2021 წლის აგვისტო-სექტემბერი);
  წინა პერიოდის დავალიანების ნაწილში ინვენტარიზაციის პერიოდისათვის ვალდებულება არ არის შესრულებული და მ/ წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხება დებიტორული დავალიანება, სულ 5.608,62 ლარი, მათ შორის ხელშეკრულება №8 და №9 ნაწილში 2.042,50 ლარი (წარმოშობის თარიღი 2021 წლის დეკემბერი).

❖ 2021 წლის ინვენტარიზაციით, ჩამოწერას დაექვემდებარა:
- 44 ერთეული ძირითადი აქტივი საერთო ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 199.375,81 ლარი (საწყისი ღირებულება 219.860,71 ლარი);
  გამოუყენებელი/ჩამოსაწერი აქტივების ამორტიზაციის დაბალი დონე გამოწვეულია ცვეთის დარიცხვის ახალი მეთოდით, ზემოთხსენებული „შენიშვნა“-ს შესაბამისად.
- ჩვენების ვადის ამოიწურვის გამო „ლიტერატურული და მხატვრული ორიგინალი ნიმუშები“/ფილმები, 18 ერთეული ნარჩენი ღირებულება 118.412,34 (საწყისი ღირებულება 282.546,00 ლარი);
- 127 ერთეული „ხარჯებში ჩამოწერილი მატერიალური მარაგები და მცირეფასიანი აქტივები ექსპლუატაციაში“ საერთო ღირებულებით 21. 363,70 ლარი.
  ჩამოსაწერი ქონების განსაზღვრა მოხდა, მასზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიერ ჩამოწერის მიზეზის, ქმედითუნარიანობის წარდგინებით და კომისიის წევრთა მიერ, მისი ვიზუალური დათვალიერებით. ყოველ ჩამოსაწერ ერთეულზე წარმოდგენილია დეფექტური/ტექნიკური აქტები. აუცილებლობის შემთხვევაში, აუდიტორის შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, კომისიური წესით, მოხდება ჩამოწერა. რაც შეეხება მათი შემდგომი საკითხს, ჩამოწერის შემდეგ გადატანილი იქნება ბსმ 10 ანგარიშში_„განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება“.

❖ ინვენტარიზაციის პერიოდში მაუწყებლის ბალანსზე რიცხულ „არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობები, საკუთარი მიზნებისთვის“ (ს/ა 1-22-1200/2112) შენობებზე შედგა ტექნიკური/დეფექტური აქტები (№02-17/675, №02-17/675/1 და №02-17/675/2 _14.12.21), კერძოდ: ქ. ბათუმში, ს. ს. ორბელიანის №31, მ. აბაშიძის №41 და მ. აბაშიძის №16-18 (ახალგადმოცემული) მდებარე შენობებში ამორტიზებულია სახურავი, ჩამოდის წყალი და საჭიროებს შეკეთებას (უწყისი №1, 26.10.21წ. მ.პ.პ. რ.გიორგაძე).

კომისია აღნიშნავს, რომ გახშირდა ტექნიკის დროზე ადრე ჩამოწერის აუცილებლობა, რაც ძირითადად გამოწვეულია ექსპლუატაციის წესების დარღვევით. ჩამოსაწერთა სიაში 2021 წელს წარმოდგენილი იყო აპარატურა, რომლის ნარჩენი ღირებულება პირვანდელის მიმართ 50%-ზე მეტი იყო. გარდა ამისა არ ექცევა სათანადო ყურადღება გამოყენებაში მყოფი ტექნიკის კომპლექტაციის მდგომარეობას (კერძოდ, მათი შემადგენელი ნაწილების მწყობრიდან გასვლის გამო). დროულად არ ხდება დაზიანებაზე აქტის (ტექნიკური) შედგენა, არ არის ტექნიკის გამოყენების და მათზე სათადარიგო ნაწილების შეძენის აუცილებლობის დასაბუთება (ნაადრევად ჩამოწერის მიზეზის დადგენა ხშირ შემთვევაში არ ხდება შესაბამის სერვისცენტრებში ტექნიკური აქტის ან სხვა სახის წერილობითი საბუთების შედგენის გზით). აუცილებელია აქტივის ექსპლუატაციაში ჩაშვებამდე პასუხისმგებელმა პირმა მაუწყებლის დირექტორის 2019 წლის 28 თებერვლის №02/03/04 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ტექნიკური საშუალებების გამოყენების რეგლამენტი“-ს შესაბამისად, სამსახურების, განყოფილებების უფროსებმა მათ დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომელს დეტალურად გააცნონ აქტივის სწორი ექსპლუატაციის წესები და აღნიშნული ხელმოწერით დაადასტურებინონ, არ უნდა განხორციელდეს მაუწყებლის ბალანსზე რიცხული აქტივ(ებ)ის გადაადგილება პასუხისმგებელ პირებთან შეთანხმების გარეშე და სხვა, რაც პრაქტიკულად არ ხორციელდება. აგრეთვე კომისია აღნიშნავს საწყობიდან ძირითადი აქტივების, მცირეფასიანი საგნებისა და მარაგ-ნაწილების გატანის წესის უხეშად დარღვევის შემთხვევების შესახებ (ვიზირებული მოთხოვნის გარეშე, გატანის განხორციელება), რაც ხელს უშლის არსებული რეგულაციების მოქმედებას.

→ 2021 წლის 17 მაისს გაიმართა მაუწყებლის მუდმივმოქმედი საინვენტარიზაციო კომისიის სხდომა (ოქმი №1), შემდეგი დღის წესრიგით:

- სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს ბალანსზე რიცხული, ჩვენების ვადის ამოწურვის გამო 2021 წლის 01 მაისის მდგომარეობით, ამორტიზებული 2019-2020 წლებში შეძენილი მექანიკური პროდუქციის (ფილმების) ჩამოწერა.

სხდომაზე დაადგინეს:

✓ ჩამოიწეროს 387.870,00 ლარის ღირებულების სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს ბალანსზე რიცხული 08 - საცნობარო მუხლი - „ამორტიზებული ძირითადი აქტივები"-ში გადატანილი მექანიკური სატელევიზიო პროდუქცია - ფილმები (მათზე ჩვენების ვადის ამოწურვის გამო), მათ შორის:

- 2019 წელს შეძენილი 78.000,00 ლარის ისტორიული ღირებულებით (ნარჩენი საბალანსო ღირებულება 0,00 ლარი), ბსმ-08 _ „ამორტიზებული ძირითადი აქტივები" 0,00 ლარი;
- 2020 წელს შეძენილი 309.870,00 ლარის ისტორიული ღირებულებით (ნარჩენი საბალანსო ღირებულება 0,00 ლარი), ბსმ-08 _ „ამორტიზებული ძირითადი აქტივები" 309.870,00 ლარი;

მაუწყებლის დირექტორის მიერ 2021 წლის 17 მაისს დამტკიცდა (02-02/1067_27.05.21) სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს მუდმივმოქმედი საინვენტარაზაციო კომისიის სხდომის ოქმი №4.

ზემოთაღნიშნული ოქმის საფუძველზე მაუწყებლის დირექტორის მიერ 2021 წლის 27 მაისის №02-09/69 ბრძანების შესაბამისად განხორციელდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს ბალანსზე რიცხული და ამორტიზებული, 2019-2020 წლებში შეძენილი, ძირითადი აქტივების - მექანიკური პროდუქციის (ფილმების) ბალანსიდან ჩამოწერა.

→ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს მუდმივმოქმედი საინვენტარიზაციო კომისიის 2020 წლის 25 დეკემბრის სხდომის ოქმი №1-ის (დამტკიცებული მაუწყებლის დირექტორის მიერ №02-32/756_31.12.2020წ.), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2021 წლის 20 მაისის №01-01-10/2293 (№02-1-/217_20.05.2021წ.) თანხმობით და 2021 წლის 01 იანვრის დგომარეობით ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების (შენობა-ნაგებობებისა და გადასაცემ მოწყობილობათა) ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტის (№02-26/1238_31.05.2021), საფუძველზე მაუწყებლის დირექტორის მიერ 2021 წლის 31 მაისის №02-09/71 ბრძანების შესაბამისად განხორციელდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს ბალანსზე რიცხული 8 ერთეული დიდთოვლობის გამო დანგრეული და განადგურებული შენობის და ძირითადი და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ბალანსიდან ჩამოწერა;

ჩამოწერის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის №82 დადგენილებით დამტკიცებული „საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ" დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, ა) და ბ) ქვეპუნქტი;

→ საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ" 35[12] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად (საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო ფინანსდება საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტიდან, ამ ბიუჯეტის არანაკლებ 15%-ით) სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს სავარაუდო საბიუჯეტო ასიგნების

ფარგლებში (მშპ შესაბამისად) მომზადდა 2022 წლის შემოსულობებისა და გადასახდელების დამტკიცების შესახებ ბიუჯეტის პროექტი (ბიუჯეტში მუხლობრივად გაიწერა ტელევიზიის, რადიოსა და ინტერნეტ მაუწყებლობის ხარჯები), მაუწყებლის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი მოთხოვნებისა და წინადადებების შეჯერების საფუძველზე. მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს მიერ 2021 წლის 16 დეკემბრის №01-01/16 (ოქმი №23) გადაწყვეტილებით შეთანხმებულ იქნა და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლი“-ს სამეურვეო საბჭოს 2021 წლის 27 დეკემბრის №518 (ოქმი №454) გადაწყვეტილებით დამტკიცდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს 2022 წლის ბიუჯეტი.

მიღწეული შუალედური/საბოლოო შედეგების ინდიკატორები

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ასიგნებების, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოსთან შეთანხმებითა და სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-მ დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყო საბიუჯეტო ასიგნებათა მოცულობის განაწილება და მიზნობრივი ხარჯვა, თავისი კომპეტენციისა და დაფინანსების ფარგლებში განახორციელა მაუწყებლის საქმიანობისათვის აუცილებელი საქონლისა და მომსახურების შესყიდვა.

11. შიდა და გარე აუდიტის დასკვნები

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო’-ს მრჩეველთა საბჭო, საკანონმდებლო ვალდებულებებიდან და საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე თავისი რესურსებით ატარებს მაუწყებლის ყოველწლიურ აუდიტორულ შემოწმებას გარე რესურსებით (შესყიდვით). აქვე აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობის მიხედვით დადგენილი შიდა მიმდინარე კონტროლის პროცედურები პერიოდულად ხორციელდება შიდა აუდიტის სამსახურის მიერ. შემოწმების დასკვნები წინამდებარე ანგარიშს თან ერთვის. (იხ. დანართი N2)